ბერს თვითონ კაცი ქმნის და არა ბერი კაცს

ახალი ოქტომბერი

№5 იანვარი 2024

იულონ გაგოშიძე
მეხსიერების წყვეტილი ხაზები

ქეთი ქურდოვანიძე
დაკარგულის ძიებაში
აფხაზეთი და ქართველი საბჭოთა ინტელიგენცია

გიორგი ანთაძე
BACK IN THE USSR

ზურაბ მეძველია
21 მარტამდე დარჩენილია...

ახალი ივერია
საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი

№5, იანვარი, 2024
ISSN 2720-8729

ააიპ “ჭავჭავაძის ცენტრი”
გიორგი ახვლედიანის ქუჩა № 20
0108, თბილისი, საქართველო

ნომერზე მუშაობდნენ:
ზაზა ბიბილაშვილი
შამილ შუგაევი
კოკა თოფურია
ლაშა გაბელია
ეეთი ეურდოვანიძე
გიორგი ხარებავა
გიგა ჯოხაძე
ნინო კალანდაძე

სარჩევი

4 მთავარი რედაქტორის სვეტი
ზაზა ბიბილაშვილი
ვარდების რევოლუცია, ევროკავშირი და დაბრუნება აფხაზეთში

9 პოლიტიკა
ზურაბ გირჩი ჯაფარიძე
რა შეგვიძლია და რა გვიშლის ხელს

11 ისტორია
იულონ გაგოშიძე
მეხსიერების წყვეტილი ხაზები

18 საზოგადოება
ქეთი ქურდოვანიძე
დაკარგულის ძიებაში
აფხაზეთი და ქართველი საბჭოთა ინტელიგენცია



22 რუსეთი
თაზო დათუნაშვილი
რუსეთი მტერია, ჩვენ კი ევროპული სახელმწიფო ვართ!



24 მეხსიერება
ლეილა ჩანგელია-გეგეჭკორი
შორს, ჰორიზონტის ხაზთან



33 აფხაზეთი
თემო კუპრავა
ომამდე დაწყებული ომი

35 GenZ
თამარ თარალაშვილი
პუტინს საქართველოში თაობა გამორჩა!

38 საბჭოთა მოგზაურის ჩანაწერები
გიორგი ანთაძე
BACK IN THE USSR

44 ცოცხალი ისტორია
გია ჯაფარიძე
ათონი



48 კულტურა
გია ჯოხაძე
იმპერიის ბრწყინვალება და სიღატაკე ოსიპ მანდელშტამის ანტიქართული ოდისეა

58 მართლმსაჯულება
ანა ხურციძე
მედიაცია - სასამართლოს გაჯანსაღების ალტერნატიული გზა

61 სპორტი
ზურაბ მეძველია
21 მარტამდე დარჩენილია...

63 ფოტოკოლაჟი
ვარდების რევოლუციის 20 წლისთავი

ზაზა ბიბილაშვილი

ვარდების რევოლუცია, ევროკავშირი და დაბრუნება აფხაზეთში

ნეოყვარყვარიზმი და შტურმი მეხსიერებაზე

გილოცავთ! საქართველო ევროკავშირის წევრობის კანდიდატია!

ვწერ ამას და ვაცნობიერებ, რომ მილოცვა თითქოს აკნინებს კიდეც ამ დიდ მოვლენას, რადგან ეს უბრალოდ მოსალოცი ფაქტი არ არის. ეს ეპოქალური, ტექტონიკური ძვრაა ჩვენს ცოცხალ ისტორიაში.

რამდენი თაობა შობილა და გარდაცვლილა იმპერიების მიერ დაპყრობილ საქართველოში. საქართველოში, რომელსაც თითქმის არავინ იცნობდა საკუთარი სამეზობლოს მიღმა.

რამდენ თაობას უოცნებია მხოლოდ იმაზე, რომ მსოფლიოში საქართველოს არსებობა სცოდნოდათ და, თუ იცოდნენ, მაშინ ეს „ზღაპრული ქვეყანა“ - როგორც ივერიას დიდი კნუტ ჰამსუნი მოიხსენიებდა - რუსეთის ეგზოტიკური პროვინცია არ ჰგონებოდათ.

როგორ უნდა მიაღწიო ნამდვილ წარმატებას მაშინ, როცა შენი ოცნებაც კი ასეთი მცირეა? როცა ამბიცია ოდენ ისაა, შენს არსებობას აღიარებდნენ?!

ამ ფონზე, დასავლეთის მიერ საქართველოს ევროპად მიღება ოცნებადაც კი არ ღირდა. ამიტომ ვიგონებდით კავკასიელობას, როგორც იდენტობას, რომ თავი ჩვენთვის სრულიად უცხო წინა და შუა აზიისგან გამოგვერჩია.

ან კი როგორ უნდა გვეოცნება ევროპელობაზე, როცა სულ რაღაც 85 წლის წინ ევროპის გულში მდებარე ჩეხეთიც კი ინგლისელისთვის იყო „შორეული ქვეყანა, რომლის შესახებაც არაფერი ვიცით“ (და, ამდენად, ჰიტლერისთვის მისი დათმობა პრობლემას არ წარმოადგენდა).

მაგრამ მორიგი რუსი ცარის ბოროტმა სიხარბემ და მოძმე უკრაინელების საარაკო გმირობამ ყველაფერი თავდაყირა დააყენა და ჩვენი ნატვრის ახდენა შესაძლო გახადა.

ეს დღე 2023 წლის 14 დეკემბერს დადგა. დღე, როცა ევროპამ ოფიციალურად განაცხადა, რომ საკუთარ თავს ლისაბონიდან თბილისამდე მოიაზრებს.

ივანიშვილის ხელისუფლებამ ყველაფერი სცადა, რომ ეს არ მომხდარიყო. რა არ ვიხილეთ ამ ორ წელიწადში:

საქართველოსთვის ევროკავშირის კანდიდატი ქვეყნის სტატუსის მინიჭების დღე. 14 დეკემბერი 2023

- მტკიცება, რომ კანდიდატის სტატუსის საკითხის წამოწევა შეგნებული პროვოკაცია იყო „ოცნების“ ხელისუფლებიდან ჩამოსაშორებლად;
- საქართველოს ევროპელი მეგობრების დაუსრულებელი ლანძღვა უღირსი ფორმითა და კიდევ უფრო უღირსი შინაარსით;
- ანტიდასავლური პროპაგანდის უწყვეტი ნიაღვარი (რომელიც პირდაპირ უკავშირდება სამთავრობო სტრატკომს);
- შავრაზმული შეთქმულების თეორიების უმაღლეს, ოფიციალურ დონეზე ტირაჟირება;
- ძალადობრივი ჯგუფების შექმნა ჟურნალისტებისა და უმცირესობების დასარბევად;
- რუსული კანონის შემოღების მოღალატეობრივი და, საბედნიეროდ, წარუმატებელი მცდელობა;
- რუსეთთან პირდაპირი ფრენების აღდგენა, დასავლეთის რჩევის საპირისპიროდ;
- კეთროვან ორბანთან და ავტორიტარულ ჩინეთთან საჩვენებელი დაძმობილება და სხვა.

დიახ, „ოცნებამ“ ეს ყველაფერი განზრახ, სტატუსის საბოტაჟის მიზნით გააკეთა.

არ უქნია მხოლოდ ერთი რამ - საქართველოს ევროპულ მომავალზე ღიად უარი არ უთქვამს. ესეც მხოლოდ თვითგადარჩენის მოტივით (სხვა თუ არაფერი, გავიხსენოთ, რა მოუვიდა ამგვარი ნაბიჯის გადადგმისას ვიქტორ იანუკოვიჩს, თან ქვეყანაში, რომელიც გაცილებით ნაკლებად პროევროპულად იყო განწყობილი, ვიდრე საქართველოა).

როცა ისტორიის ლოგიკას, ქართველი ხალხის ურყევ ნებასა და გამოღვიძებულ ევროპას წინ ვეღარ აღუდგა, „ოცნებამ“ გადაწყვიტა, ყვარყვარესავით სათავეში ჩასდგომოდა მოზეიმე ხალხს და მოეჩვენებინა, თითქოს ეს მისი ზეიმიცაა.

ხოლო როცა ისტორიის ლოგიკას, ქართველი ხალხის ურყევ ნებასა და გამოღვიძებულ ევროპას წინ ვეღარ აღუდგა, „ოცნებამ“ გადაწყვიტა, ყვარყვარესავით სათავეში ჩასდგომოდა მოზეიმე ხალხს და მოეჩვენებინა, თითქოს ეს მისი ზეიმიცაა.

ოღონდ, თუ გვინდა, გავიგოთ, სინამდვილეში რას ფიქრობს ევროპულ ინტეგრაციაზე ქვეყნის მთავარმმართველი, მაშინ ე.წ. „ხალხის ძალას“ - „ოცნების“ სახელისუფლებო სინდიკატში ცალკე ბრენდად გამოყოფილ ყველაზე შეუნიღბავ და შემზარავად ბნელ დაჯგუფებას უნდა მოვუსმინოთ. და თუ მოვუსმენთ, ნათელი გახდება, რომ ახლო მომავალში „ოცნება“ გაცილებით უარესს გეგმავს.

ამიტომ, რაოდენ ეპოქალურიც არ უნდა იყოს კანდიდატის სტატუსის მოპოვება, დიდ სურათში ეს ოდენ ჩვენი არსებობის, ჩვენი ევროპელობის აღიარებაა. ევროპად გახდომამდე კი წინ დიდი გზა გვაქვს. სტატუსი მხოლოდ პირველი ნაბიჯი იყო. თუ ქვეყანაში ყველაფერი ფუნდამენტურად

არ შეიცვალა, ნაბიჯი ნაბიჯადვე დარჩება: დაგვრჩება სანქცირებული სასამართლო, მაღალი რანგის რუსულ აგენტურას გადაფარებული სახელმწიფო მანქანა და კლანურ-ოლიგარქიული მმართველობა, რომლის პირობებშიც ღრმა და ყოვლისმომცველი კორუფცია ისევ ნორმად იქცა - თითქმის ისევე, როგორც ვარდების რევოლუციამდე.

„თითქმის“ - რადგან, წინა ხელისუფლების წყალობით, მასლოუს პირამიდის ქვედა საფეხურებიდან ზევით ავინაცვლეთ და ახლა კორუფციას გაცილებით ცივილიზებული ფორმა აქვს („ძაღლობა“ პირდაპირ გზებზე არ გვაყაჩაღებს, პენსიებიც დროულად რიგდება). „თითქმის“, რადგან ვარდების რევოლუციამდელი კორუფციის მასშტაბი, ახლანდელთან შედარებით, თურმე ბავშვური თამაში ყოფილა...

ამქვეყნიური ჯოჯოხეთი იყო საქართველოში ცხოვრება 1990-იანებში. ეს იყო სომალისა და ავღანეთის ერთგვარი ნაზავი, არშემდგარი სახელმწიფო, კანონგარეშე,

სტატუსი მხოლოდ პირველი ნაბიჯი იყო. თუ ქვეყანაში ყველაფერი ფუნდამენტურად არ შეიცვალა, ნაბიჯი ნაბიჯადვე დარჩება: დაგვრჩება სანქცირებული სასამართლო, მაღალი რანგის რუსულ აგენტურას გადაფარებული სახელმწიფო მანქანა და კლანურ-ოლიგარქიული მმართველობა, რომლის პირობებშიც ღრმა და ყოვლისმომცველი კორუფცია ისევ ნორმად იქცა - თითქმის ისევე, როგორც ვარდების რევოლუციამდე.

უკონტროლო ტერიტორია, სადაც ჯუნგლის კანონი ბატონობდა და წესიერ ადამიანს პროგრამა მაქსიმუმად გადარჩენა ჰქონდა დასახული. წლობით გაუცემელი 14-ლარიანი პენსია, კრიმინალი, კორუფცია, უშუქობა, უგაზობა, უგზოობა, უიმედობა, ადამიანთა გატაცება გამოსასყიდის მიღების მიზნით (ბიზნესი, რომელსაც ქურდული სამყარო და ძალოვანი სტრუქტურები ერთობლივად აწარმოებდნენ) - ეს ჩვენი ყოველდღიურობა იყო.

ერთ მშვენიერ დღეს ეს ჯოჯოხეთი დასრულდა და საქართველომ ფეხზე დაიწყო წამოდგომა. ეს დღე 2003 წლის 23 ნოემბერი იყო - ვარდების რევოლუცია, რომლის შედეგად ახალი საქართველო იშვა და რომლის მე-20 წლისთავი ნოემბერში აღვნიშნეთ.

ყველა ობიექტური, გაზომვადი კრიტერიუმით, ვარდების რევოლუციას მოჰყვა საქართველოს დოკუმენტირებულ ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული 9 წელი.

ვარდების რევოლუცია
23 ნოემბერი 2003

მერე დავუშვით რუსეთის რევანში (დეტალებით არ შეგაწყენთ თავს, მხოლოდ დუგინის სიტყვებს გავიხსენებ - 2008 წელს თბილისში ტანკებით რომ შევსულიყავით, ამაზე უკეთეს ხელისუფლებას ვერ დავსვამდითო). ამაზე ბევრი გვისაუბრია და, ალბათ, კიდევ ბევრს ვისაუბრებთ (თუ რუსული ყაიდის „სუვერენულმა დემოკრატიამ“ ამის შესაძლებლობა დაგვიტოვა), მიმდინარე ნომერი კი, ძირითადად, აფხაზეთს დაეთმობა.

2023 წლის სექტემბერში კიდევ ერთი წლისთავი იყო. ამჯერად, ტრაგიკული წლისთავი. 27 სექტემბერს 30 წელი შესრულდა სოხუმის დაცემიდან და აფხაზეთის დროებით ოკუპაციიდან (აქაც გვატყუებენ, როცა გვეუბნებიან, რომ აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის ოკუპაცია 2008 წელს დაიწყო - მაშინ უბრალოდ ოკუპაციას ოკუპაცია დაერქვა).

ყველა ობიექტური, გაზომვადი კრიტერიუმით, ვარდების რევოლუციას მოჰყვა საქართველოს დოკუმენტირებულ ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული 9 წელი.

ამ ნომერში იხილავთ მოგონებებს, ფიქრებს, კითხვებს აფხაზეთთან დაკავშირებით... წაიკითხეთ, იგრძენით, ირწმუნეთ საკუთარ პირად მეხსიერებად... მე კი რამდენიმე თეზისს შემოგთავაზებთ სამსჯელოდ. არასდროს არავის ეს თეზისები ღიად არ დაუფიქსირებია კონფლიქტის მოგვარებაზე საუბრის კონტექსტში. შესაბამისად, ბრმად მივყვებით „შემოგდებულ“ კონიუნქტურას აფხაზი ძმების შესახებ, რომლებსაც რუსებმა ჩვენი თავი ახოცინეს და რომლებსაც აუცილებლად უნდა შევურიგდეთ. ძმებისა, რომლებიც მტრად გვთვლიან (რასაც არ ვიმჩნევთ) და რომლებსაც საერთოდ არ ანაღვლებთ ჩვენთან შერიგება. არც საკუთარი ჩადენილის გააზრებაა რაიმე ფორმით მათთვის აქტუალური.

სოხუმის დაცემა
27 სექტემბერი 1993

ამიტომ, ჩვენ ვთქვათ:

აფხაზეთის ომის დროს დაიდო სამი სამშვიდობო შეთანხმება და სამივე მათგანი აფხაზურმა მხარემ ქართველთა მასობრივად გასაჟლეტად გამოიყენა. დიახ, აფხაზეთში ქართველთა ბარბაროსული, საერთაშორისო-სამართლებრივად აღიარებული ეთნოწმენდა (ზოგი შეფასებით, გენოციდი) რუსებმა დაგეგმეს, მაგრამ შემსრულებლები, ძირითადად, აფხაზები იყვნენ. სიძულვილიც, რომელმაც უბრალო ადამიანები ცივსისხლიან მკვლელებად აქცია და გენოციდი შესაძლებელი გახადა, ცალმხრივი იყო. ცალმხრივია დღესაც.

იტყვით, იქ ორივე მხარეს რუსეთი მართავდაო. გარკვეულწილად ასეც იყო. მით უფრო მძიმეა აფხაზთა დანაშაული, რადგან ქართულ მხარეს ეთნიკური ნიშნით აფხაზი მშვიდობიანი მოსახლეობა არ უხოცია, აფხაზების კოლექტიურ სინდისზე კი გაგრასა და სოხუმში (საიდანაც სამშვიდობო შეთანხმების გამო მძიმე შეიარაღება გამოყვანილი იყო) მშვიდობიანი მოსახლეობის ეთნიკური ნიშნით ორგანიზებული, გეგმაზომიერი ხოცვაა.

რუსულ-პროპაგანდისტული ვერსიით, რომელიც უცხოურენოვან წყაროებშიც ხშირად გვხვდება, სისასტიკეებს ძირითადად ის აფხაზები სჩადიოდნენ, რომლებსაც საკუთარ თავზე ჰქონდათ მსგავსი გადატანილი. დაე, ითქვას, რომ ეს, უბრალოდ, ტყუილია. სინამდვილეში, 1992 წლის 1 ოქტომბრისთვის, როცა გაგრის გენოციდი

მოხდა, მხოლოდ რამდენიმე ათეული ადამიანი იყო ომში დაღუპული, თითქმის ყველა მათგანი სამხედრო იყო და საომარ მოქმედებებს შეეწირა.

ის, რაც აფხაზეთში მოხდა, ბუჩაზე გაცილებით უარესი იყო (თუ ამგვარი რამ შეიძლება ბუნებაში არსებობდეს), რადგან თუ ბუჩას გენოციდი აქტიური საომარი მოქმედებების დროს მოხდა, აფხაზეთში მშვიდობიანი ქართველების მასობრივი ჟლეტა ცეცხლის შეწყვეტის პირობებში ცივსისხლიანად დაგეგმილი და მეთოდურად განხორციელებული გენოციდის აქტს წარმოადგენდა.

ის, რაც აფხაზეთში მოხდა, ბუჩაზე გაცილებით უარესი იყო (თუ ამგვარი რამ შეიძლება ბუნებაში არსებობდეს), რადგან თუ ბუჩას გენოციდი აქტიური საომარი მოქმედებების დროს მოხდა, აფხაზეთში მშვიდობიანი ქართველების მასობრივი ჟლეტა ცეცხლის შეწყვეტის პირობებში ცივსისხლიანად დაგეგმილი და მეთოდურად განხორციელებული გენოციდის აქტს წარმოადგენდა.

არავინ კითხულობს - იქნებ აფხაზებს, რომლებიც ომამდე რეგიონის მოსახლეობის 18%-ს წარმოადგენდნენ, არა „ცუდი“ დემოკრატიის, არამედ უბრალოდ დემოკრატიის ეშინიათ?

ახლა მთავარი:

ხშირად გვესმის - თუ გინდათ აფხაზებს თქვენთან მოანდომოთ, შექმენით ისეთი სახელმწიფო - დემოკრატიული ინსტიტუტებითა და თავისუფალი სასამართლოთი - რომ იქ მათაც მოუნდეთ ცხოვრებაო. მაგრამ არავინ კითხულობს - იქნებ აფხაზებს, რომლებიც ომამდე რეგიონის მოსახლეობის 18%-ს წარმოადგენდნენ, არა „ცუდი“ დემოკრატიის, არამედ უბრალოდ დემოკრატიის ეშინიათ - სისტემის, რომელშიც ყველა ადამიანს თითო ხმა აქვს? მათთვის, ვინც ათწლეულები დე ფაქტო აპარტეიდის პირობებში ცხოვრობდა და ვისთვისაც ეთნიკური კუთვნილება გარანტირებულ პრივილეგიებს ნიშნავდა, ეგებ სწორედ პრივილეგიების დათმობაა მიუღებელი?

ისტორიის გააზრება საერთო მომავლისკენ მიმავალი ერთადერთი გზაა. ამ გზის გავლა არც ისე რთულია. დღეს ამას ხელს რუსული ხიშტები უშლის, რომლებიც უკვე 30 წელია ყოფს ენგურს გაღმა და გამოღმა საქართველოს - აფხაზთა კათარზისს აფერხებს და დევნილების სახლებში დაბრუნებას უშლის ხელს.

გვეტყვიან, ძველ ტრავმებს ნუ აღვიძებთო. მაგრამ ძველი ტრავმები არსად გამქრალა. ტრავმას დავიწყება კი არა, თვალებში ჩახედვა სჭირდება. ისტორიის გააზრება საერთო მომავლისკენ მიმავალი ერთადერთი გზაა. ამ გზის გავლა არც ისე რთულია. დღეს ამას ხელს რუსული ხიშტები უშლის, რომლებიც უკვე 30 წელია ყოფს ენგურს გაღმა და გამოღმა საქართველოს - აფხაზთა კათარზისს აფერხებს და დევნილების სახლებში დაბრუნებას უშლის ხელს.

და რადგან მეხსიერება გამარჯვებული მშვიდობის საწინდარია, გვახსოვდეს სოხუმი. და, ვიდრე არ დავბრუნდებით, ვიმეოროთ - მშვიდად და რწმენით:

გაისად სოხუმში.

ზურაბ გირჩი ჯაფარიძე

რა შეგვიძლია
და
რა გვიშლის ხელს

შარშან ოქტომბერში, ევროპელი სოციალისტების კონგრესზე სიტყვით გამოსვლისას, გერმანიის კანცლერმა, ოლაფ შოლცმა, განაცხადა: „ჩვენ ვართ ევროპელი ხალხი. ჩვენი ხმა უნდა ისმოდეს ევროპაში ყველგან, ხმელთაშუა ზღვიდან ჩრდილოეთის ზღვამდე, ლისაბონიდან თბილისამდე.“

უკვე წელს, აგვისტოში, საერთაშორისო სტრატეგიულ ფორუმზე, რომელსაც აღმოსავლეთ ბალკანეთის ლიდერები ესწრებოდნენ, ევროპული საბჭოს პრეზიდენტმა, შარლ მიშელმა, გააჟღერა ინიციატივა, რომ ევროკავშირმა უნდა გადადგას „თამამი ნაბიჯი“ და 2030 წლისთვის მიიღოს ახალი წევრები.

სექტემბერში ევროკავშირის გაფართოების საკითხებში ევროკომისარი, ოლივერ ვარჰელი, დაეთანხმა მიშელის მიერ გამოთქმულ ვადას, დაადასტურა, რომ ევროკომისია მუშაობს ამ მიმართულებით, და მიესალმა წევრი ქვეყნების მხრიდან გამოხატულ მზაობას, მობილიზდნენ და პოლიტიკური გადაწყვეტილება მიიღონ 2030 წლისთვის ახალი წევრების მიღებასთან დაკავშირებით.

ვარჰელის განცხადებიდან დაახლოებით ერთ კვირაში ევროკომისიის პრეზიდენტმა, ურსულა ფონ დერ ლაიენმა, წარადგინა ყოველწლიური ანგარიში, რომელშიც ასევე ისაუბრა ევროკავშირის გაფართოების აუცილებლობაზე და მოუწოდა წევრ სახელმწიფოებს, ისეთივე მონდომებით მიუდგნენ ამ საკითხს, როგორითაც ამას აკეთებს უკრაინა. „ჩვენ არ გვაქვს იმის ფუფუნება, რომ ევროპელი ხალხები დავტოვოთ გარეთ“, განაცხადა მან.

საქართველოს ისტორიაში რთულად თუ მოიძებნება სხვა პერიოდი, როდესაც ქვეყანა ასე ცხადად და არაორაზროვნად იდგა მანამდე წარმოუდგენელი, გრძელვადიანი უსაფრთხოებისა და კეთილდღეობის უზრუნველყოფის ისტორიული შესაძლებლობის წინაშე. შარშან, თებერვალში, რუსეთის უკრაინაში შეჭრამ და ამ შეჭრაზე უკრაინელების გმირულმა პასუხმა სამყარო შეცვალა. უფრო ზუსტები თუ ვიქნებით - ამოაყირავა. საბჭოთა ბოროტების ჩამოშლისა და დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ, არასოდეს ყოფილა დასავლეთი ასე კონსოლიდირებული რუსეთის წინააღმდეგ და ასეთი დარწმუნებული ევროპული სივრცის გაფართოების აუცილებლობის საკითხში.

რამდენიმე წელში შეგვიძლია, გავაკეთოთ ის, რასაც ორდინარულ ვითარებაში სულ მცირე 20-25 წელი დასჭირდებოდა, და გავხდეთ „ევროკავშირელები“.

რამდენიმე წელში შეგვიძლია, გავაკეთოთ ნახტომი და გავხდეთ 20-ტრილიონიანი ბაზრის განუყოფელი ნაწილი, აქედან გამომდინარე ინვესტიციებით, ინოვაციებით, სამუშაო ადგილებითა და სხვა სიკეთეებით.

რამდენიმე წელში შეგვიძლია, სრულად ვინტეგრირდეთ ევროპულ სამეცნიერო თუ საგანმანათლებლო სივრცეში და შვილებს მივცეთ ცხოვრებაში წარმატების მიღწევის გაცილებით მეტი შესაძლებლობა.

რამდენიმე წელში შეგვიძლია, დროებით ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრებ ადამიანებს ვუთხრათ, რომ ჩვენ ვართ თანამედროვე სამყაროში ყველაზე ცივილიზებული და ჰუმანური სივრცის ნაწილი, სადაც ნებისმიერი ეთნიკური ჯგუფის უფლებები დაცულია ყველაზე საუკეთესოდ დედამიწაზე, და რომ ჩვენი ერთად ცხოვრება საფრთხეს არ წარმოადგენს მათი იდენტობისთვის, პირიქით.

რამდენიმე წელში შეგვიძლია, წარმოუდგენლად დიდი ნაბიჯი გადავდგათ ქვეყნის უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიმართულებით და მიუხედავად იმისა, რომ ევროკავშირი NATO არაა, ჯერ არ ყოფილა ისტორიული პრეცედენტი, რომ ევროკავშირის წევრი ქვეყნის წინააღმდეგ ვინმეს გაებედა სამხედრო აგრესია. 30-წლიანი მუდმივი შიშით ცხოვრება შეგვიძლია დავასრულოთ სულ რამდენიმე წელში.

რამდენიმე წელში შეგვიძლია, მივაღწიოთ იმას, რომ თბილისის გარდა, ამ ქვეყნის სხვა ადგილებშიც იცხოვრებოდეს ადამიანურად, სხვაგანაც შეიძლებოდეს საქმის კეთება და შემოსავლის მიღება, სხვაგანაც იყოს გზა, წყალი, დენი, ბუნებრივი აირი, ინტერნეტი და კანალიზაცია.

რამდენიმე წელში შეგვიძლია, გვქონდეს სანდო ფული (თუმცა ეს მანამდეც შეგვიძლია), რომლის უკანაც იდგება ევროპის ცენტრალური ბანკი (თუნდაც თავისი ნაკლოვანებებით) და არა - ნანა ყეინიშვილი.

რამდენიმე წელში შეგვიძლია, აქ დავიწყოთ უკეთესი ჯანდაცვის შექმნა ჩვენი ხალხისთვის, რომ ევროპული ხარისხი მხოლოდ პატრიარქისთვის არ იყოს ხელმისაწვდომი.

ერთადერთი, რაც დღეს ხელს უშლის ამ პერსპექტივას, არის გრუზინული მორალისა და სამდღიანი მეხსიერების მქონე მოქალაქე, რომელიც ან უკვე დაბმულია რუსული ხელისუფლების ბაგაზე ან გამალებული ეძებს „კარმუშკას“.

რამდენიმე წელში შეგვიძლია, უსაბუთოდ და უპატრონოდ წვალების ნაცვლად, ლეგალურად წავიდეთ და სამუშაო ვიპოვოთ ევროკავშირის ნებისმიერ წევრ ქვეყანაში, რადგან ჩვენც იქაურები ვიქნებით.

რამდენიმე წელში შეგვიძლია, სიამაყით ვთქვათ, რომ ჩვენ მარტო წარსული კი არ გვაქვს საინტერესო, არამედ თანამედროვე სამყაროშიც თანაზიარი ვართ ყველაფერი საუკეთესოსი, რაც კაცობრიობამ შექმნა.

რამდენიმე წელში შეგვიძლია, ვიყოთ თავისუფალი, ამაყი, ღირსების მქონე, თავმოყვარე ქვეყნის ასეთივე მოქალაქეები.

რამდენიმე წელში შეგვიძლია, შვილებს თამამად ვუთხრათ, რომ ჩვენი ცხოვრება ტყუილად არ დაგვიხარჯავს; რომ შევძელით ის, რაც ბედის უკუღმართობისა თუ შეცდომების გამო ვერ შეძლო ბევრმა წინა თაობამ; რომ მათ ვუტოვებთ თავისუფალ, დაცულ, ღირსების მქონე და სამყაროს საუკეთესო ნაწილთან ინტეგრირებულ ქვეყანას, რომლითაც შეუძლიათ იამაყონ და სადაც ღირს ცხოვრება.

ეს არის ის ე.წ. „შესაძლებლობების ფანჯარა“, რომელზეც ღიად მიგვანიშნებენ დასავლეთიდან.

ერთადერთი, რაც დღეს ხელს უშლის ამ პერსპექტივას, არის „გრუზინული“ მორალისა და სამდღიანი მეხსიერების მქონე მოქალაქე, რომელიც ან უკვე დაბმულია რუსული ხელისუფლების ბაგაზე, ან გამალებული ეძებს „კარმუშკას“.

იულონ გაგოშიძე

მეხსიერების წყვეტილი ხაზები

ანდრეი სახაროვმა ერთხელ თქვა, საქართველო პატარა იმპერიაა. რატომ თქვა მან ეს, ცალკე საკითხია, მაგრამ ის ეყრდნობოდა იმ ფაქტს, რომ საქართველოში, ქართველების გარდა, ბევრი სხვა ეთნოსის წარმომადგენელი ცხოვრობს. ეს ნამდვილად ასეა და ასე იყო მუდამ, ქართული სახელმწიფოს არსებობის იმ რამდენიმე ათასწლეულის განმავლობაში, რომლებიც გაშუქებულია ძველი ქართული და არაქართული წერილობითი წყაროებით.

საქართველო ოდითგანვე მრავალეთნიკური ქვეყანა იყო. ძველი ქართული მატიანე მოგვითხრობს, რომ ჯერ კიდევ უხსოვარ დროში ქართლის მმართველებს შეუფარებიათ და მცხეთის მახლობლად დაუსახლებიათ სპარსთა მიერ დევნილი თურქები, შემდეგ კი ნაბუქოდონოსორის მიერ იერუსალიმიდან გამოძევებული ურიები (ებრაელები), რომლებიც დროთა განმავლობაში ქართულად ალაპარაკდნენ და ეთნიკური ქართველებისგან მათ მხოლოდ რელიგია თუ გამოარჩევდა. ასევეა სომხების შემთხვევაშიც: ძნელი სათქმელია, ქართლის, კახეთის, რაჭისა და ლეჩხუმის დაბა-სოფლებში მცხოვრები ქართულენოვანი სომხები გაქართველებული სომხები არიან თუ სომხურ-გრიგორიანული (მონოფიზიტური) სარწმუნოებამიღებული ქართველები (ჯავახეთში მცხოვრები სომხები თურქეთიდან მე-19 საუკუნეში გადმოასახლა რუსულმა ხელისუფლებამ; ათასობით სომეხი შემოვიდა საქართველოში 1915-16 წლებშიც).

საყურადღებოა 1918-1921 წლების საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პარლამენტის წევრთა სიები ეთნიკური და კონფესიური კუთვნილების თვალსაზრისით. ამ სიაში წარმოდგენილი არიან ქართველი მართლმადიდებლები, ქართველი კათოლიკეები, ქართველი გრიგორიანელები, ქართველი ისრაელელები (იუდეველები) და ქართველი მაჰმადიანები და, მათ გარდა, აფხაზები, ბერძნები, გერმანელები, თათრები (აზერბაიჯანელები), ოსები, რუსები.

უძველესი დროიდან საქართველოში, განსაკუთრებით ქალაქებში, ქართველების გვერდით ცხოვრობდნენ სომხები და სპარსელები, მერვე საუკუნიდან კი (თბილისში) - არაბებიც. ასე რომ, ერთიანი ქართული სახელმწიფო, რომელმაც ფორმირების პროცესში სხვა, არა საკუთრივ ქართული, მიწებიც შემოიერთა, თავიდანვე მრავალ-ეთნიკური წარმონაქმნი (სახელმწიფო) იყო, რაც აისახა შუა საუკუნეების საქართველოს მეფეთა ტიტულატურაშიც: „მეფე აფხაზთა, ქართველთა, რანთა, კახთა და სომეხთა, შირვან-შა და შაჰან-შა," რომელშიც, რასაკვირველია, მოიხსენიებიან ქართველებიც, მაგრამ არა პირველ პოზიციაზე. ამის მიზეზია ის, რომ არაბთა ლაშქრობების შემდეგ

კავკასიაში წარმოქმნილ სახელმწიფოთა გაერთიანების პროცესის ინიციატორი X საუკუნეში გახლდათ აფხაზთა მეფე ბაგრატ მესამე, რომელიც მამის - გურგენ ქართველთა მეფის გარდაცვალების შემდეგ ქართველთა მეფეც გახდა. ქვეყნის გაერთიანების პროცესი, რომელიც საუკუნეზე მეტხანს გაგრძელდა, დაასრულა დავით IV აღმაშენებელმა 1122 წელს თბილისის აღებით და მისი ქვეყნის დედაქალაქად გამოცხადებით. მანამდე კი, 33 წლის განმავლობაში, დავით აღმაშენებელი ქვეყანას მართავდა აფხაზთა სამეფოს დედაქალაქიდან - ქუთაისიდან. დიდხანს, თვით თამარ მეფემდე (1184-1210), საქართველოს მეფეებს შემოკლებით აფხაზთა მეფეს უწოდებდნენ, საქართველო კი უცხოელთათვის აფხაზეთი იყო. თბილისელი ბანოვანის მშვენიერებით მოხიბლული XII საუკუნის დიდი სპარსელი პოეტი ხაყანი მისდამი მიძღვნილ ლექსში წერს: „აფხაზი ქალის მშვენებამ ქართული შემასწავლაო“.

შუა საუკუნეებში საქართველოს სამეფოს მცხოვრებლის უფლებებსა და მოვალეობებს განსაზღვრავდა მხოლოდ და მხოლოდ მისი სოციალური სტატუსი და არა ეთნიკური ან რელიგიური კუთვნილება. გავიხსენოთ, რომ თამარის მეფობისას ძმებს - ზაქარია და ივანე მხარგრძელებს, ეთნიკური წარმოშობით ქურთებს და სარწმუნოებით მონოფიზიტებს, უმაღლესი სახელისუფლებო თანამდებობები ეკავათ - ერთი ამირსპასალარი, მეორე კი ათაბაგი და მსახურთუხუცესი იყო.

ეს ტრადიცია გვიან შუა საუკუნეებამდე გრძელდება, როცა ქართველ თავადაზნაურთა რიგებში ირიცხებოდნენ და აქტიურად მონაწილეობდნენ ქვეყნის მართვისა და თავდაცვის საქმეში სომხურ-გრიგორიანული (მონოფიზიტური) სარწმუნოების მიმდევარი და/ან სომხური წარმომავლობის ლორის¬მელიქიშვილები, ყორღანაშვილები, თუმანიშვილები, ბებუთაშვილები, არღუთაშვილები, ხოლო ყაზახისა (აზერბაიჯანი) და ბორჩალოს (მარნეული) მუსლიმ მოსახლეობაში ბოლო დრომდე ახსოვდათ, რომ მათი წინაპრები მეფე ერეკლეს პირად დაცვაში მსახურობდნენ.

ბიჭვინთის ღვთისმშობლის ხატი, 1568 წელი. მოიჭედა გელათში, აფხაზთა კათოლიკოსის, ევდემონ ჩხეტიძის, დავალებით.

ძველი საქართველოს სახელმწიფოს მოქალაქეთა მრავალეთნიკური და მრავალაღმსარებლობრივი ხასიათის სიმბოლო და დოკუმენტური მტკიცებულებაა თბილისში არსებული სხვადასხვა კონფესიის (მართლმადიდებლური, კათოლიკური, მონოფიზიტური, პროტესტანტული) ქრისტიანული ეკლესიები, სინაგოგები, სუნიტური და შიიტური მეჩეთები და ზოროასტრული სამლოცველო - ათეშგა.

საქართველოს ეთნიკურად არაქართველური წარმომავლობის მოქალაქეთა შორის აფხაზები ერთადერთი გამონაკლისია, რომელსაც, საქართველოს გარდა, სხვა სამშობლო არ გააჩნია. იმ უძველესი წერილობითი წყაროების ანალიზი, რომლებშიც პირველად იხსენიებიან დღევანდელ აფხაზთა წინაპრები, უფლებას გვაძლევს ვამტკიცოთ, რომ ისინი ქრისტიანული წელთაღრიცხვის დასაწყისში კავკასიის მთავარი ქედის სამხრეთით, შავი ზღვისპირას, ცხოვრობდნენ. უფრო ადრეულ ხანაზე მსჯელობა მხოლოდ არქეოლოგიურ მონაცემთა საფუძველზე შეგვიძლია. სწორედ არქეოლოგია ცხადყოფს, რომ ბრინჯაოს და ადრეული რკინის ხანაში ეთნიკური მასების ჩრდილოეთიდან სამხრეთით გადაადგილების კვალი არ შეინიშნება (თუ არ ჩავთვლით ირანულენოვან კიმერიელებსა და სკვითებს, რომლებიც კავკასიის გავლით დროდადრო აწყობდნენ მძარცველურ ლაშქრობებს ახლო აღმოსავლეთში, მაგრამ, როგორც წესი, უკან ბრუნდებოდნენ ხოლმე მშობლიური ევრაზიის ტრამალებში). ასე რომ, შეიძლება დავასკვნათ: აფხაზები არსაიდან არ მოსულან, ისინი აქ უძველესი დროიდან ცხოვრობენ და, იმედია, მომავალშიც იცხოვრებენ, თუ რუსებს გადაურჩნენ.

აფხაზეთისა და აფხაზების სახელწოდებები რუსულ და ევროპულ ენებში ქართულიდან არის შესული (კიდევ უფრო თვალსაჩინოა, რომ ოსებისა და ოსეთის სახელწოდებებიც რუსულ და ევროპულ ენებში ქართულიდან არის ნასესხები, აქ შენარჩუნებული ქართული სუფიქსით). ისინი კი, ვისაც ჩვენ აფხაზებად მოვიხსენიებთ, თავის თავს უწოდებენ - აფსუას. აფხაზეთს კი აფსუურ ენაზე ჰქვია - აფსნი.

წიგნიდან „დირბის ღვთისმშობლის მიძინების ეკლესია“, ავტ. გ.გაგოშიძე, ნ.ჩიხლაძე, 2006 წ.

ითვლება, რომ აფსუების წინაპრები იყვნენ I-II საუკუნის ბერძნულ-რომაულ წერილობით წყაროებში ნახსენები აბასგები და აფსილები, მაგრამ აქ საქმე ასე მარტივად არ წყდება. აბასგები და აფსილებიც, სავარაუდოდ, მონათესავე, მაგრამ მაინც სხვადასხვა ტომი იყო, რამდენადაც ტომების ერთ ჩამონათვალში ორივე ფიგურირებს. სხვაობა ამ ორ ეთნიკურ ჯგუფს შორის შუა საუკუნეებშიც რჩება. „ქართლის ცხოვრება“ ასხვავებს აფხაზებსა და აფხაზეთს აფშილებისა (აფსარების) და აფშილეთისგან (აფსილეთისგან). იქ ხაზგასმით წერია, რომ ცხუმი (სოხუმი) აფშილეთშია, ანაკოფია კი - აფხაზეთში; ამასთან, ცნობილია, რომ დღევანდელი აფხაზეთის ტერიტორიაზე აფხაზთა სამეფოს პირველმა მეფემ, ლეონ მეორემ, ორი საერისთავო შექმნა - ცხუმისა და აფხაზეთის საერისთავოები. ამ ორი ეთნიკური წარმონაქმნის სხვადასხვაობას ორი გვარსახელის - აფშილავას და აფხაზავას არსებობაც ადასტურებს. ტერმინი აფშილი აფსილის მეგრული გამოთქმა უნდა იყოს, აფშილი კი ძალიან ჰგავს დღევანდელი აფხაზების თვითდასახელებას - აფსუა. გარდა ამისა, „ქართლის ცხოვრების“ ერთ-ერთი ხელნაწერის მინაწერში ახსნილია, რომ თამარ მეფის ვაჟის, გიორგის, მეტსახელი ლაშა „განმანათლებლად სოფლისა ითარგმანა აფსარულითა ენითა“. აფსარი, აფსილი, აფსუას იდენტურობა ლინგვისტიკისთვის უეჭველია და ამ იდენტობის დამადასტურებელია ისიც, რომ ცნობილი ენათმეცნიერის, ქეთევან ლომთათიძის, გამოკვლევით, სიტყვა „ლაშა“ მართლაც აღნიშნავს მნათობს აფსუურ ენაზე. ვარაუდობენ, რომ რომაელთა მიერ მოხსენიებულმა აბაზგებმა, რომლებიც შავიზღვისპირეთში ცხოვრობდნენ, საქონლის საზაფხულო საძოვრების ძიებაში გადალახეს კავკასიონი და ქედის ჩრდილო ფერდობზე აღმოაჩინეს ნაყოფიერი მიწები და აბაზგიის მცხოვრებთა ნაწილი იქ დასახლდა და მათი შთამომავლები დღემდე ცხოვრობენ იქ აბაზების სახელით. აბაზური ენა ძალიან ახლოა აფსუურთან.

ის, რომ საქართველო მრავალეთნიკური სახელმწიფოა, არ არის მისი სისუსტის მაჩვენებელი, პირიქით, ქვეყნის სიძლიერის ნიშანია. საუკუნეთა მანძილზე აქ მცხოვრები ყველა ეთნოსი ერთმანეთთან ქართულ ენაზე ურთიერთობდა.

აბაზგებმა ადრეულ შუა საუკუნეებში ჰეგემონობა მოიპოვეს რეგიონში და სულაც არ არის გასაკვირი, რომ მათი სახელწოდება აფხაზეთისა და აფხაზის სახით შეინარჩუნა ქართულმა ლექსიკამ აბაზგებისა და აფსილების ქვეყნისა და მოსახლეობის აღსანიშნავად.

ის, რომ საქართველო მრავალეთნიკური სახელმწიფოა, არ არის მისი სისუსტის მაჩვენებელი, პირიქით, ქვეყნის სიძლიერის ნიშანია. საუკუნეთა მანძილზე აქ მცხოვრები ყველა ეთნოსი ერთმანეთთან ქართულ ენაზე ურთიერთობდა.

და ასე იყო ქართლის სამეფოს დაარსებიდანვე, რასაც ადასტურებს ლეონტი მროველი, რომელიც ქართლის პირველი მეფის შესახებ წერს: „ამან ფარნავაზ განავრცო ენა ქართული, და არღარა იზრახებოდა სხვა ენა ქართლსა შინა თვინიერ ქართულისა“. მე-19 საუკუნეშიც კი, მიუხედავად იმისა, როს საქართველო რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში იყო მოქცეული, თბილისის მულტიეთნიკური მოსახლეობის საკომუნიკაციო ენად ქართული დარჩა.



აფხაზთა მეფის, ლეონ III-ის (957-967 წ.წ.), წარწერა.

ქართველების უმეტესობა თუ არა, ბევრი მაინც, აფხაზებს ამ ბოლო დრომდე ქართველებად მიიჩნევდა. რიგითი ქართველისთვის ის გარემოება, რომ აფხაზები ერთმანეთთან სხვა, მისთვის გაუგებარ ენაზე საუბრობდნენ, სულაც არ იყო მასთან გაუცხოების ან აფხაზის არაქართველად გამოცხადების საფუძველი (ქართველთა ნაწილს ხომ არც ლაზურ-მეგრული, სვანური ან წოვა-თუშური ესმოდა). აფხაზებიც, ყოველ შემთხვევაში აფხაზური ელიტა, თავს ქართველად მიიჩნევდა. საყოველთაოდ ცნობილია ილია ჭავჭავაძის თანამებრძოლის, აფხაზ მთავართა საგვარეულოს წარმომადგენლის, გიორგი შერვაშიძის (1846-1918), ღვაწლი ქვეყნის წინაშე. აქვე არ შეიძლება არ გავიხსენოთ კონსტანტინე გამსახურდიას „მთვარის მოტაცების“ მთავარი გმირის, თარაშ ემხვარის პროტოტიპი, არზაყან ემხვარი, აფხაზთა კრების თავმჯდომარე და საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამფუძნებელი კრების მონაწილე, რომელიც სათავეში ედგა აფხაზეთში დემოკრატიულ მოძრაობას ლოზუნგით: „გავერთიანდეთ არა ჩრდილოეთ კავკასიასთან, არამედ საქართველოსთან!“.

ქართველთა და აფხაზთა ეთნოკულტურული ერთობა ასახულია ქართულ მწერლობაში. გრიგოლ ორბელიანიც თავის პოემა „სადღეგრძელოში“ მშვილდოსნობით ცნობილ აფხაზებს მოიხსენიებს თამარის დროშის ქვეშ დიდუბეში შეკრებილი ლაშქრის შემადგენლობაში, მეგრელებთან, გურულებთან, იმერლებსა და მესხებთან ერთად. ქართველთა (გურულების, იმერლების, მეგრელების) და აფხაზთა ეთნოკულტურული ერთიანობის შთამბეჭდავი სურათი დახატა ნიკო ლორთქიფანიძემ მოთხრობა „რაინდებში“, რომელშიც აღწერილია იმერეთის მეფის ომი განდგომილ აფხაზებთან. საყურადღებოა, რომ მოთხრობაში აფხაზ ყმაწვილს აგიაშვილი მეგრულად ელაპარაკება. მე-17 საუკუნის თურქი მოღვაწე ევლია ჩელები, რომელსაც მაღალი თანამდებობა ეკავა ოსმალეთის სულთნის კარზე, დედით აფხაზი იყო და

დედულეთში თავისი მოგზაურობის აღწერისას აღნიშნავს, რომ ენგურის გადაღმა მცხოვრებნი მეგრულადაც ლაპარაკობდნენ. ევლია ჩელებმა აფხაზური ენა იცოდა და, ამდენად, მისი ეს ცნობა სავსებით სანდოა. აქვე არ შეიძლება არ გავიხსენოთ აკაკი წერეთლის შესანიშნავი პოემა „გამზრდელი“, რომელშიც აფხაზი ბათუ თავის დიდ სიყვარულს უკავშირებს მეგრელ ნაზიბროლას და მასზე ქორწინდება. ხოლო ქალს აფხაზი ვაჟი ცისა და ქვეყნის შუამავლად მიაჩნია. პოემაში კარგად ჩანს მეგრელისა და აფხაზის როგორც საყოფაცხოვრებო, ისე სულიერი ერთობა, რომელიც ერთ კულტურას ქმნის, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს აფხაზთა და ქართველთა ეთნოგრაფიულ და ეთნოკულტურულ ერთობასაც.

ერედვის ბაზილიკა, აგების თარიღი 914 წ.

უახლესი ანთროპოლოგიური გამოკვლევების თანახმად, აფსუები ქართველებისგან არ განსხვავდებიან, რაც აფხაზებისა და ქართველების მრავალსაუკუნოვანი თანაცხოვრების შედეგია. ეს აისახა აფსუა-აფხაზების ეთნოგრაფიასა და მთლიანად კულტურაზე, რომელიც აფხაზებსა და ქართველებს ერთი გვაქვს.

IV საუკუნიდან აფხაზეთი ლაზიკის სამეფოს შემადგენლობაში მოიაზრება. VI საუკუნეში, ბერძენ-სპარსელთა ომის დროს, ლაზებს განუდგნენ აფსილები და მისიმიელები. VII საუკუნეში ლაზიკა და აბაზგია ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად ემორჩილებიან ბიზანტიის იმპერატორს. VIII საკუნეში საქართველოს არაბები იპყრობენ. ანაკოფიასთან არაბებს ქართლისა და ეგრისის მეფეებთან ერთად აფხაზთა მთავარი ლეონ I-იც ებრძვის 2000-იანი ჯარით. დასავლეთ საქართველოდან არაბთა წასვლის შემდეგ, VIII საუკუნის შუახანებიდან, ქვეყნის ხელახალი გაერთიანების მისია აფხაზთა ერისთავებმა ითავეს. იმავე საუკუნის 80-იან წლებში აფხაზთა ერისთავმა ლეონ II-მ მთელი დასავლეთ საქართველო დაიკავა, სატახტო ქალაქად ქუთაისი გამოაცხადა და მეფის ტიტული მიიღო. ლეონმა თავისი სამეფო დაყო 8 საერისთავოდ. მათგან ორი დღევანდელი აფხაზეთის ტერიტორიაზე მდებარეობდა, სამხრეთ-აღმოსავლეთით ცხუმის საერისთავო, მისგან ჩრდილო-დასავლეთით კი - საკუთრივ აფხაზეთის საერისთავო, რომელსაც ექვემდებარებოდა ჯიქეთი (სოჭი-ტუაფსეს რეგიონი), სადაც ცხოვრობდნენ აფხაზთა მონათესავე უბიხები.

აფხაზთა მეფეები თუ ეთნიკურად არა, კულტურულ-პოლიტიკურად მაინც ისეთივე ქართველები იყვნენ, როგორებიც ტაო-კლარჯეთისა და კახეთ-ჰერეთის მეფეები და მათთან ერთად ჩართულნი იყვნენ ურთიერთბრძოლაში საკუთარი ქვეყნის, საქართველოს, გასაერთიანებლად. აფხაზთა მეფეების სახელით და მათი დაკვეთით შესრულებული ყველა წარწერა, გამონაკლისის გარეშე, ქართულია.

აფხაზთა მეფეები თუ ეთნიკურად არა, კულტურულ-პოლიტიკურად მაინც ისეთივე ქართველები იყვნენ, როგორებიც ტაო-კლარჯეთისა და კახეთ-ჰერეთის მეფეები და მათთან ერთად ჩართულნი იყვნენ ურთიერთბრძოლაში საკუთარი ქვეყნის, საქართველოს, გასაერთიანებლად.

აფხაზთა მეფეების სახელით და მათი დაკვეთით შესრულებული ყველა წარწერა, გამონაკლისის გარეშე, ქართულია. მეტიც, უძველესი ქართული წარწერები დასავლეთ საქართველოში შემორჩენილია სწორედ აფსუა-აფხაზთა მშობლიურ კუთხეში, გუდაუთაში. ეს ყველაფერი მიგვანიშნებს, თუ რაოდენ ღრმა იყო აფსუა-აფხაზთა ქართველებთან ინტეგრაციის ხარისხი. აფხაზთა კულტურის, საურთიერთობო, სამწერლობო და ლოცვის ენა რომ უკვე ადრეულ შუა საუკუნეებში ქართული იყო, ამის მანიშნებელია ის, თუ რა იოლად და უმტკივნეულოდ მოხდა კონსტანტინოპოლის დაქვემდებარებიდან გამოსული აფხაზეთის ეკლესიის გაერთიანება ქართლის საპატრიარქოსთან X საუკუნეში და ბერძნული ღვთისმსახურების ქართულით ჩანაცვლება.



წარწერა აფხაზთა მეფის, კონსტანტინე III-ის (893-922წ.წ.), მოხსენიებით.

აფხაზურ-ქართულ ერთობას გვიან შუა საუკუნეებში საქართველოს სამეფო-სამთავროებად დაშლამაც კი ვერ გაუჩინა ბზარი. ურთიერთ შორის ბრძოლისა და ქიშპის მიუხედავად, ყველა ეს პოლიტიკური ერთეული, მათ შორის აფხაზეთიც, თავს საქართველოს ნაწილად მოიაზრებდა. მაგრამ XIX ს-ის მეორე ნახევარში აფხაზეთმა განიცადა კატასტროფული დარტყმა, რომლის შედეგები დღესაც თავს გვახსენებს. კერძოდ, 1859 წელს, შამილის დატყვევების შემდეგ, რუსეთი დასავლეთი კავკასიის დაპყრობას შეუდგა. საქმის გაიოლების მიზნით, რუსეთის იმპერატორმა გადაწყვიტა, პირწმინდად აეყარა შავი ზღვის სანაპიროდან ადგილობრივი მოსახლეობა. 1866 წლის ანტირუსული აჯანყების შემდეგ, 1867 წლის გაზაფხულზე, რუსებმა ოსმალეთთან შეთანხმებით წებელდის, დალისა და ბიჭვინთის მოსახლეობა, სულ 19342 სული, თურქეთში გაასახლეს. გადასახლებულთა შორის ქართველებიც იყვნენ. აფხაზთა თურქეთში ძალისმიერი გასახლების (რომელიც მუჰაჯირობის სახელით არის ცნობილი), მეორე ეტაპი 1877 წელს განხორციელდა. თითქმის მთლიანად დაიცალა აფხაზეთის სანაპირო ზოლი, საიდანაც რუსებმა 31964 მცხოვრები განდევნეს, დაცლილი მიწა კი რუსებს, გერმანელებსა და თურქეთიდან გადმოყვანილ ბერძნებს დაურიგეს.

აფხაზი ერი სრული განადგურებისაგან იხსნეს ქართველმა მღვდელმსახურებმა, რომლებმაც მუსლიმი აფხაზები მასობრივად მონათლეს, მაგრამ მუჰაჯირობამ გამოუსწორებელი დაღი დაასვა აფხაზეთს და აფხაზებს. მუჰაჯირობა უპირატესად შეეხო აფხაზეთის ბარის მოსახლეობას, რომელიც უფრო ცივილიზებული და ქართველებთან უფრო ინტეგრირებული იყო, მთიელებთან შედარებით. ასე რომ, მათი გასახლებით აფხაზეთში გაწყდა ისტორიული განვითარების ძაფი. აფხაზთა შორის

წარსულის ხსოვნის ამოძირკვის პროცესი, რომელიც ცარისტულმა რუსეთმა დაიწყო, წარმატებით დააგვირგვინა საბჭოთა რუსეთმა, რომელმაც დედაბუდიანად ამოჟლიტა მუჰაჯირობას გადარჩენილი აფხაზი თავადაზნაურობა, რომელსაც შერჩენილი ჰქონდა ისტორიული მეხსიერება. ისტორიულ მეხსიერებას მოწყვეტილი ხალხით მანიპულირება კი ადვილია და რუსეთმა ამ საქმეს კარგად გაართვა თავი.

1921 წლის მარტში დასრულდა საქართველოს ოკუპაცია ბოლშევიკური რუსეთის მიერ. დაპყრობილი ქვეყანა ახალ ერთეულებად დაიყო, გაჩნდა მანამდე არარსებული ტოპონიმები და ავტონომიები. აფხაზეთი სოციალისტურ რესპუბლიკად გამოცხადდა, მაგრამ შემდეგ ისევ საქართველოს შემადგენლობაში დაბრუნდა ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსით. აფხაზეთი ერთადერთი ტერიტორიული წარმონაქმნი იყო ყოფილ საბჭოთა კავშირში, სადაც ამ ერთეულისთვის სახელის მიმცემი ერი იქ ეროვნულ უმცირესობას წარმოადგენდა. და ამ უმცირესობის წარმომადგენლებს ჰქონდათ უპირატესი უფლება, დაეკავებინათ მმართველი პოზიცია პარტიულ და ბიუროკრატიულ აპარატში. ამან დაამახინჯა საზოგადოებრივი ურთიერთობები და მოშალა სოციალური კომუნიკაცია, რამაც ხელი შეუწყო გაუცხოებას აფხაზებსა და ქართველებს შორის. ბევრი ამას ერთგვარ აპარტეიდსაც ეძახის, რომელიც დიდწილად გახდა საფუძველი აფხაზეთში ახალი, ეთნიკურ პრივილეგიებზე დაფუძნებული საზოგადოების ჩამოყალიბებისა, სადაც ქართველობა წამგებიანი იყო. ამან მიგვიყვანა აფხაზთა მიერ ქართველთა სიძულვილამდე, რამაც შესაძლებელი გახადა 1992-1993 წლებში აფხაზეთში მომხდარი რუსეთ-საქართველოს ომი და მის დროს ქართველთა მიმართ ეთნიკური ნიშნით ჩადენილი გაუგონარი სისასტიკეები, გაგრისა და სოხუმის გენოციდისა და აფხაზეთიდან ძირძველი ქართული მოსახლეობის დროებით განდევნით. თუმცა ეს ცალკე ამბავია და მას სხვა დროს დავუბრუნდებით. ■

აფხაზთა შორის წარსულის ხსოვნის ამოძირკვის პროცესი, რომელიც ცარისტულმა რუსეთმა დაიწყო, წარმატებით დააგვირგვინა საბჭოთა რუსეთმა, რომელმაც დედაბუდიანად ამოჟლიტა მუჰაჯირობას გადარჩენილი აფხაზი თავადაზნაურობა, რომელსაც შერჩენილი ჰქონდა ისტორიული მეხსიერება. ისტორიულ მეხსიერებას მოწყვეტილი ხალხით მანიპულირება კი ადვილია და რუსეთმა ამ საქმეს კარგად გაართვა თავი.

ქეთი
ქურდოვანიძე

დაკარგულის ძიებაში

აფხაზეთი და ქართველი საბჭოთა ინტელიგენცია

როცა რაღაც ძალიან ძვირფასს კარგავ, ვეღარ ისვენებ - დღენიადაგ ღელავ, განიცდი, დაეძებ, ელი... და სულ გაქვს იმედი, რომ იპოვი და დაიბრუნებ. შემდეგ ემოცია თანდათან ჩლუნგდება, ფერმკრთალდება კონტურები, პასიურ მეხსიერებად იქცევა და მხოლოდ ცალკეულ დეტალებს შემოინახავს ხოლმე ცოცხლად. თუმცა ერთი უცნაური რამ მაინც ახლავს ამ მოვლენასთან დაკავშირებულ ემოციურ გრადაციას - ის, რაც დაკარგე, კიდევ უფრო ძვირფასი ხდება. ასეთ დროს, მოვლენას, ნივთსა თუ საგანს მისი არსებობა კი არ სძენს მნიშვნელობას, არამედ მისი დაკარგვით გამოწვეული ტკივილი. ჰამლეტისეული კითხვაც ამას გულისხმობს: რა ადებს ფასს ადამიანის არსებობას - ყოფნა თუ არყოფნა? ან თუნდაც ვაჟას „შენი ჭირიმე, სიკვდილო, სიცოცხლე ფასობს შენითა!“.

ასე დაედო განსაკუთრებული ფასი აფხაზეთსაც, რომელიც ჩვენს ბავშვობაში გართობის, სილაღის, ბედნიერების, სილამაზით ტკბობისა და მშვიდად დასვენების

ადგილად აღიქმებოდა „ძირძველი თბილისელებისთვის“ - ადგილად იმ „დიდ სახლში“, სადაც ყველაფერია შენი სიმყუდროვისთვის, კომფორტისა და მოსვენებისთვის, რომელიც სულ გეგულება და ვერასოდეს წარმოიდგენ, რომ ერთ მშვენიერ დღეს აქ ყველაფერი აირევა, გავერანდება და გაუცხოვდება.

ასე დაგვემართა ჩვენც, „ძირძველ თბილისელებს“, ყოველ ზაფხულს სოციალური უპირატესობის განცდით რომ მივაკითხავდით ბიჭვინთის სანაპიროებს, ზოგი ლიტფონდის, ზოგი „დომ ტვორჩესტვასა“ (ხელოვანთა სახლი) და ზოგიც - კორპუსების დასასვენებელ სახლებს და სიამაყით გამოვიჭიმებოდით პრივილეგიის დამადასტურებელი ორკვირიანი, ხანაც 24-დღიანი, საგზურებით ზღვის მხარეს გადამდგარ „ლუქსებში“.

იწყებოდა მერე ჩემოდნების ამოლაგება, გადამყიდველებთან ცეცხლის ფასად ნაყიდი ტანსაცმლის დემონსტრირება, რიგი კორპუსის მანიკიურშასთან, ბილიარდის თამაში და პრეფერანსის პულკები, საღამოობით კი ქეიფი და ყავაზე მკითხაობა რუსი ვალიას ბარში, რომელმაც ჩვენგან გაიგო, რომ რუსულში ყავა მამრობითი სქესის სიტყვაა, რუსულ მენიუში შეტანილი შოკოლადი კი „ო“-თი იწერება და არა „ი“-თი, სრულიად უაზრო და შინაარსს მოკლებული „სვეტსკი“ საუბრები - ვინ ვისი საყვარელია, ვისი შვილი ვისას სჯობს და ვინ რომელ კაპიტალისტურ ქვეყანაშია ნამყოფი (თორემ, აბა, სოციალისტურში ხომ ყველა დადიოდა?).

რუსებთან ურთიერთობა და იდენტიფიკაცია კიდევ უფრო ზრდიდა ქართველ „კულტურის მუშაკთა“ თვითშეფასებასა და აღმატებულობის განცდას, განსაკუთრებით მაშინ, თუ რომელიმე რუსი „კულტურის მუშაკი“ შეგაქებდა, მოგიწონებდა კარგად შესრულებულ რუსულ რომანსს ან ცხიმში ჩაბუჟბუჟებულ „ოდჟახურის“.

ასე იქმნებოდა ქართული საბჭოთა კულტურა ბიჭვინთის „შემოქმედებით სახლში“ და ამ კულტურას ასაზრდოებდა, ამდიდრებდა და წითელ პეწს მატებდა რუს ხელოვანთა შეუზღუდავი წვდომა ასეთი ტიპის დასასვენებელ სახლებზე. ვის არ ნახავდით აქ: კასტალევსკისა და სმაკტუნოვსკის, გრიცენკოსა და ეტუშს, წელიჩკინასა და მურავიოვას, გურჩენკოსა და გოგოლევას, თავიანთი შვილებით, შვილიშვილებით, ქმრებით, საყვარლებითა და მეგობრებით. რუსებთან ურთიერთობა და იდენტიფიკაცია კიდევ უფრო ზრდიდა ქართველ „კულტურის მუშაკთა“ თვითშეფასებასა და აღმატებულობის განცდას, განსაკუთრებით მაშინ, თუ რომელიმე რუსი „კულტურის მუშაკი“ შეგაქებდა, მოგიწონებდა კარგად შესრულებულ რუსულ რომანსს ან ცხიმში ჩაბუჟბუჟებულ „ოდჟახურის“ (რამეთუ იმ დროს ქართული ელიტა ჯერ კიდევ არ იყო ფრანგული და იტალიური კერძების სინატიფეს ნაზიარები). აი, აქ სულ სხვა სიხარული დაისადგურებდა ხოლმე ამაყი ქართველი ხელოვანების თვალებში. მერე იწყებოდა ამაზე გაუთავებელი სჯა-ბაასი, თავის მოწონება, ყელყელაობა. ამას მოჰყვებოდა წინა ზაფხულის ამბების გახსენება და შემდეგ უსაგნო წუხილი, რომ წელს იაკოვლევმა ვერ მოახერხა ბიჭვინთაში ჩამოსვლა. ამ წუხილს კი აგვირგვინებდა რომელიმე ქართველი თეატრალის ძალიან შინაურული და წუხილნარევი მონათხრობი ამა თუ იმ რუსი მსახიობის პროსტატის ანთებაზე ან ოჯახურ პერიპეტიებზე. ისმენდნენ ამას უფრო დაბალი კლასის ხელოვანები და მერე, თბილისში დაბრუნებულნი, პირველ პირში უყვებოდნენ მათზე კიდევ უფრო დაბალი კლასის მსმენელს. ჰოდა, ვითარდებოდა ასე ხელოვნებაცა და ხალხიც.

ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ქართველ ხელოვანებს არასდროს ტოვებდა სხვათა დაცინვა-გაქილიკებისა და განქიქების სისხლხორცეულად გამჯდარი ჩვევა. ამას ალბათ მათი „კრიტიკული აზროვნების“ უნარს უნდა ვუმადლოდეთ, თორემ სხვა რა ძალამ შეიძლება ათქმევინოს ქართველ საბჭოთა ინტელიგენტს პუშკინისა და ლერმონტოვის შთამომავლებზე აუგი? დასხდებოდნენ ვესტიბიულში - ზოგი შორენა კოლონკელიძის როლის შემსრულებელი, მიწიერად კი მინისტრის ცოლი, ზოგი ბეჩუნი პერტიას როლის შემსრულებელი, მიწიერად კი „წიგნი ფიცისას“ შემოქმედის ცოლი, ზოგიც კი ოიდიპოსის შემსრულებლის ცოლი, მიწიერად კი ფოთის საპატიო მოქალაქე და იწყებოდა ვრცელი ტირადები სმოკტუნოვსკის უმსგავსო შვილზე, გოგოლევას

ნაოჭებიან სახეზე, გურჩენკოს ახალგაზრდა საყვარელსა თუ წელიჩკინას მოკლე კაბებზე.

რით იყო ღირსშესანიშნავი ეს საუბრები? მხოლოდ და მხოლოდ ლინგვისტური თვალსაზრისით, რადგან სწორედ ამ ტიპის დისკუსია იმართებოდა ქართულ ენაზე (სტუმრებს რომ არ გაეგოთ და არ სწყენოდათ), სხვა დროს კომუნიკაციის ენად რუსული გამოიყენებოდა, ამიტომაც მოისმენდით აქ საარაკო რუსულს. კარგი მორუსულეებიც იყვნენ, მაგრამ იმდენად ცოტა, რომ, მგონი, გარჯადაც კი არ ღირდა ესოდენი ძალისხმევა, ერთმანეთისთვის გაეგებინებინათ, როგორ ჭვრეტენ სამყაროს და რას მოითხოვენ წუთისოფლისგან. ჰო, მართლა, მერე იმასაც დასცინოდნენ, ვინც რუსულად ლაპარაკის დროს შეცდომებს უშვებდა და იყო ერთი ტალსტოი-დასტაევსკის ძახილი.

რუსები ქართველებისგან შორს იჭერდნენ თავს. მათ ნომრებში რომ კარგად გამოთვრებოდნენ, ემშვიდობებოდნენ მადლიერ მასპინძელს და საგანგებოდ გაკეთებული „უკლადკებით“ (ვარცხნილობა) „ტანცპლაშადკას“ (საცეკვაო მოედანს) მიაშურებდნენ. გაწბილებული მასპინძლები კი რესტორნებში იკლავდნენ მათთან განშორების სევდას. შემდეგ ყველა უკან ბრუნდებოდა და აი, აქ იწყებოდა ჩხუბი და დავიდარაბა. „ტვორჩესტვას“ კარიბჭე 12 საათზე იკეტებოდა და ამ დროის შემდეგ იქ შინაგანაწესით აღარავინ დაიშვებოდა. ეს წესი არ ვრცელდებოდა რუსებზე - ეს დაუწერელი კანონი იყო. სამაგიეროდ, ქართველები ისჯებოდნენ მკაცრად: ორჯერ დაგვიანება „სამოთხიდან“ გაძევებას ნიშნავდა მგლის ბილეთით. თუმცა ქართველების დიდი ნაწილი ამის მოგვარებასაც ახერხებდა გუგული ნიკალაევნასთან -„ტვორჩესტვას“ დირექტორთან. მისი მსახვრალი ხელი კი სასეირნოდ გასულ ახალგაზრდა და ხელმოკლე წყვილებს მოხვდებოდა ხოლმე. არ უყვარდა გუგული ნიკალაევნას უყურადღებობა და უსაჩუქრობა. დიახ, ასე იყო.

და მაინც, დილა ჩვეულებრივ თენდებოდა, პლაჟი თანდათან ივსებოდა ნაბახუსევი, ნაჭორავები, „ნაგულავები“ დამსვენებლებით და ამ არყისა და გათანგულობის ოხშივარს მთლიანად ფარავდა კამკამა ზღვა და კაშკაშა მზე - თვალწარმტაცი აფხაზეთი, არც თავისი მშვენებით გაამპარტავნებული და არც თვისი სიწმინდით გადიდგულებული. ეს მოცემულობა სულ არსებობდა და იმ საპირწონეს ქმნიდა, რომელიც მოთმინებას გმატებს, აიტანო ქართველ ხელოვანთა ზემოთ აღწერილი შემოქმედებითი წიაღსვლები.

ამ საბჭოურ სიმყუდროვეს, აქ რომ დავანებულიყო ხელოვანთა საამებლად, ხანდახან არღვევდა ხოლმე ისეთი ამბები, მაგალითად, როგორიცაა თვითმფრინავის ბიჭების ისტორია. მორალური დილემებისთვის არც ჩვენი საზოგადოება იყო მზად და არც ცალკეული ხელოვანი, ამიტომ მათ თავზე დამოკლეს მახვილივით ჩამოეკიდა უდანაშაულო მღვდლისა და რამდენიმე მეამბოხე ახალგაზრდის დახვრეტის გადაწყვეტილება. მორალურ დილემას ვამბობ, თორემ ეს მორალი საერთოდ არ იმუშავებდა, ცნობილი ადამიანების შვილების ნაცვლად, ამ თვითმფრინავში ვინმე წალენჯიხელი ან ზესტაფონელი გოგო-ბიჭები რომ მსხდარიყო. ეჰ, არ გაუმართლა ჩვენს ხელოვანებს - არ იქნებოდა ლამაზი, კოლეგებისა და მეგობრების შვილების შეწყალებაზე უარის თქმა, არადა ამ ხელმოწერაში დიდი ფასის გადახდა მოუწევდათ. მოკლედ, წინ - წყალი და უკან - მეწყერი. და მაინც, ზოგმა მოაწერა, ზოგმაც საკუთარი ხელმოწერა უკან წაიღო და მერე თავი გაიმართლა, მაინც დახვრეტდნენო. ჰო, ასეთებიც იყვნენ.

> **მეხსიერება ინახავს იმას, რაც ჩვენთვის მნიშვნელოვანია. მეხსიერება გვაკავშირებს იმასთან, რაც გვიყვარდა და გვწამდა, იმას კი, რა გვიყვარდა, რა გვწამდა, რა გვეძვირფასებოდა, განგრძობადი დრო მატებს სიცხადეს. ჰოდა, რა გამოირკვა, რა იყო ჩვენთვის აფხაზეთი - მზე, ზღვა და რუსებით სავსე „თეთრი სანატორია“ თუ გალაკტიონის ამოძახილი: „მომაგებე მშობლიური მიწა, შენი ძველი მეგობარი მიცან“?**

განაჩენი 1984 წლის 23 აგვისტოს გამოიტანეს, გაგანია ბიჭვინთის სეზონზე. სასამართლო პროცესის პირდაპირი ტრანსლაცია გამოცხადდა. ყველა „ხელოვანთა

სახლის“ ვესტიბიულში შეიკრიბა. რუსებიც იქ იყვნენ და „ვრემიას“ (რუსული საინფორმაციო გადაცემა) უყურებდნენ, მოსკოვზე ჰქონდათ გადართული, და სულ არ ედარდებოდათ იქ მოფუსფუსე ხალხის მღელვარება. დიდი ძალისხმევა დაგვჭირდა, რომ ტელევიზორი ქართულ არხზე გადაგვერთო (მაშინ ხომ სულ სამი არხის არჩევანი იყო). რუსებმა გათიშეს ტელევიზორი და ახლა ჩამქრალ ეკრანს მიუსხდნენ და მიაშტერდნენ, რომ მათი ადგილები არავის დაეკავებინა. ისხდნენ უტყვად და ამ მდუმარებით ამბობდნენ, რომ იქაურობა მათია. ჩვენ მაინც ჩავრთეთ ტელევიზორი. განაჩენი გამოცხადდა. ატყდა ზლუქუნი, ხმამაღალი შეძახილები, თუმცა არაფერი ისეთი, რაც მიანიშნებდა, რომ ხუთი ადამიანი სიკვდილით უნდა დაესაჯათ. მერე ხალხი ნელ-ნელა გაიკრიბა - ზოგმა ბარს მიაშურა, ზოგმა რესტორანს - ზუსტად ისე, როგორც ილიას მოთხრობაშია - „სარჩობელაზედ“. დილით არავის არაფერი ახსოვდა, აღარც ვიშვიში, აღარც ზლუქუნი. იყო ერთი სიმღერა და ვარხივარალე.

გავა წლები და ასე უხმოდ, უცრემლოდ, უსულგულოდ გამოიტირებენ ქართველები გაგრის სტადიონზე დახვრეტილ ბიჭებს, დაკარგულ აფხაზეთსა და „თეთრ სანატორიას“, სანუგეშოდ კი იტყვიან, რომ ეს ორკვირიანი საგზურები მაინც აღარ არსებობს, არც ის საბჭოთა კომფორტი, ჰოდა მალდივებზე დავისვენებ, უფრო ასწორებსო.

მეხსიერება ინახავს იმას, რაც ჩვენთვის მნიშვნელოვანია. მეხსიერება გვაკავშირებს იმასთან, რაც გვიყვარდა და გვწამდა, იმას კი, რა გვიყვარდა, რა გვწამდა, რა გვეძვირფასებოდა, განგრძობადი დრო მატებს სიცხადეს. ჰოდა, რა გამოირკვა, რა იყო ჩვენთვის აფხაზეთი - მზე, ზღვა და რუსებით სავსე „თეთრი სანატორია“ თუ გალაკტიონის ამოძახილი: „მომაგებე მშობლიური მიწა, შენი ძველი მეგობარი მიცან“?

აი, ამას უნდა გავცეთ პასუხი.

თაზო დათუნაშვილი



რუსეთი მტერია, ჩვენ კი ევროპული სახელმწიფო ვართ!

ყველა ლოგიკითა და კანონზომიერებით, დღევანდელ საქართველოში რუსის მოსატყუებელი სივრცე არ უნდა დარჩენილიყო. ბოლო ორ ასწლეულში ჩვენს თავს ყველანაირი უბედურების ბორბალი დატრიალებულა და, თუ რამ ისტორიული მეხსიერება გაგვაჩნია, ამ უბედურების დამტრიალებელი ყოველთვის რუსები იყვნენ. ხოლო, თუ ისტორიასა და წიგნს ვინმე არ სწყალობს, ჩემმა თაობამაც კი რუსული შაშხანის გემო საკუთარ თავზე იწვნია, აგერ, სულ რაღაც თხუთმეტი წლის წინათ. თითქოს ყველაფერი ნათელია, შავიცა და თეთრიც ხელისგულზე დევს - რუსეთი მტერია, ჩვენ კი ევროპული სახელმწიფო ვართ.

მაგრამ აგერ უკვე მერამდენედ, ჩვენი საზოგადოება ისევ აღმოჩნდა უფსკრულის ზღვართან. ჩვენი გადაჩეხის მოსურნისა და წიხლის მკვრელის როლში ისევ რუსული ჩექმაა... თითქოს თვალახვეულნი ვდგავართ უფსკრულის პირას და თითქოს ვერ ვხედავთ ამ გავეშებულ, ვერაგ მტერს, რომელსაც უბრალოდ ჩვენი არსებობა აღიზიანებს. მისი მიზანი ქართული სახელმწიფოს გაქრობაა. ჩვენი საზოგადოება თითქოს ფროიდიანული დილემის წინაშე დგას. არადა მართლაც რომ ყველაფერი ცხადზე უცხადესია - რუსეთი მტერია, ჩვენ კი ევროპული სახელმწიფო ვართ.

ჩვენ კოლონიალიზმისგან ტრავმირებული ერი ვართ, თუმცა სხვა კოლონიზებულ ერებთან შედარებით უფრო მძიმე ვითარებაში აღმოვჩნდით, რადგან ჩვენი ქვეყნის კოლონიზატორი და აგრესორი დიდი ხნის განმავლობაში ასეთად არ აღიქმებოდა. კოლექტიური აზროვნების ტრენდი არ იყო რუსეთის იმპერიის, კლასიკური გაგებით, კოლონიზატორად მოხსენიება. ჩვენ თითქმის 200-წლიანი ტანჯვა გამოვიარეთ, საიდანაც ჯერ შუა საუკუნეების ტიპის მონღოლური იმპერია, ხოლო 70 წელი - კაცობრიობის ისტორიაში ყველაზე საშინელი ტოტალიტარული ფორმის რუსულ-ბოლშევიკური სახელმწიფო სცლიდა სისხლისგან საქართველოს. რუსულმა იმპერიულმა მისწრაფებებმა შეიწირა მილიონობით ქართველის სიცოცხლე, შეიწირა ქართული მონარქია, შემდეგ დემოკრატია, გაწყვიტა ჩვენი არისტოკრატია, შემდეგ ინტელექტუალური ელიტა, წაგვართვა ენა და დიდი ხნის განმავლობაში - ნაციონალური სენტიმენტებიც. შესაბამისად, ყველაფერი დღესავით ნათელია - რუსეთი მტერია, ჩვენ კი ევროპული სახელმწიფო ვართ.

თანამედროვე ქართულ დემოკრატიულ სახელმწიფოს ხანმოკლე ისტორია აქვს, მაგრამ ამ 32 წლის განმავლობაშიც კი ყველა ადამიანი, რომლებიც ჩვენი ქვეყნის ერთიანობისათვის დაიღუპნენ - უკლებლივ ყველა! - რუსეთთან ბრძოლას შეეწირა. ყველა ომი, რომლებიც გამოვიარეთ, იქნებოდა ეს აფხაზეთის, სამაჩაბლოს თუ ე.წ. სამოქალაქო ომები - ყველა, სინამდვილეში, რუსეთ-საქართველოს ომი იყო. როგორც იმ ფრთიან ფრაზაშია „მოსკოვში ჩვენზე არა პიროვნებები, არამედ ინსტიტუტები მუშაობენ“, უფრო სწორად კი - ჩვენს წინააღმდეგ. 30 წელია, ისევე ნიღბავს ჩვენი განადგურების დაუოკებელ წყურვილს ხან აფხაზებთან „ეთნოკონფლიქტით“, ხან რუსეთის მოქალაქეების ინტერესების დაცვით, ხან კიდევ „სამოქალაქო ომით“, რომ

ჩვენში ზოგიერთებმა დაიჯერეს კიდეც ამ სიგიჟის და ხშირად ავიწყდებათ - რომ რუსეთი მტერია, ჩვენ კი ევროპული სახელმწიფო ვართ.

მტრის აღქმის უნარი ყველაზე მნიშვნელოვანი კომპონენტია სახელმწიფოებრივი და მოქალაქეობრივი აზროვნების განვითარებისათვის - რადგან საზოგადოებას ესმის, საფრთხე საიდან მოდის, მტერი იდენტიფიცირებული და გააზრებულია. „კართაგენი უნდა დაინგრეს!“ - ამბობდნენ რომში. მტრის გააზრების მნიშვნელოვანი მაგალითია ეს ერთი ფრაზა და სწორედ ასეთი ფრაზა სჭირდება დღეს ჩვენს ეროვნულ და კოლექტიურ ცნობიერებას - რუსეთი მტერია, ჩვენ კი ევროპული სახელმწიფო ვართ.

თანამედროვე ქართულ დემოკრატიულ სახელმწიფოს ხანმოკლე ისტორია აქვს, მაგრამ ამ 32 წლის განმავლობაშიც კი ყველა ადამიანი, რომლებიც ჩვენი ქვეყნის ერთიანობისათვის დაიღუპნენ - უკლებლივ ყველა! - რუსეთთან ბრძოლას შეეწირა. ყველა ომი, რომლებიც გამოვიარეთ, იქნებოდა ეს აფხაზეთის, სამაჩაბლოს თუ ე.წ. სამოქალაქო ომები - ყველა, სინამდვილეში, რუსეთ-საქართველოს ომი იყო.

ჩვენი ისტორიის ყველა ეტაპზე გვაშორებდნენ ჩვენს ისტორიულ წიაღს. ანტიკური ეპოქიდან, ქრისტიანობის ეპოქაშიც და თანამედროვეობაშიც ჩვენ გვაშორებდნენ ევროპას და ჩვენ კი ბუნებრივად სულ უკან მივილტვოდით. არაფერი ისეთი მყარი არ არის დღევანდელ საქართველოში, როგორიც რწმენა, რომ ჩვენ გვჭირდება ევროკავშირი, ჩვენ მივიწევთ ევროკავშირისკენ და ევროკავშირი ჩვენთვის მხოლოდ სიკეთის მომტანია. ამიტომ უნდა ავიღოთ ღირსების და რაციონალური მიდგომის მაგალითი ჩვენი ევროპელი მეგობრებისგან და მტერს ისე მოვექცეთ, რომ კოლექტიური ეროვნული ღირსების განცდა ჩამოვაყალიბოთ.

დღეს ჩვენ უნდა გადავარჩინოთ ჩვენი მომავლის გზა მარტივი სვლით - დავდგეთ ისტორიის სწორ მხარეს. დიახ, დღეს ახალი ისტორია იწერება, დღეს ახალი მსოფლიო წესრიგი ყალიბდება და ისტორია განსჯის დღევანდელი ქართველი საზოგადოების მოქმედებას ამ ისტორიულ მომენტში - ამიტომაა ღირსების საკითხი იმის გააზრება და აღიარება, რომ რუსეთი მტერია, ჩვენ კი ევროპული სახელმწიფო ვართ.

ამ გააზრებას მოქმედება უნდა მოჰყვეს, ზუსტად ისე, როგორც ესტონეთში, პოლონეთში, ჩეხეთში, ლიეტუვაში, ლატვიაში, ბრიტანეთში და ყველგან, სადაც ჩვენზე მარტივად აღიქვეს დღევანდელი რუსეთის ნამდვილი სახე - წარსულის იმპერიულ დიდებას გამოკიდებული სულელთა სამეფო - როგორც მას ფრანგი ფილოსოფოსი, ბერნარ ანრი ლევი, უწოდებს. ქმედება კი, ერთი შეხედვით, მარტივია - ყველა ფორმით, საკანონმდებლო დონეზე შეიზღუდოს რუსული გავლენები, რუსეთის მოქალაქეთა კომფორტი და რუსული იმპერიული მისწრაფებები. ამის საუკეთესო ცივილიზებული გზა კი ის შეზღუდვებია, რომლებიც ევროკავშირმა, ბრიტანეთმა და აშშ-მა დაუწესეს რუსეთსა და რუსებს.

საქართველოსთვისაც საქმე მარტივადაა. ან ვიქცევით ცივილიზებული სამყაროს ქვეყანასავით, რომელიც ზღუდავს რუსეთს იმ სისხლისღვრისთვის, რომელიც უკრაინას მოუწყო, ან ვიქცევით ისე, როგორც ეს რუსეთს აწყობს. რუსი ოლიგარქი, რომელიც დღეს საქართველოს მართავს, იქცევა ისე, როგორც ეს რუსეთს უნდა, ჩვენ კი ისე უნდა მოვიქცეთ, როგორც ამას ისტორიის ყველა მომენტში აკეთებდა ქართველი ხალხი - მოვიქცეთ ევროპულად, ვიაროთ ევროპისაკენ და დავიცვათ ჩვენი კოლექტიური ღირსება.

ამიტომაა დღეს რუსეთის სანქცირება, რუსების შეზღუდვა და რუსული გავლენის დასუსტება ჩვენი უპირველესი ამოცანა. საქართველო უნდა შეუერთდეს ყველა ანტირუსულ სანქციას; საქართველომ უნდა აკრძალოს რუსული მაუწყებლობა, შეზღუდოს რუსული ფონდების საქმიანობა; მკაცრად გააკონტროლოს რუსული კომპანიების ჩვენს ქვეყანაში ოპერირება; შეზღუდოს და ჩარჩოებში მოაქციოს რუსული დემოგრაფიული ექსპანსია; დააწესოს სავიზო რეჟიმი რუსებისთვის; აუკრძალოს უძრავი ქონებისა და მიწის შესყიდვა რუსეთის მოქალაქეებს. რაც მთავარია, საქართველო უნდა განთავისუფლდეს რუსული ეკონომიკის ტყვეობიდან.

ასე და მხოლოდ ასე ჩამოვიყალიბებთ ეროვნულ ღირსებას და მოვიპოვებთ შინაგან გამარჯვებას მტერზე, ეს კი საბოლოო გამარჯვების მთავარი წინაპირობაა. ვერც შოვინიზმად და ვერც რუსის ზიზღად ამ მიდგომას ვერავინ შერაცხავს, გარდა მოღალატეებისა და რუსეთის საქმის მკეთებლებისა, რადგან ამ მიდგომებს მთავარი გამართლება აქვს:

რუსეთი მტერია, ჩვენ კი ევროპული სახელმწიფო ვართ! ■



ლეილა ჩანგელია-გეგეჭკორი

შორს, ჰორიზონტის ხაზთან

„ჩვენ ამ მოგონებათა სევდით ვცხოვრობთ“
ანტუან სენტ-ეგზიუპერი



ანაკლიაში ვარ, სანაპიროზე, იქ, სადაც ენგური ერთვის ზღვას. ჩემ თვალწინ გადაშლილა უსასრულო სივრცე. ლურჯად ლივლივებს ზღვა, ისეთი კამკამაა და მშვიდი, რომ ტიციანის სტრიქონებს მაგონებს: „ზღვა ისე იყო მშვიდი და წყნარი, რომ აღარც მახსოვს, იყო თუ არა...“

შორს, ჰორიზონტის ხაზთან, უზარმაზარი ბურთი კიდია, საცაა ჩაეშვება ზღვაში... ენგური იშვიათად მინახავს ასეთი დაწმენდილი, გამჭვირვალე. მდორედ მოედინება და წინ გადაშლილ უსასრულობას ერთვის; დაღლილსა ჰგავს, ნაღვლიანი ამბები მოაქვს ალბათ სათქმელად, აფხაზეთიდან გადმოტანილი ამბები, მის თავზე აღმართულ ხიდზე კი არა, მისსავე გულზე რომ გადმოატარებენ ხოლმე იქიდან გადმოსულნი...

რაღაცნაირი სიჩუმეა გარშემო, მინდა, ცოტახნით შემოვრჩე აქაურობას, მდინარის, ცისა და მიწის იდუმალებით დავტკბე.

წითელი ბურთი კარგა ხანია ჩაიმალა ზღვაში. ენგურის შესართავთან, ცისარტყელასავით გადაჭიმულ ხიდზე, უკვე აენთნენ ნათურები, ვარსკვლავებიც აყვავდნენ ცაზე. ბადრი მთვარე დინჯად მიცურავს და, მგონია, ეს ყველაფერი ტაძარსა ჰგავს, საღამო კი - გალობას, ოღონდ მას ჩვეულებრივი ყურით ვერ მოისმენ, გულისყური უნდა მიუგდო...

ეს სიჩუმე და საღამოს იდუმალება ფიქრებს აღვიძებს. ზღვაური სიო მელამუნება სახეზე, თმებზე - აფხაზეთის მხრიდანაა მონაბერი და მეჩვენება, თითქოს საგანგებოდ უბერავს იქიდან, ჩემთვის... ბუნებას ალბათ იმაზე მეტად ესმის ჩვენი, ვიდრე გვგონია.

გადაივლი ამ ხიდს და განმუხურში ხარ... კიდევ ორიოდე ნაბიჯი და აფხაზეთში ხარ! თუ გსურს, აჰყევი მდინარეს და რამდენიმე კილომეტრში მიადგები ხიდს - ენგურის ხიდს. რამდენი ტრაგედიის, ცრემლის, შიშის, სასოწარკვეთის, ტკივილის დამტევია იგი. ის აკავშირებს ერთმანეთთან ჩვენთვის გახლეჩილი სამყაროს ნაწილებს და აფიქსირებს მწარე რეალობას: აქ და იქ! გაღმა და გამოღმა! ამ და იმ საქართველოში... დიახ, საქართველოში, ხიდს გაღმა და გამოღმა ნაწილებად რომ დავყავით.

ამ სიტყვებს უცნაური ძალა აქვთ, ვგრძნობ, როგორ იჭიმება ის უხილავი ძაფი, ჩემს კუთხესთან, ქალაქთან, სოფელთან, იქაურ ზღვასთან, მთებთან, მდინარესთან, და ასე შემდეგ, რომ მაკავშირებს. თრთის ეს ძაფი და მეც ვცდილობ, მთელი არსებით შევიგრძნო იმ მიწის სუნი, იმ მიწის სუნთქვა, იმ მიწის ხმა, მიწისა, რომელიც ჩემია, ასე ახლოსაა და მიუწვდომელია მაინც. „დროებით, დროებით, დროებით...“ - ხმაურობს ჩემი შინაგანი ხმა, მაგრამ მე მისი უკვე არ მჯერა, რადგან ჩვენ 30 წელია მოთმინებით ვუგდებთ მას ყურს, მოთმინებით ვიტანთ საშინელ იარლიყს - დევნილი, ლტოლვილი... და არაფერს ვაკეთებთ, არაფერს ვცდილობთ... მხოლოდ სიტყვები საქმის გარეშე და ამას ვეგუებით. და კიდევ - უკანასკნელ წლებში ცარიელი სიტყვებიც აღარ გვესმის, აღარც ახსენებენ აფხაზეთს. სამწუხაროდ, ამასაც ვითმენთ, ვპატიობთ.

გული უცნაურად მიცემს. აფხაზეთური ნიავი ფიქრისთვის მაქეზებს. ვგრძნობ, როგორ ვიძირები მოგონებათა ზღვაში, მე კი ეს არ მინდა, არ მინდა, რადგან მტკივნეულია, ძნელია, გაუსაძლისიც კი. მინდა ამოვყვინთო იქიდან, თვალწინ გადაშლილ სილამაზეს ვუყურო, მხოლოდ მასზე ვიფიქრო, მისით დავტკბე, მაგრამ ჭაობივით მითრევს რაღაც და ფიქრით წარსულისკენ მივექანები.

ჩვენ შორის ჩამდგარი 30 წლის მიუხედავად, მშობლიურ კუთხეს რა დამავიწყებს, მის სიყვარულს რა ძალა გამიქრობს, მაგრამ აფხაზეთში დაღვრილი სისხლის, იქ დატრიალებული უბედურების, იმ საშინელი ამბების დასავიწყებლად ამდენი წელი რად არ მაკმარე, სამუდამოდ რად აღმიბეჭდე გულში ეს გაუსაძლისი განცდები-მეთქი? - მდუმარედ შევღაღადებ ცას და არ ვიცი, ეს საყვედურია თუ უბრალოდ შეკითხვა.

მინდა მხოლოდ თბილი, მხიარული, ბედნიერებით სავსე მოგონებები გამოვიწვიო, მაგრამ უხილავი ვიღაც თუ რაღაც მართავს ჩემს გონებას და კადრებივით ენაცვლებიან ერთმანეთს სევდიანი, ტკივილიანი ამბები... ზოგჯერ მგონია, სადღაც, გულის სიღრმეში, ჩაილექნენ ეს მტანჯველი მოგონებები, მაგრამ ოდნავი შეხებაც კი საკმარისი ყოფილა მათ წამოსაშლელად, გასაცოცხლებლად.

* * *

გალს ტერიტორიულად არ შეხებია პირველი დიდი ომის ქარ-ცეცხლი, მაგრამ ამას რა მნიშვნელობა ჰქონდა? საშინელი ამბები მოდიოდა ფრონტიდან, ჩვენს ქალაქს

აფარებდნენ თავს ომს გამოქცეული ქალები, ბავშვები, მოხუცები. ომი სპობდა, ანადგურებდა ყველაფერს. იღუპებოდნენ ალალ-მართალი, გულანთებული ბიჭები, სამშობლოს სიყვარულს ეწირებოდნენ მსხვერპლად...

ამ ტრაგედიაში იმ „სახელმწიფო მოღვაწეთა“ ხელი ერია, თანამდებობა რომ უყვარდათ სამშობლოზე მეტად და მთავარი მტრის - „ერთმორწმუნე“ მეზობლის მითითებით მოქმედებდნენ. ამ სამარადისო ცოდვით დამძიმებულნი არც ქვეყანაზე ფიქრობდნენ, არც ხალხზე. მათმა ქმედებებმა მოამზადა ნიადაგი ამ კატასტროფისთვის. იმდენი რამ იყო გასათვალისწინებელი, დასაფიქრებელი გადაწყვეტილებებსა და ქმედებაში, რომ ელემენტარულ შეცდომას უმძიმესი შედეგი შეიძლება მოჰყოლოდა. არ გაითვალისწინეს, არ დაფიქრდნენ, ისეთ შეცდომებს უშვებდნენ, დანაშაულს რომ ჰგავდა... არაპროფესიონალი სამხედრო მეთაურები! - ორიოდე გამონაკლისს რა შეეძლო?! მარჯვენამ არ იცოდა, რას იქმოდა მარცხენა... შედეგიც არ აყოვნებდა: საშინელი ამბების ყოველდღიურობა... თავგანწირული ბიჭების მიერ აღებული სტრატეგიული სიმაღლეები, მოგებული ბრძოლები და „უფროსთა“ ბრძანება უკანდახევაზე... ბოლოს კი: გაგრა დაეცაო... განთიადიც აიღესო. მერე - გუმისთაო, სოხუმიო... კინდღის ბრძოლებიო... საშინელი ამბები კოჩარიდან, გულრიფშიდან... სისხლი, სიკვდილი, მარცხი, დევნილი, ტანჯული, გაუბედურებული ხალხი...

არ გვინდოდა დაგვეჯერებინა ჩვენი სახელმწიფოს მეთაურთა ნებსითი თუ უნებლიე ღალატი. დიახ, ღალატი, რადგან მოვლენათა განვითარება მხოლოდ ამას ჰგავდა, ასე გაფიქრებინებდა.

ვწერ ამ სტრიქონებს და ასე მგონია 30 წლის წინ კი არა, ახლა ვდგავართ ჩვენი ქუჩის ბოლოს, თბილისი-სოხუმის ცენტრალურ გზასთან და უცნაური დუმილით, უმწეობით, გაკვირვებით, სასოწარკვეთით გავყურებთ დევნილთა უზარმაზარ მდინარეს, ჩვენ თვალწინ რომ მიედინება. მოდიოდნენ ყველაფრით, რითაც შეიძლებოდა გადაადგილება: მანქანით, ცხენით, ოთხთვალით, ურმით, ფეხით... არასდროს ამოიშლება ჩემი მეხსიერებიდან 13-14-ოდე წლის ბიჭის სახე, ურიკით რომ მოჰყავდა დაუძლურებული, ჩია მოხუცი, ბებია იყო ალბათ...

წარმოგიდგენიათ გაუბედურებულ ადამიანთა ამხელა მდინარე გზაზე და მაინც უცნაური, გაუსაძლისი დუმილი?! - და იგი, ცხადია, თანხმობისა კი არა, გაუსაძლისი უმწეობის შედეგი იყო. ჩვენ კი ვიდექით და ალბათ ვერაფერზე ვფიქრობდით - არანაირი აზრი, არანაირი ფიქრი, მხოლოდ უტყვი სასოწარკვეთა.

30-წლიანი გადასახედიდან როგორ მიკვირს, რას ვუცდიდით, რად არ გავყევით, რად არ შევუერთდით იმ მდინარეს, რისი იმედი გვქონდა?! ალბათ, არ გვინდოდა, დაგვეჯერებინა გარეული თუ შინაური მტრების ზრახვები. არ გვინდოდა დაგვეჯერებინა ჩვენი სახელმწიფოს მეთაურთა ნებსითი თუ უნებლიე ღალატი. დიახ, ღალატი, რადგან მოვლენათა განვითარება მხოლოდ ამას ჰგავდა, ასე გაფიქრებინებდა.

მე მხოლოდ იმ ემოციებს გადმოვცემ, რომლებსაც მაშინ განიცდიდა ხალხი, ხალხს კი ვერ მოატყუებ! ...თუ მოატყუებ?!

ღმერთო, 30 წელი რად არ მაკმარე ყოველივე ამის დავიწყებისთვის? - ისევ შევღაღადებ ცას და მინდა ამოვყვინთო ამ საშინელი მოგონებების ზღვიდან, მინდა შევერწყა ამ მდინარეს, ამ ზღვას და იქიდან მხოლოდ სასიამოვნო მოგონებების, ბედნიერი დღეების ხატება ამომყვეს...

* * *

ამასწინათ, ვინ იცის, მერამდენედ ვუყვებოდი შვილიშვილებს აფხაზეთზე. უკვე დიდები არიან, ადრეული სიყმაწვილის ასაკში, ბიჭები - გალელები, გოგოები - სოხუმელები, მაგრამ ჯერ არც ერთს არ უნახავს თავისი ქალაქი. ჩემმა შვილებმა 12-13 წლისებმა დატოვეს მშობლიური კუთხე, მათი მეხსიერებიდან არასდროს ამოიშლება აფხაზეთი, მაგრამ შვილიშვილები? მათი თაობა? - მათ ხომ არ უნახავთ იქაურობა და მონაყოლით, წარმოსახვით დანახული თუ რამეს ნიშნავს, არ ვიცი - მაინც ვუმეორებ, ვუყვები, მინდა, იქაურობის სიყვარულის თესლი ჩავუგდო სულში... და ვაგრძელებ:

თქვენ და თქვენმა თაობამ მაინც უნდა დაიბრუნოს მეთქი აფხაზეთი, თან გულში ვფიქრობ, განა როდესმე დაგვიბრუნებია დაკარგული ტერიტორიები? ტაო-კლარჯეთი, საინგილო, სოჭი... ამჟამად მცოცავი ოკუპაცია ქართლში და ჩვენი დუმილი, მხოლოდ დუმილი და არანაირი ქმედება. შემდეგ კი გულში ნაფიქრალსაც ვუზიარებ და ვაგრძელებ სასიამოვნო თხრობას, მათი მშობლების ბავშვობაზე, ჩვენს სახლზე გალში, ფეიხოას, ბარბარისისა და ვარდების პატარა ბაღზე, ჩვენს მამულზე გუდავაში, დიდ ბაბუასა და ბებიაზე, ოჯახის სხვა წევრებზე, მათ ნალოლიავებ ეზო-კარზე, რომელიც ზღვიდან 3 კილომეტრში მდებარეობდა, მდინარეზე, ჩვენი სახლის წინ რომ მიედინებოდა, ხეხილის უზარმაზარ ბაღზე, ლეღვის ხეივანზე, თხილნარზე, უამრავ შინაურ ცხოველსა თუ ფრინველზე, ნესვისა და საზამთროს ბაღჩაზე, მეზობლებზე... უკვე მერამდენედ ვუყვები, მაინც მისმენენ გულისყურით, ვიცით, ბებო, ვიცითო - მაიმედებენ, მე კი ეჭვით ვუყურებ ამ „ვიცით“-ს, იქნებ მორიდების გამო მისმენენ, იქნებ ბოლომდე არ ესმით ჩემი სათქმელის-მეთქი. ერთხელ ჩემი მეგობარი პოეტის, ლალი გულისაშვილის, ლექსიც წავუკითხე და ვთხოვე, კარგად გაეაზრებინათ:

„გაიზარდა ჩემი შვილი, უკვე ნახა რომი, ნიცა,
აფხაზეთი არ უნახავს, არ უნახავს ლურჯი რიწა.
სამშობლოში ტუსაღები ბიჭვინთა და აგუძერა,
თუ სოხუმი არ უნახავს, გული რაღამ აუძგერა?!
თუ მამულში დაგეკარგა თუნდაც ერთი გოჯი მიწა,
თუ სოხუმი არ გინახავს, არ გინახავს ლურჯი რიწა,
მაშინ რკინის ქალამნებით შეაწუხე ცაში ღმერთი,
ჩემო შვილო, უსათუოდ უნდა ნახო აფხაზეთი...“

ვერ შევძელი ცრემლნარევი ხმით არ წამეკითხა ეს სტრიქონები. მათ თვალებშიც რაღაცნაირი სევდა ამოვიკითხე და გულზე მომეშვა, თან ჩემი თავიც შემებრალა და ეს ბავშვებიც, რადგან „როგორც მდინარე მომაბრუნა მკაცრმა ეპოქამ, სხვა კალაპოტში მივედინები, სხვა გზას მივიკვლევ, და ნაპირები არ ვიცი ჩემი“ - ჩვენს რეალობას საოცრად მოერგო ანა ახმატოვას ეს სტრიქონები. დიდხანს ვფიქრობდი უცხოეთში მცხოვრებ ქართველებზე, ჩემს შვილებსა და შვილიშვილებზეც, მათ შორის, ემიგრანტებად რომ შეეკედლნენ უცხო მხარეებსა და სხვა ნაპირებს. მათთვის საჩუქრად ჩატანილ ქართული წიგნების თავფურცელს წარწერებით ვავსებ, და იგი ამ სტრიქონებით მთავრდება: თქვენს სამშობლოს ვინ მისცა უცხოეთში დასარჩენად გასამეტებელი შვილები?!

* * *

ერთხელ გუდაველი ყოფილი მეზობელი მეწვია - ტყე-ტყე გადავედი, გოგო, შევიპარე ჩვენს სოფელში, გულმა ვერ გამიძლოო, მიყვებოდა. თხმელისა და ეკალ-ბარდების ტყედ ქცეულაო სოფლის გზები, ძლივს მივაღწიეო სახლამდე. უჩვენოდ, ჩვენი ხმებისა და ხმაურის გარეშე, გადაჯიშდა, გატყიურდა თურმე ხეხილი. თქვენი გულაბი ტყის მსხალს გავდა, თქვენი რჩეული ვაშლები - პანტასო. დაპატარავებულა ატმისა და ლეღვის ნაყოფი, ფერი არ ადევთო. ტელეფონით გადაღებული სურათებიც მაჩვენა, აბა, თვალი შეავლე იქაურობასო. ჩვენ გველიან, გოგო, ყველაფერი გველისო. გული მომიკვდა, მძიმე იყო იმ სურათების ნახვა. მერე დღიურში ვწერდი:

„ჩვენს მდინარესთან ჩამყვანს ვერ იპოვიდი ბილიკს,
ეკა-ბარდებში, ჯაგში დათარეშობდა ხვლიკი...
ჩემს ფანჯარასთან ახლა ობობა ქსელებს კერავს,
მთლად გადაჯიშდა ხეხილი, ფერი არ ადევს ტყემალს.“

ფრთებმოკვეცილი, მარტოობით გათოშილნი იდგნენ ხეები და სევდიანად დაჰყურებდნენ ძირს ჩამოყრილ, გადაჯიშებულ, ხელუხლებლად დამპალ ნაყოფს და

იმ გოგო-ბიჭებზე ფიქრობდნენ, ჟრიამულით რომ უნდა აევსოთ იქაურობა, მათ ნაფეხურებს კი არ უნდა დაეშვა სარეველები... სარეველები! - როგორ ლაღად გრძნობენ თავს, როგორ დაპატრონებიან იქაურობას! კალაპოტში ჩაკარგულა, ძალაგამოცლია ჩვენს მდინარეს, ეკალ-ბარდებს დაუფარავს მისი ნაპირები. გადამწვარი სახლის სილუეტში ბუხრის თავი იკვეთება და ზედ ჩამოსკუპებული ტყემლის ხე. საკმაოდ გაზრდილა, თავი ცას მიუბჯენია, ჩიტმა თუ ჩამოაგდო კურკა, რამხელა იმედი უტარებია სანამ ხედ გადაიქცეოდა. იქიდან დაჰყურებს ეზო-კარს და ცდილობს ალბათ, არაფერი გამოეპაროს, ჩვენი მოლოდინი აცოცხლებს, ჩვენი დაბრუნების იმედი... საცოდავად გამოიყურება ჭა, თავსადგამი სარეველებში ჩაკარგულა, დარდის დასამალად თავსაფარივით მოუხვევია ბალახი, მიუწვდომელი გამხდარა... ღამეულ სიჩუმეს ტურების კივილი თუ დაარღვევს, ეგაა და ეგ... ვფიქრობ, იქ აღარც მზე ანათებს ძველებურად...

* * *

ამასობაში კიდე უფრო გაბადრულა მთვარე, ვარსკვლავიანი ცა ტაძრის გუმბათივით დამყურებს და მინდა ვთხოვო, მიამბე დღევანდელი აფხაზეთის ამბები, იქაურობას ხომ ასევე დაჰყურებ ახლა-მეთქი. ის დუმს, მთვარემ კი მორიდებით გაცურა თითქოს და ღრუბლის თეთრ ქულას შეაფარა თავი.

ვერა და ვერ ამოვყვინთე არასასურველი მოგონებების ზღვიდან. ის 25 სექტემბერი მახსენდება, ჩვენი უკანასკნელი შეკრება მშობლიური პირველი სკოლის სამასწავლებლოში. არცერთი არ ვგავდით საკუთარ თავს, პანაშვიდზე ვიყავით თითქოს. გაუსაძლისი დუმილი იდგა, გაურკვევლობა, შიში და სასოწარკვეთა იყო ამ შეხვედრის მთავარი პერსონაჟი. ეს ხომ ღალატსა ჰგავს - რატომ დააბრუნეს მოსახლეობა და სტუდენტები სოხუმში, რად გამოისტუმრეს იქიდან ჩვენი ჯარი, ყველაფერი დამთავრდაო რომ გვპირდებოდნენ, რა იყო, ნეტავ?! ჩასახოცად დააბრუნეს იქაურები?! - ამოიკვნესა ვიღაცამ, მაგრამ შეკითხვა რიტორიკული იყო, პასუხი არავის ჰქონდა. დუმილი ტყვიების წივილზე მძიმე ასატანი გამხდარიყო...

ორ დღეში დაეცა სოხუმი. მომდევნო ორ დღეში დაიცალა გალიც. წარმოგიდგენიათ? - ჯერ ჩვენი ჯარი მოდიოდა, მოსახლეობა მიჰყვებოდა უკან! ენგურის ხიდთან იზეიმეს აფხაზებმა...

* * *

ჩემი მშობლების ოჯახს შევაფარე თავი წალენჯიხაში. დედა გალელი იყო. მთელი მისი ნათესაობა, ოთხი და-ძმის, ჩემი და ჩემი დის ოჯახები და კიდე, უახლოესი ნათესავები შევეკედლეთ „დევნილის“ სტატუსით. მასპინძლების გარდა, 37-ნი ვიყავით, ზოგჯერ მეტნიც. ვცდილობდით, ცოცხლად დარჩენის, მოსალოდნელი უბედურებისგან გამოღწევის სიხარული წამოგვეწია წინ, დაკარგულ კუთხეზე, მშობლიურ კერაზე არ გვეფიქრა...

ეს ხომ ღალატსა ჰგავს - რატომ დააბრუნეს მოსახლეობა და სტუდენტები სოხუმში, რად გამოისტუმრეს იქიდან ჩვენი ჯარი, ყველაფერი დამთავრდაო რომ გვპირდებოდნენ, რა იყო, ნეტავ?! ჩასახოცად დააბრუნეს იქაურები?! - ამოიკვნესა ვიღაცამ, მაგრამ შეკითხვა რიტორიკული იყო, პასუხი არავის ჰქონდა. დუმილი ტყვიების წივილზე მძიმე ასატანი გამხდარიყო...

ძნელი იყო, ძალიან ძნელი! ჩვენს მდგომარეობას კიდე უფრო ართულებდა სოფლის ცენტრში, კულტურის სახლში, დაბანაკებული მხედრიონელთა რაზმები. სულ ორ ნაბიჯზე იყვნენ ჩვენი სახლიდან. სოფელი როგორ ტერორში ჰყავდათ, ცალკე საქმეა. არ გვასვენებდნენ ჩვენც, ხშირად „გვსტუმრობდნენ“ სადილ-ვახშმის მოთხოვნით. ვინ შეჰბედავდა უარს, ამდენი დევნილის გულწრფელად მიმღებ და მპატრონებელ ოჯახს მათთვის ეცალა? ძალა აღმართს ხნავდა. მათ მიერ აღრე გადამწვარი წალენჯიხა, ანაკლია, დარჩელი, კახათი და საერთოდ აწიოკებული სამეგრელო „არ ახსოვდათ“, მთავრობის ბრძანებით ვართო, - „განგვიმარტავდნენ“ ხოლმე.

მახსოვს, საღამოობით როგორ ვიკრიბებოდით ტელევიზორთან, მოუთმენლად ველოდით საინფორმაციო გადაცემებს, მაგრამ... არანაირი იმედი, არანაირი პასუხის-მგებლობა დევნილთა წინაშე, ჩვენ კი მაინც ვებღაუჭებოდით იმედს. ჩამოივლიდა

საიდანღაც მოღწეული ამბები: ვბრუნდებითო ორ თვეში, არა - სამშიო, საახალწლოდო. ამგვარ, მართალია, ცრუ, მაგრამ მაინც იმედს ჩაბღაუჭებამ იხსნა ალბათ მაშინ დევნილი მოსახლეობა, თორემ დარწმუნებით რომ გვცოდნოდა, 30 წელი გაივლის და მაინც არაფერი შეიცვლებაო, გავუძლებდით კი?!

მაინც გრძელდებოდა ჩვენი საღამოები ტელევიზორთან, მერე „პოლიტიკური დებატები“... კაცებს ქალებსა და ბავშვებზე მეტად უჭირდათ. მორიგი უიმედო ამბების შემდეგ ჩაიქნევდნენ ხელს, გაეხვეოდნენ თამბაქოს ბოლში, გაურბოდნენ საკუთარ თავს.

მალევე პრეზიდენტ გამსახურდიას მკვლელობამ საბოლოოდ ჩამოანგრია აფხაზეთთან დაკავშირებული იმედების კოშკი...

სამოქალაქო ომი, ომი კი არა, ჭირია, მოურჩენელი სენიაო, დაასკვნეს ერთხელ ჩვენმა კაცებმა. სახელმწიფო მეთაური რომ ხარ და ქვეყანას ვერ მართავ, ბანდიტური ჯგუფების თარეშის აღკვეთა რომ არ შეგიძლია, ქვეყნის სასიკეთოდ ვერაფერს აკეთებ, პოლიტიკოსი არ ხარო - საბოლოო განაჩენი გამოუტანეს ჩვენმა კაცებმა შევარდნაძეს და გადაწყვიტეს, ამიერიდან აღარ ეყურებინათ პარლამენტის სხდომებისთვის და არც საშინაო „პოლიტიკური დებატები“ ჰქონოდათ.

ზუგდიდ-წალენჯიხის გზაზე, სოფელ ჭკადუაშთან, ერთი ამაღლებული ადგილია, საიდანაც ხელის გულივით მოჩანს სამურზაყანოს ენგურისპირა სოფლები. მახსოვს, როგორ გვიყვებოდნენ ჩვენი კაცები: როცა ზუგდიდიდან მოვდივართ, მანქანას ვაჩერებთ, ვდგავართ იქ და დიდხანს გავყურებთ ჩვენს მხარესო... არ გაიხაროს ამ დღეში ჩვენმა ჩამგდებმაო, - ამოიოხრებდნენ ქალები, ცდილობდნენ, მაგრამ ვერაფერს უხერხებდნენ ცრემლს.

ზუგდიდ-წალენჯიხის გზაზე, სოფელ ჭკადუაშთან, ერთი ამაღლებული ადგილია, საიდანაც ხელის გულივით მოჩანს სამურზაყანოს ენგურისპირა სოფლები. მახსოვს, როგორ გვიყვებოდნენ ჩვენი კაცები: როცა ზუგდიდიდან მოვდივართ, მანქანას ვაჩერებთ, ვდგავართ იქ და დიდხანს გავყურებთ ჩვენს მხარესო...

ორი წელი გავიდა ასე. ცხოვრება თავისი გზით მიედინებოდა, თავისას ითხოვდა. ჩვენს დიდ ოჯახში (სადაც, როგორც აღვნიშნე, მასპინძლების გარდა 37 დევნილი ცხოვრობდა) უხუცესი ბებია იყო, 82 წლის. ერთხელ გამოგვიცხადა: არც მაკადროთ უარი, ილევა ჩემი წუთისოფელი, ჩემს ნაჯაფარ სახლ-კარს უნდა დავუბრუნდე, იქ უნდა დავლიოო სული. ბევრი ვიფიქრე ამაზე, ვერაფერს შევცვლიო... დედას მარტო როგორ გავუშვებო, - ჩაილაპარაკა უფროსმა ბიძამ, მას ძმამაც აუბა მხარი. შეჩერება არავის უცდია, აზრი არ ჰქონდა. წასვლის წინ ასე დაგვიბარეს ბიძებმა: მივხედავთ ჩვენს სახლ-კარს, მტრის ჯინაზე არ გავაცივებთ კერას, თუნდაც სიკვდილის ფასი დაგვიჯდესო. ახლა მკლავის ძალას კი არ ვართ მინდობილი - სულის ძალასო - დაამატეს ნათქვამს და დაბრუნდნენ გალში.

საღამოობით ტრადიციულად ვიკრიბებოდით დიდ ოთახში, ხშირად ვსაუბრობდით მათზე. ერთხელაც მთხოვეს, ვიცით, რაღაც მაინც გექნება მათზე დაწერილი და წაგვიკითხეო. ახლაც მახსოვს, როგორი გულისყურითა და ნაღვლიანი სახეებით ისმენდნენ ნაწყვეტს ჩემი დღიურიდან: „...შინ დაბრუნებულ გაძარცვულ-გაპარტახებული დახვდათ სახლ-კარი. რაც მთავარია, დამწვარი არააო - გაიფიქრეს ალბათ და სულმოუთქმელად მოიარეს კარ-მიდამო, მანდარინისა და ფორთოხლის თვალუწვდენელი ბაღი. აპრილი დაპატრონებოდა მას, სურნელოვანი ყვავილებით მოერთო ციტრუსები, ატმის, ტყემლისა და ვაშლის ხეები. ბზუოდნენ მთვრალი ფუტკრები... ღობის ძირში ჟრიამულით ყვაოდნენ ყოჩივარდები, იები და ენძელები. სარეველებს მოენდომებინათ მათი მოხრჩობა, მაგრამ ამაოდ. გაზაფხული და სიცოცხლე ზეიმობდა გარშემო და ეს იმედისმომცემი აღმოჩნდა. მალევე, როგორღაც ნაშოვნი ცხენითა და მამაპაპური გუთნით მოხნეს ყანა. გამბედაობას გრძნობდნენ, საოცარს... ახალმოხნული მიწის სუნი ერთვოდა ბაღიდან მონაბერ სიოს. მარგალიტებად ებნეოდა მიწას სიმინდის მარცვლების, სიცილ-კისკისით რომ იმალებოდნენ ბელტებ შუა. გულმოცემულნი სურნელოვან ნიავს უშვერდნენ გახურებულ შუბლს, არაბუნებრივ შინაგან ძალას გრძნობდნენ, რადგან ასეთი გაზაფხული არასდროს ჰქონიათ.“

მალე, ამჯერად უკვე ბიცოლებმა გამოგვიცხადეს: ჩვენი კაცები იქ არიან, სახლ-კარს კი არა, მათაც სჭირდებათ მიხედვა (ეს განსაკუთრებულ არგუმენტად წარმოაჩინეს), ჩვენი დაბრუნების დროც დადგაო. შეწინააღმდეგებას არც ამჯერად ჰქონდა აზრი. უხაროდათ შინ დაბრუნება, შვილები და შვილიშვილები კი გამოღმა საქართველოში დატოვეს...

2001 წელს გარდაიცვალა ჩვენი დიდი ოჯახის უხუცესი, ჩემი ბებია. მაშინ ჯერ კიდევ ხერხდებოდა აფხაზეთში გადასვლა, რისკის ფასად, რა თქმა უნდა, მაგრამ მაინც. ამ დროს მხოლოდ აფხაზები იდგნენ ხიდთან, საგუშაგოზე. შეიძლებოდა მათთან დალაპარაკება. ეს მაშინ ხდებოდა, როცა ახლობლის დაკრძალვაზე უნდოდა ვინმეს გადასვლა ან მიცვალებულის გადასვენება სურდა ჭირისუფალს.

ხვალ დილიდანვე წავალო, - გამოგვიცხადა დედამ, ჩვენც მოვდივართო, - შეეპასუხა მამა და გადმოგვხედა. შემთხვევით დაემთხვა ჩემი ჩამოსვლა ამ ამბავს, შვილები

თბილისში მყავდა დატოვებული. გადავწყვიტე მათთვის არაფერი მეთქვა, თუმცა არ მასვენებდა ფიქრი, რისკი რომ იყოს? ისედაც ობლები მყვანან, რა ეშველებათ-მეთქი (ჩემი მეუღლე აფხაზეთის ომმა შეიწირა).

მივიდეთ ენგურის ხიდამდე, შევხედოთ რა იქნება, თუ რაღაც, მე გადავალ მხოლოდო, - თქვა დედამ. ეს იყო ჩვენი პირველი (და უკანასკნელი) დაბრუნება 8 წლის შემდეგ. რა თქმა უნდა, გვეშინოდა, მაგრამ ბებიის დაუტირებლობა არ იქნებოდა.

მშვიდობით გადავედით ენგურის ხიდზე. პასპორტები ჩამოგვართვეს, საღამომდე შეგიძლიათ დარჩენაო, - განგვიმარტეს, თუ რამეს წამოიღებთ, ბაჟი უნდა გადაიხადოთო, - დაამატეს. ტაქსის მძღოლი აფხაზი აღმოჩნდა. შიშის ელდამ დაგვიარა, ერთმანეთს გადავხედეთ. ნუ გეშინიათ, მე არ მძულს ქართველები, თქვენი მტერი არა ვარო - ყურებს არ ვუჯერებდი, მეგრულად დაიწყო საუბარი, ქართულიც ვიცი, თბილისში დავამთავრე ტექნიკუმიო. თქვენ და ჩვენ, უბრალო ხალხი, არაფერ შუაში ვართ, მთავრობებმა გაგვაბრიყვეს, ყველაფერი მათი ბრალია, ჩვენ უნდა ვუშველოთ ამ უბედურებასო... აქცენტი აფხაზური ჰქონდა. ჩვენი თვალები მანქანის შიდა სარკეში შეხვდნენ ერთმანეთს. მისსაში გულწრფელობა იკითხებოდა, ჩემსაში - შიში. ნუ გეშინია, დაო, დაწყნარდიო - ჩემკენ მობრუნებულმა მითხრა. ცრემლი მომერია.

მანქანა მიქროდა გალისკენ მიმავალ გზაზე. გულს მიკლავდა დაცარიელებული გზისპირა სოფლები, გადამწვარი სახლები, მოუშუშებელ ჭრილობად რომ აჩნდა მიწას. საღამომდე რამდენიმე საათი კიდევ მრჩებოდა. ავიჩემე, ჩემს სახლშიც უნდა მივიდე, თუნდაც რამდენიმე წუთით, ჩემს ქუჩაზეც უნდა გავიარო მეთქი. გზად კანტიკუნტად თუ შეგხვდებოდა ვინმე. სადღა იყო ძველი ქალაქი. ეს სიცარიელე მთრგუნავდა. დამწვარი, განადგურებული შემომეგება ჩემი პირველი საშუალო სკოლა. ერთხანს ვიდექი მასთან. გამოვიტირე იქ გატარებული ახალგაზრდობის ბედნიერი წლები, ჩემი შვილების, მათი მეგობრებისა და ჩემი ყოფილი მოწაფეების ბავშვობა. მივყვებოდი ჩვენს

ქუჩას დაცარიელებულს, ალაგ-ალაგ გადამწვარი სახლებით და მიუხედავად ამისა, რაღაცნაირი გრძნობით ვიყავი სავსე, თითქოს ახლა დამიმთავრდა გაკვეთილები და მივისწრაფოდი შინ.

ჩემი სახლი გაეძარცვათ. ყველანაირი ავეჯი წაეღოთ, წიგნები არაფერში სჭირდებოდათ, ეტყობა, მთელ სახლში იყო მიმოფანტული, იატაკზე ეყარა. ბავშვების ოთახში მაგიდის ლამპა ვიპოვე, გამახსენდა ჩემი ქალიშვილის ნათქვამი - ნეტავ, რამე ნივთი მომცა ჩემი სახლიდან, იქაურობის სითბოსა და ლამაზ მოგონებებს გამოიყოლებდაო.

წიგნებიდან ეგზიუპერის „ადამიანთა მიწა“ და „პატარა უფლისწული“ წამოვიღე, მახსოვს ძალიან უყვარდათ ეს მწერალი ჩემს შვილებს. წამოვიღე მაგიდის ლაპმაც და პატარა, ძველებური საკერავი მანქანა, ჩემი დედამთილის ნაქონი - „წინათ ეს ნივთები სახლის სახეს ქმნიდნენ და მოგონებებით იყო აღსავსე...“ - გამახსენდა სტრიქონები წამოღებული წიგნიდან...

საგუშაგოზე დაბრუნებულთ მოცდა მოგვიხდა. ვისაც ჩვენი პასპორტები უნდა დაებრუნებინა, სადღაც წასულიყო. ავტომატიანი ხალხი ირეოდა ჩვენ გარშემო. ბევრნი ვიყავით პასპორტის მოლოდინში. როგორ გავბედე, არ მახსოვს, მაგრამ მოვიმიზეზე, პასპორტზე უნდა ვიკითხო - მეთქი და ერთ-ერთ ავტომატიანს გამოველაპარაკე. 18 წლისა იქნებოდა. ავტომატს შევხედე, ეტყობა, კითხვები მეწერა სახეზე, მიმიხვდა თითქოს, ჯარში გამიწვიესო, მითხრა. მის ხმაში გაუბედაობაც იკითხებოდა და სინანულიც კი. კაცის მოკვლა შეგიძლია მეთქი? - ვკითხე. არაო, ეგ როგორო, - გაკვირვებულმა მიპასუხა. რეალობასთან შეუსაბამო იყო ეს პასუხი, მაგრამ მის გულწრფელობაში ვერ შევიტანე ეჭვი. კარგი ადამიანი ჩანხარ-მეთქი, ხელკავი გამოვდე. ორიოდე ნაბიჯი გადავდგით. ვუთხარი, შენხელა შვილები მყავს, აქ დაიბადნენ და აქაურობა ძალიან ენატრებათ-მეთქი. გამიკვირდა, ისე შემომხედა, თითქოს მხოლოდ თვითონ ყოფილიყო დამნაშავე. ოდნავ მომეშვა. მოდი, ხელი ჩამოვართვათ ერთმანეთს, ჩვენ ხომ მტრები არა ვართ მეთქი და ხელი გავუწოდე. ბექირი მქვიაო, მიპასუხა (მეგრულად ვსაუბრობდით). მე არავინ მძულს, ჯარში გამიწვიესო, დაამატა. იქნებ გვეშველოს და შევრიგდეთ მეთქი. ბაბუაც ასე ფიქრობსო, მიპასუხა. მინდოდა გულში ჩამეკრა, მაგრამ დანარჩენი ავტომატიანების შემეშინდა. ამასობაში პასპორტებიც დაგვიბრუნეს. ერთხელ მოვიხედე უკან. იდგა და გვიყურებდა. ხელი დავუქნიე, იმანაც მიპასუხა.

„მთავარია, სადღაც განაგრძობდეს არსებობას ყოველივე ის, რაც გასულდგმულებდა, ჩვეულებები, საოჯახო დღესასწაულები და სახლიც, რომელიც მოგონებებს ინახავს... მთავარია დაბრუნებისთვის იცოცხლო!“.

ამ ამბიდან 22 წელი გავიდა, არ ვიცი, რას ფიქრობენ ახლა ბექირი და მისი ბაბუა, მაგრამ ჩვენ შორის ჩამდგარი ყინული რომ არ დაძრულა, ცხადია...

ხშირად ვფიქრობ ჩემს ნათესავებზე, შვილები რომ გამოღმა საქართველოში დატოვეს და დაბრუნდნენ. ახლა მათს სახლში არავინ ცხოვრობს! დრო კი მთავარი

მტრის წისქვილზე ასხამს წყალს, ნელ-ნელა კიდევ უფრო ღრმავდება უფსკრული ჩვენი სამყაროს გახლეჩილ ნაწილებს შორის.

სამშობლო ლამაზი მთა-გორები როდია მხოლოდ, ადამიანი აძლევს მას სიცოცხლეს, სუნთქვას, აზრს... ის კი „კავშირების კვანძია და მხოლოდ ურთიერთობებს აქვს უდიდესი მნიშვნელობა“, ამიტომაც, ჯერაც არ დაკარგულა, ჯერაც იკვეთება იმ და ამ საქართველოს დამაკავშირებელი ბილიკები, ადამიანთა გულებზე რომ გადის, და მართალია, ხავსმოდებულია, მაინც ბილიკია, მაინც არსებობს, მაინც ჩანს...

დუმს გამოღმა საქართველო. არაფერს ამბობს აფხაზეთზე... ეგაა მხოლოდ, თბილისი-სოხუმის გზაზე აქა-იქ შემორჩენილა ტრაფარეტი წარწერით: „გახსოვდეს აფხაზეთი!“

გახსოვდეს აფხაზეთი და მეტი არაფერი?!

***

ამასობაში მთვარეს გამოეცურა ღრუბლის ქულადან და ახლა ხიდის თავზე ეკიდა, უფრო გაბადრულიყო, მეტ სინათლეს ათოვდა იქაურობას. „მთვარე იყო მზესავითა...“ - გამიცოცხლდა პოეტური ხატი ხალხური ლექსიდან. ისევ ჩემთან იყო აფხაზური ნიავი. რამხელა დრო გასულა-მეთქი, გავიფიქრე. მოგონებებით გამოწვეული სულიერი ტკივილის დაამებაში საყვარელი მწერალი შემომეშველა: „მთავარია, სადღაც განაგრძობდეს არსებობას ყოველივე ის, რაც გასულდგმულებდა, ჩვეულებები, საოჯახო დღესასწაულები და სახლიც, რომელიც მოგონებებს ინახავს... მთავარია დაბრუნებისთვის იცოცხლო!“. ■

ლეილა ჩანგელია-გეგეჭკორი
გალის შოთა რუსთაველის სახელობის პირველი საშუალო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი (არ შემიძლია, აქ სადმე „ჩავაკვეხო“ სიტყვა „ყოფილი“)

თემო კუპრავა

ომამდე დაწყებული ომი

1992 წელს აფხაზეთში არსებული ეთნიკური დაპირისპირება, რუსეთის აქტიური ჩარევით, ე.წ. „ძმათამკვლელ“ ომში გადაიზარდა. აქ, პირველ ყოვლისა, უნდა აღინიშნოს, რომ ეს ძმობა დიდი ხანია, ცალმხრივი იყო. ძმებად ქართველები მოვიხსენიებდით აფხაზებს და, შესაბამისად, მოდუნებული და მოუმზადებელი ვიყავით იმისთვის, რაც მოხდა. სეპარატისტები კი ქართველებს „ძმებად“ არასდროს მოიხსენიებდნენ. მეტიც, უკვე ათწლეულებია, ისინი „მტრებად“ გვიხსენიებენ და შესაბამისად გვექცევიან. მაგრამ ამჯერად ამას ნუ გამოვეკიდებით და მივყვეთ გაბატონებულ ნარატივს - თუ დავუშვებთ, რომ ეს მართლაც ძმათამკვლელი ომი იყო, მაშინ ასეთ ომში გამარჯვებული მხარე ვერ იარსებებს. თუმცა ბევრისთვის ესეც სადავოა - მე 30 წელია დევნილი ვარ, მაშინ, როდესაც ჩემს სახლში „გამარჯვებული“ აფხაზი ცხოვრობს, რომელმაც ამ სახლის მოსაპოვებლად სისხლიანი ეთნოწმენდა მოაწყო.

რა დავკარგეთ ამ ომში ჩვენ და რა დაკარგეს აფხაზებმა? აფხაზეთი ჩვენი იდენტობაა, ჩვენ საკუთარი იდენტობის მთავარი არტერია დავკარგეთ ამ ომის წაგებით. აფხაზებმა კი მთლიანად დაკარგეს საკუთარი იდენტობა. ავხსნი, რას ვგულისხმობ.

უმეტესობა ომის დაწყების თარიღად 1992 წლის 14 აგვისტოს მიიჩნევს. თუმცა ომი გაცილებით ადრე დაიწყო. ომი არც მაშინ დაწყებულა, როდესაც 2 წლით ადრე აფხაზებმა ვოვა ვეკუა მოკლეს, ანუ 1989 წლის 15 ივლისს. შევახსენოთ მკითხველს - ამ დღეს, სოხუმის პირველი საშუალო სკოლის შენობასთან, სადაც თსუ სოხუმის ფილიალი იყო განთავსებული, აფხაზები შეგროვდნენ. მათ შენობა ალყაში მოაქციეს და შიგ არავის უშვებდნენ. პროვოკაციის თავიდან ასაცილებლად ქართველები გადავიდნენ

იმ დღეს, 1989 წლის 15 ივლისს, დიდი ომის დაწყებამდე 2 წლით ადრე, ორგანიზებული თავდასხმის შედეგად 7 ქართველი დახოცეს, მათ შორის, სოხუმელ ქართველებში გამორჩეული ავტორიტეტი, ვოვა ვეკუა

რუსთაველის სახელობის პარკში, თან გადაწყვიტეს, მიემართათ აფხაზეთის ხელმძღვანელობისთვის, რათა მიეღოთ სათანადო ზომები. საოლქო კომიტეტში წარმომადგენლების გაგზავნამ შედეგი არ გამოიღო. პასუხი აგვიანებდა. რუსთაველის პარკში შეიკრიბა 400-მდე ქართველი, ბოტანიკური ბაღის ახლოს, პუშკინის ქუჩის მხრიდან კი, აფხაზები შეგროვდნენ. შუადღისას რუსთაველის პარკთან მოხდა თავდასხმა ქართველებზე, რამაც ბიძგი მისცა შემდგომ მოვლენებს. იმ დღეს, 1989 წლის 15 ივლისს, დიდი ომის დაწყებამდე 2 წლით ადრე, ორგანიზებული თავდასხმის შედეგად 7 ქართველი დახოცეს, მათ შორის, სოხუმელ ქართველებში გამორჩეული ავტორიტეტი, ვოვა ვეკუა, რომლის ოჯახშიც ხშირად იკრიბებოდნენ ზვიად გამსახურდია, მერაბ კოსტავა და ეროვნული მოძრაობის სხვა წარმომადგენლები.

იმას მოგახსენებდით, რომ ომი ბევრად უფრო ადრე დაიწყეს აფხაზებმა. ეს მოხდა ცნობილი „ლიხნის კრების“ დროს. მათ ომი იმით კი არ დაიწყეს, რომ დამოუკიდებლობა მოითხოვეს, არამედ იმით, რომ - კარგად გავიაზროთ და გავახსენოთ სხვებსაც - მოითხოვეს რუსეთთან შეერთება. სწორედ ეს იყო მათი იდენტობის დაკარგვა, არც

ომის მერე და ომის შემდგომი რუსული ოკუპაციის შედეგად, არამედ ამ მოთხოვნის დაყენებისთანავე. ბევრის აზრით, მათ ამ მოთხოვნით დაასრულეს საკუთარი ისტორია და გახდნენ რუსული იმპერიალისტური ისტორიის ნაწილი.

ომი ბევრად უფრო ადრე დაიწყეს აფხაზებმა. ეს მოხდა ცნობილი „ლიხნის კრების“ დროს. მათ ომი იმით კი არ დაიწყეს, რომ დამოუკიდებლობა მოითხოვეს, არამედ იმით, რომ - კარგად გავიაზროთ და გავახსენოთ სხვებსაც - მოითხოვეს რუსეთთან შეერთება.

ვოვა ვეკუა

ყველას ახსოვს 1989 წლის 9 აპრილი. უბრალოდ, ბევრს არ ახსოვს, თუ რის გამო დაიწო აქციები თბილისში 1989 წლის გაზაფხულზე, რომლის შედეგადაც დადგა ეს ტრაგიკული დღე. სწორედაც რომ „ლიხნის კრებაზე“ მიღებულ გადაწყვეტილებას ვაპროტესტებდით რუსთაველზე.

„ლიხნის კრების“ მერე აფხაზები გაქრნენ. მათ აღარაფერი შერჩათ, ტერიტორიის გარდა, რომელიც უბრალოდ ტერიტორიაა და მეტი არაფერი, განადგურებული და გაპარტახებული მიწის ნაგლეჯი, ოდესღაც სამოთხე რომ იყო. ამ ტერიტორიაზე არსებული ბიზნესის უმეტესი ნაწილი აფხაზებს არ ეკუთვნით. ეთნიკური წმენდის შედეგად აფხაზეთში დარჩენილი მოსახლეობა - ომამდელი მოსახლეობის ნახევარზე ბევრად ნაკლები - ფეხზე ვერაფრით წამოდგა და ვერც წამოდგება. აფხაზეთის ეკონომიკა დღემდე რუსეთიდან ფინანსდება, რაც იმას ნიშნავს, რომ აფხაზეთის ეკონომიკური კეთილდღეობის უკან სწორედ ქართველები იდგნენ, ისინი ქმნიდნენ თითქმის ყველაფერს, რაც აფხაზეთს საქართველოს ყველაზე მდიდარ კუთხედ აქცევდა. ერთი წამით წარმოიდგინეთ, რამხელა ეკონომიკური ზრდა გვექნებოდა, აფხაზეთის განვითარების რესურსი რომ მისი მთელი ეთნოწმენდამდელი მოსახლეობის ხელში იყოს...

ბევრი იტყვის, უამრავ ქართველსაც აღარ უნდა დღევანდელ საქართველოში ცხოვრება და აფხაზებს რატომ ვთხოვთ, ჩვენთან ერთად იყვნენო. დარწმუნებული ვარ: აფხაზეთში ჩვენი დაბრუნების შემთხვევაში საერთოდ სხვა ქვეყანა გვექნება, საკუთარ იდენტობას დავიბრუნებთ, რომ არაფერი ვთქვა ეკონომიკურ განვითარებაზე.

მანამდე კი ხმამაღლა უნდა ითქვას, რომ ომი 1992 წლის 14 აგვისტოს არ დაწყებულა. უნდა ითქვას, რომ აფხაზებს სინამდვილეში არც კიტოვანის გამო ვძულდით, არც „მხედრიონისა“და არც საყოფაცხოვრებო მიზეზით. უნდა ითქვას სიმართლე!

სახელმწიფო მიტაცებულია, ერი - დაქსაქსული, საზოგადოება - პოლარიზებულ-ფრაგმენტირებული. როცა ეს შეიცვლება, მერე შეგვეძლება ფიქრი იმაზე, თუ როგორ დავიბრუნოთ იდენტობის დაკარგული ნაწილი და როგორ გავაგრძელოთ აფხაზებთან თანაცხოვრება. მერე შევძლებთ, გავაერთიანოთ ისტორიული ნარატივი, რომელიც სუსტისა და მთხოვნელის პოზიციიდან ვერასდროს გაერთიანდება.

...დღეს აფხაზეთი რუსეთის მიყრუებული გუბერნიაა. აფხაზებს იქ თითქმის არაფერი ეკუთვნით, ის სახლებიც კი, რომლებშიც ცხოვრობენ. ქართველებისთვის წართმეულ სახლებში ვინც შესახლდა, მათ ეშინიათ კანონიერი მესაკუთრეების დაბრუნების. მათ ეშინიათ შურისძიების. მათ ეშინიათ მათივე ბოროტებისგან გამწარებული ქართველების საკუთარ სახლებთან გამოჩენის, რაც, ალბათ, ბუნებრივია. მეორე მხრივ, არ ვიცი, ვართ თუ არა მზად ქართველები, როგორც საზოგადოება, რომ აფხაზეთში დავბრუნდეთ. დღეს ჩვენში მოქალაქეობრივი შეგნება მოიკოჭლებს. თითქოს ინერციით ვცხოვრობთ, პასიურ სტატისტებად. სახელმწიფო მიტაცებულია, ერი - დაქსაქსული, საზოგადოება - პოლარიზებულ-ფრაგმენტირებული. როცა ეს შეიცვლება, მერე შეგვეძლება ფიქრი იმაზე, თუ როგორ დავიბრუნოთ იდენტობის დაკარგული ნაწილი და როგორ გავაგრძელოთ აფხაზებთან თანაცხოვრება. მერე შევძლებთ, გავაერთიანოთ ისტორიული ნარატივი, რომელიც სუსტისა და მთხოვნელის პოზიციიდან ვერასდროს გაერთიანდება: ის, რომ 27 სექტემბერი მათთვის გამარჯვების დღეა, ჩვენთვის კი - დიდი მარცხისა და მოუშუშებელი ტკივილის დღე. ■

თამარ თარალაშვილი

პუტინს საქართველოში თაობა გამორჩა!

2023 წლის მარტის აქციებმა თვალნათლივ აჩვენა, თუ რამდენად მნიშვნელოვანია ახალგაზრდების ჩართულობა ქვეყნის პოლიტიკურ პროცესებში. „რუსული კანონის“ წინააღმდეგ გამართულ აქციებზე ახალგაზრდებმა მანამდე არნახული ერთობა და სოლიდარობა გამოხატეს. მიზანი ერთი იყო, წინ, ევროპისკენ, და არავითარ შემთხვევაში რუსეთი!

ქვეყნის მმართველი ძალისთვის სიურპრიზი აღმოჩნდა ახალგაზრდების ერთიანობა, პრინციპულობა და თვითმობილიზების უნარი. პროტესტს შეუერთდნენ საქართველოს მოქალაქე ეთნიკური უმცირესობები რეგიონებიდან, რომელთა პოლიტიკური თუ სამოქალაქო ჩართულობა და ინტერესი, როგორც წესი, დაბალია. ცხადი გახდა, რომ „ქართულ ოცნებას“ თავისუფლებაში გაზრდილი თაობა მხედველობიდან გამორჩა! არა მხოლოდ მათ, არამედ პუტინსაც. აშკარად გამოჩნდა, რომ თავისუფალ საქართველოში გაზრდილი თაობა აქტიურ წინააღმდეგობას გაუწევდა პრორუსულ პოლიტიკას და რუსეთის გავლენის ზრდას ქვეყანაში.

რა ხდება მაშინ, თუკი ახალგაზრდებს არ სურთ შენთან თანამშრომლობა? რუსული პოლიტიკის პრაქტიკაა, დავსაჯოთ ან მივიმხროთ. ორივე შემთხვევა ქვეყნის დემოკრატიული აწმყოსთვის და მომავლისთვის დიდ საფრთხეს წარმოადგენს. თუმცა, მმართველი პარტიისთვის ეს შემაფერხებელ ფაქტორად არ ქცეულმა და სახელმწიფოსთან შეზრდილმა „ოცნებამ“, სუსისა და სხვა უწყებების მეშვეობით, წერტილოვანი დაპატიმრებები, საგანმანათლებლო სისტემის პოლიტიკური წმენდა და ახალგაზრდა პატრიოტების დემონიზაციაზე გათვლილი დეზინფორმაციის გავრცელება დაიწყო სამთავრობო მედიის მეშვეობით.

აქ საინტერესოა გავიხსენოთ, თუ როგორ „მოათვინიერა“ რუსი ახალგაზრდები პუტინმა, რომელიც ახალგაზრდების პოლიტიკურ კონტროლს ჯერ კიდევ თავისი პრეზიდენტობის პირველი წლებიდან აქცევს დიდ ყურადღებას. XXI საუკუნის

დასაწყისი პოსტსაბჭოთა სივრცეში დაბადებული ახალგაზრდა რესპუბლიკებისთვის დიდი ცვლილებებით გამოირჩევა. ეს იყო იმ ფერადი რევოლუციების პერიოდი, რომელთა მთავარ მამოძრავებელ ძალას სწორედ ახალგაზრდული მოძრაობები განსაზღვრავდა. პროტესტის ტალღა 2000 წელს სერბეთში მოძრაობა „ოტპორის“ ლიდერობით დაიწყო, რასაც იმჟამინდელი პრეზიდენტის, მილოშევიჩის, გადადგომა მოჰყვა. 2003 წელს, საქართველოში მოძრაობა „კმარას“ აქტიურობით, შევარდნაძის რეჟიმი „ვარდების რევოლუციით“ დაემხო. 2004 წელს მოძრაობა “Pora” უძღვებოდა უკრაინაში მიმდინარე „ნარინჯისფერი რევოლუციის“ საპროტესტო აქციებს. 2005 წელს ყირგიზეთის „ტიტების რევოლუციაში“აქტიურად მონაწილეობდა ახალგაზრდული მოძრაობა „KelKel“-ი. ნაკლებად ეფექტური, თუმცა მაინც მნიშვნელოვანი იყო აზერბაიჯანში მიმდინარე დემონსტრაციები, მოძრაობა „Yeni Fikir“-ის ჩართულობით.

„НАШИ“-ს მსვლელობა, მოსკოვი

სწორედ პროტესტის ეს ჯაჭვი გახდა მიზეზი, დასავლეთს ყურადღებით ედევნებინა თვალი რუსეთში მიმდინარე მოვლენებისთვის და მოძრაობა „НАШИ“-ს („ჩვენები“) ჩამოყალიბებისთვის. 2005 წლისთვის „НАШИ“ უკვე 120 ათასზე მეტ მოქმედ წევრს ითვლის, რომელთა ასაკიც 17-დან 25 წლამდე მერყეობს. სწრაფადვე გაჩნდა ეჭვი, რომ მოძრაობის ლიდერი ვასილი იაკემენკო და მთლიანად „НАШИ“ პუტინთან დაახლოებული მაღალჩინოსნის, ვლადისლავ სურკოვის, მფარველობით სარგებლობდნენ. „ახალგაზრდული, დემოკრატიული, ანტიფაშისტური, ანტიოლიგარქიული, ანტიკაპიტალისტური მოძრაობა“ - ვკითხულობთ ორგანიზაციის აღწერაში. დარეგისტრირებულია, როგორც „მთავრობის მიერ ორგანიზებული, არასამთავრობო ორგანიზაცია“ (GONGO).

„НАШИ“-ს ჩამოყალიბებით, პუტინმა შეამცირა რისკი, რომ რუსეთშიც შეიძლებოდა, რომელიმე ახალგაზრდულ ორგანიზაციას ფეხი მოეკიდა და მის რეჟიმს საფრთხე დამუქრებოდა, ბევრისთვის საოცნებო ფერადი რევოლუციით. მან საჯაროდ გამოიყვანა თავი ახალგაზრდების ქომაგად. აქტიურად ხვდებოდა მათ და მონაწილეობდა დისკუსიებში, რათა ახალგაზრდების „განვითარებისთვის“ ხელი შეეწყო. დასავლურმა პრესამ მალევე შეარქვა მოძრაობას სახელი - „პუტინის თაობა“. ერთ-ერთი მორიგი შეხვედრის დროს მაშა დროკოვამ, ახალგაზრდა კომისარმა, დემონსტრაციულად აკოცა პუტინს. პუტინის კოცნით ბევრი ვერ დაიკვეხნის, სწორედ ამიტომ ეს ახალგაზრდა ქალი რუსეთის ისტორიაში თავისებურად ჩაიწერა: „მაშენკა - გოგონა, რომელმაც პუტინს აკოცა“.

მოძრაობა იმართებოდა ხუთი ათასი კომისრის მიერ, რა თქმა უნდა, „ზემოდან“ მიღებული მითითებებით. სწორად შესრულებული დავალებები ახალგაზრდებისთვის დაწინაურების, წარმატების წინაპირობა იყო. მოძრაობის წევრობა, ერთგვარი სავიზიტო ბარათი გახდა უნივერსიტეტებში ჩასაბარებლად, ან სამსახურის დასაწყებად, კერძო კომპანიებშიც კი. მძიმე 90-იანი წლების შემდეგ, ახალგაზრდებისთვის ნამდვილი შესაძლებლობების, გართობის და წარმატების მიღწევის საშუალება ამ მოძრაობაზე გადიოდა. ასევე, ყოველ ზაფხულს სელიგერის ტბაზე ორგანიზებული ბანაკი ეწყობოდა, სადაც ახალგაზრდებს ტრენინგები უტარდებოდათ, ფიზიკური სამხედრო წვრთნებით იყვნენ დაკავებულნი და სამომავლო გეგმებზე სასაუბროდ დუმის მაღალჩინოსნებს ხვდებოდნენ.

მოძრაობამ, წითელ ფერებში გადაწყვეტილი დროშით, მალევე ჰპოვა კავშირი ლენინის ახალგაზრდულ მოძრაობა „კომსომოლთან“ იმ განსხვავებით, რომ წითელი ფერის დროშებსა და მაისურებზე, ლენინის სახის მაგივრად, პუტინის სახე იყო გამოსახული. სიმბოლური დატვირთვა მარტივი მისახვედრია - პუტინის სურვილი, ხაზი გაუსვას საბჭოთა კავშირთან ბმას და საკუთარ ფუძემდებლურ როლს „ახალი რუსეთისთვის“.

პუტინის სტრატეგია, ახალგაზრდები მიემართა თავისი რეჟიმის სასარგებლოდ, წარმატებით განხორციელდა. BBC-თვის მიცემულ ინტერვიუში იაკემენკომ სიამაყით აღნიშნა, რომ „გასული წლების განმავლობაში პუტინი უფრო ხშირად ხვდებოდა მათ, ვიდრე ყველა დანარჩენ ახალგაზრდულ მოძრაობას ერთად“.

„НАШИ“-ს მასობრივი საჯარო გამოსვლები, სწორედ იმ დროს და იმ ლოკაციაზე ხორციელდებოდა, სადაც ოპოზიციური მოძრაობები გეგმავდნენ ღონისძიებებს. რასისტული, ანტი-ლიბერალური, ქსენოფობიური შინაარსის დემონსტრაციები კარგად დაფინანსებული, ორგანიზებული და მასიური იყო. ფიზიკურად უსწორდებოდნენ ყველას, ვინც კი პუტინის წინააღმდეგ საჯაროდ აფიქსირებდა აზრს, მათ შორის იყო ჟურნალისტ ოლეგ კაშინის მიმართ ფიზიკური ანგარიშსწორება სკინჰედების მიერ.

მოძრაობა აგრესიული, სიძულვილით სავსე ენით საუბრობდა და მოქმედებდა ამერიკის და დასავლეთის ქვეყნების წინააღმდეგ, ასევე არ ერიდებოდათ დიპ-ლომატებზე თავდასხმასაც. 2005 წელს, ბრიტანეთის ელჩის რუსეთში, ტონი ბრენტონის წინააღმდეგ გამოსვლები მოეწყო, მხოლოდ იმიტომ, რომ ეს უკანასკნელი ოპოზიციის მიერ ორგანიზებულ კონფერენცია „სხვა რუსეთს“ დაესწრო. რამდენად ცინიკურიც არ უნდა იყოს, მოგვიანებით, მოძრაობამ დააანონსა, რომ აქტიურ წევრებს სასწავლებლად გაუშვებდნენ დიდ ბრიტანეთში, რადგანაც „ყველაფრისდა მიუხედავად“ დიდი ბრიტანეთის უნივერსიტეტები და განათლება მსოფლიოში ერთ-ერთ საუკეთესოა.

მაშა დროკოვა

საზაფხულო ბანაკები, მდიდრული აპარტამენტები და სასტუმროები მოსკოვის ცენტრში, McDonald’s-ის უფასო სადილი მომიტინგეებისთვის, კრემლს, იაკემენკოს განცხადებით, მხოლოდ 2010 წელს, 200 მილიონ რუბლზე მეტი დაუჯდა (იმ პერიოდში, დაახლოებით 6,7 მილიონი დოლარი). მოძრაობა, ოფიციალურად, 2019 წელს დაიშალა რამდენიმე დამოუკიდებელ ჯგუფად, რაც ნიშნავს, რომ „პუტინის თაობა“ აქტიურად აგრძელებს კრემლის ინტერესების მხარდაჭერას სხვადასხვა გზებით.

...დავუბრუნდეთ საქართველოს. 2023 წლის მარტის პროტესტის შემდეგ, საქარ-თველოს მთავრობის ლიდერებმა, აქტიურად დაიწყეს ახალგაზრდების (GenZ) „გაშა-ვება“. გარდა სადამსჯელო ღონისძიებებისა, რომელიც აქციების პერიოდში დაიწყო, აქტიურად იყენებენ ვითომ ეროვნულ და ტრადიციულ ნარატივებს მათ წინააღმდეგ. მალევე, ახალგაზრდულმა ორგანიზაციამ „სტუდენტები სამართლიანობისთვის“ აქტიურად დაიწყო საპროტესტო დისკურსი ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის წინააღმდეგ. ილიაუნი, თავისი ლიბერალური ღირებულებებით, ხელისუფლების მიერ ოპოზიციურ უნივერსიტეტად აღიქმება. საგულისხმოა, რომ სტუდენტების მოთხოვნების დაკმაყოფილების შემდეგ, მათ უნივერსიტეტის რექტორის პირადი ტრაგედიით დაიწყეს მანიპულაცია. ასევე აღსანიშნავია, რომ სტუდენტებს მხარდაჭერა ჰქონდათ სამთავრობო მედიიდან (პოსტვ, იმედი, რუსთავი2).

ერთის მხრივ, მთავრობის სადამსჯელო ღონისძიებებს მუდმივად მოჰყვება სოლიდარობა საზოგადოების მხრიდან. მეორეს მხრივ, აშკარაა ხელისუფლების მცდელობა, სადამსჯელო ღონისძიებებთან ერთად, რუსული ყაიდის „მიმხრობის“ ტაქტიკის გამოყენებისა. რამდენად წარმატებულია ეს მცდელობა, უახლოეს პერიოდში გამოჩნდება. თუმცა, ფაქტია, რომ ახალგაზრდების „მოთვინიერების“ შემთხვევაში, ქვეყნის დემოკრატიულ მომავალს საფრთხე დაემუქრება.

პ.ს. მაშა დროკოვამ, „გოგონამ, რომელმაც პუტინს აკოცა“, შიდა დაპირისპირების შედეგად, მალევე დატოვა მოძრაობის რიგები, დღეს ნიუ იორკში ცხოვრობს და თავისივე დაფუძნებულ კომპანიას უძღვება. ■

საბჭოთა მოგზაურის ჩანაწერები

გიორგი ანთაძეს საზოგადოება იცნობს, როგორც წარმატებულ ქართველ ფარმაცევტსა და მეწარმეს. ის ასევე არის კლასიკური მუსიკისა და, განსაკუთრებით, იტალიური ოპერის, უბადლო მცოდნე. მაგრამ გიორგი ანთაძის მთავარი ვნება - მისი ნამდვილი სტიქია - მოგზაურობაა. ცოტა ქართველს ექნება დედამიწა ისე გადასერილ-გადმოსერილი, როგორც მას. მაგრამ გიორგის მოგზაურობა ოდენ გრძედებისა და განედების კვეთა, ცნობილი თუ უცნობი ადგილების თვალიერება, აღმოჩენისადმი მუდმივი ლტოლვა და შემეცნებით მოგვრილი სიხარულით ტკბობა არაა. გიორგი ანთაძის ყოველი მოგზაურობა სათავგადასავლო წიგნივითაა, რომელშიც ყველაფერია: სახალისო და სევდიანი ამბების კრიალოსანი, ლირიკული ექსკურსები დროში, ფიქრები კოლექტიურ მე-სა და მომავალზე, რომლებსაც ფონად თანდაყოლილი, ჯიუტი ოპტიმიზმი გასდევს. და რადგან „ახალი ივერიის“ ერთ-ერთი მთავარი მისია ქართველ საზოგადოებაში სამოქალაქო მეხსიერების მნიშვნელობის წინ წამოწევა, საქართველოს ძველი თუ უახლესი ისტორიის გააზრება თუ გადააზრებაა, წარმოგიდგენთ გიორგი ანთაძის ახალ რუბრიკას: „მოგზაურის ჩანაწერები“, რომელიც განსაკუთრებით საინტერესო უნდა იყოს ჩვენი ახალგაზრდა მკითხველისთვის.

ზაზა ბიბილაშვილი

გიორგი ანთაძე

იყო დრო, როდესაც რკინის ფარდის გადმოღმა ჩარჩენილები მხოლოდ ერთ სატელევიზიო გადაცემას შევციცინებდით, სადაც სანდომიანი მკვლევარი-მოგზაური გვიზიარებდა საკუთარ შთაბეჭდილებებს ტურ ჰეიერდალისა თუ ჟაკ-ივ კუსტოს ოდისეაზე. მაშინ „კაპიტალისტურ“ ქვეყნებში მხოლოდ პარტიულები, მოცეკვავეები და სპორტსმენები მოგზაურობდნენ სუკ-ის, ანუ სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის, აგენტების თანხლებით. ჩვენ კი, უკლასო საზოგადოების დაბალი კლასის წევრები, ამავე საზოგადოების პარტიული წევრებისაგან განსხვავებით „კისლავოდსკის“ საგზურებისთვის ვაწუხებდით პროფკავშირებში მოკალათებულ ნათესავებსა თუ ნაცნობ-მეგობრებს. ტოლკინის სამყაროში გადმოვინაცვლებ და იმ თაობისთვის, რომლისთვისაც საბჭოეთი უცხო ხილია, ასეთ შედარებას მოვიშველიებ: რკინის ფარდის გადმოღმა მორდორი იყო, გადაღმა - ჰობიტების სამფლობელო, შაირი, ხოლო შორს, ოკეანის გაღმა - ელფების სამეფო, ვალინორი, თავისი ჯადოსნური ამერიკული ოცნებით. ამ ოცნებას მსუყედ კვებავდა ბაბუაჩემის ძველი რადიო, რომელიც ყოველ ღამე, პირველ საათზე, ყურისწამღები შიშინისა და ტკაცუნის ფონზე მოგვითხრობდა ელფების სამეფოს საოცარ ზღაპრებს. მახსოვს ბაბუას ძალისხმევა, როგორმე დაეჭირა სასურველი ტალღა, რომელსაც თავისუფლების სურნელი მოჰქონდა. მახსოვს ის სიხარული, რომელიც მოჰყვებოდა ხრიალში გამორჩეულ სანუკვარ ფრაზას: „თქვენ ისმენთ ამერიკის ხმას ვაშინგტონიდან, მიკროფონთანაა ხუტა ფოთელი“. ჩვენი ელფებივით დაცქვეტილი ყურების გარინდება და ბაბუას პასუხიც მახსოვს, ყოველ ღამე რომ იმეორებდა: ვიცნობ ხუტა ფოთელს, ვიცი მისი ნამდვილი გვარი, მაგრამ ვერ გაგიმჟღავნებთ ამ საიდუმლოსო. ამ ფრაზას ისეთი კონსპირაციით მოსავდა, თითქოსდა მართლაც იზენგარდის საიდუმლოს ფლობდა. თითქოს არ იცოდა, რომ სუკ-ს დიდი ხანია „ხუტა ფოთელიც“ გაშიფრული ჰყავდა და „ლეო ლეჩხუმელიც“, ხოლო ბათქაშის

კედლის მიღმა მცხოვრები სუკ-ის მაღალჩინოსანი იმასაც კი იწერდა, თუ რომელი რუბრიკა გამოვტყუეთ ბაზალეთის ტბასთან გამწკრივებულ რადიოჩამხშობ ანძათა ტყეს, ფანგორნის ტყეს რომ მოგაგონებდათ.

ბაბუა ნამდვილი გენდელფი იყო, ჯერ რუხი, მოგვიანებით კი - თეთრი. სწორედ მან მაზიარა იმ ცოდნას, რომ ოდესღაც ყოფილა დამოუკიდებელი საქართველო, რომ საბჭოთა კავშირი ერთი დიდი ციხე იყო და არსებობდა ამ ციხის მიღმა სამყარო, სადაც ადამიანები უფრო ბედნიერად გრძნობდნენ თავს. ეს სამყარო მისთვის მიუწვდომელი იყო, მე კი სწორედ მაშინ ჩამესახა ამ ციხიდან თავის დაღწევის დაუოკებელი წყურვილი.

იმ მორდორში „ბეჭდების მბრძანებელი“ აკრძალულ წიგნთა ნუსხაში შედიოდა და, ბუნებრივია, არც არაფერი გამეგო მის შესახებ. მხოლოდ ახლა, მრავალი წლის შემდეგ, როდესაც ტოლკინის ზღაპრულ სამყაროს ვეზიარე, იმ შორეულ მოგონებებში ერთ რამეს ვხედავ: ბაბუა ნამდვილი გენდელფი იყო, ჯერ რუხი, მოგვიანებით კი - თეთრი. სწორედ მან მაზიარა იმ ცოდნას, რომ ოდესღაც ყოფილა დამოუკიდებელი საქართველო, რომ საბჭოთა კავშირი ერთი დიდი ციხე იყო და არსებობდა ამ ციხის მიღმა სამყარო, სადაც ადამიანები უფრო ბედნიერად გრძნობდნენ თავს. ეს სამყარო მისთვის მიუწვდომელი იყო, მე კი სწორედ მაშინ ჩამესახა ამ ციხიდან თავის დაღწევის დაუოკებელი წყურვილი. იმ დროს ვერავინ წარმოიდგენდა, რომ სულ რამდენიმე წელიწადში ციხე ჩამოიშლებოდა და სინათლით დამფრთხალი ღამურებივით მივაწყდებოდით დანარჩენ მსოფლიოს, რომელსაც მშვიდი ძილით ეძინა და წარმოდგენაც არ ჰქონდა, თუ როგორი იყო გამოქვაბული, სადაც 70 წელი გაატარა პლანეტის ერთ მეექვსედზე მცხოვრებმა კაცობრიობის ნაწილმა.

ჩაუშესკუ და მსოფლიო ჩემპიონატი ფეხბურთში

მატარებელი კომფორტული ტრანსპორტი რომ იყო, ძალიან გვიან, მხოლოდ მას შემდეგ შევიტყვე, როდესაც პირველად გერმანიის ერთი ქალაქიდან მეორეში რკინიგზით ვიმგზავრე. მანამდე კი გახუნებული მწვანე ვაგონების ჯახაჯუხი და მეტალის ღრჭიალის აუტანელი ხმა მატარებლით მგზავრობის აუცილებელი ატრიბუტი მეგონა. რიტმულ დაგადუგს თავისებური რომანტიკა ახლდა, რკინიგზის განძელების მძაფრი სურნელი დღესაც მიყვარს და არასდროს მიგრძვნია დისკომფორტი იმის გამო, რომ „პლაცკარტის“ მესამე ზედა თაროზე გამიტარებია მგზავრობის ღამე. ჩემთვის ყველაზე ხანგრძლივი მოგზაურობა მატარებლით კი ის რამდენიმედღიანი ტური იყო, როდესაც პირველად გავცდი სსრკ-ის საზღვარს და სოციალისტურ რუმინეთს ვესტუმრე კომკავშირის სპეცსაგზურით გახარებული სტუდენტების ჯგუფთან ერთად. საზღვარზე ვაგონებს ბორბლები შეუცვალეს და საფეხბურთო კლუბ „ავაზის“ ხელმძღვანელებმა განსაკუთრებული მოწიწებით აღნიშნეს, რომ ლიანდაგების სიგანეში სხვაობა სტალინის გენიალური გადაწყვეტილება იყო, რათა მტრის თავდასხმის შემთხვევაში სამხედრო მატარებლებს სსრკ-ის ტერიტორიაზე სწრაფი შემოჭრის საშუალება არ მისცემოდათ. არ ვიცი ამ ტექნიკური „მიგნების“ ნამდვილი ისტორია, მაგრამ იმ ეპოქაში ალბათ დასავლეთი უფრო უნდა ყოფილიყო მადლიერი იმისთვის, რომ საბჭოთა ჯავშნოსან მატარებლებს საზღვარზე მცირე შეყოვნება მოუწევდათ საომარი მოქმედებების დაწყების შემთხვევაში.

იმდროინდელი პოლიტიკური კლიმატი გაჟღენთილი იყო ბირთვული „დენთის“ სუნით და გამანადგურებელი ომის შიშით. ამ გადმოსახედიდან კარგად ჩანს, რომ მაშინ ბევრად უფრო შორს ვიყავით მსოფლიო ომისგან - ვიდრე დღეს, თუმცა საზღვრის კვეთა მაშინ უფრო წააგავდა ფრონტის ხაზის გარღვევას. მსოფლიო ორად იყო გაყოფილი და ჩვენი მატარებელიც ისეთი ღრჭიალით მიაპობდა სივრცეს, თითქოს მართლაც რკინის ფარდას ბურღავდა საბჭოთა წარმოების დაზგით. დასავლური პროპაგანდით ჩემსავით „ტვინმოწამლული“ არავინ მეგულებოდა მთელ შემადგენლობაში, მაგრამ უკლებლივ ყველა გრძნობდა ქვეცნობიერად, რომ რაღაც, სრულიად ახალი, უნდა განგვეცადა და ამისთვის შინაგანად ვემზადებოდით.

ბუქარესტის ფერებმა ეს შთაბეჭდილება მოიტანა კიდეც თითქოს. მაშინ პირველად ვნახეთ ქუჩის ავტომატური სასწორი, სადაც მონეტების სანაცვლოდ ნებისმიერს შეეძლო, გრავიტაციის ძალა ინდივიდუალურად გაეზომა და აქვე პირველად ქართველებმა ჭკუით ვაჯობეთ ევროპელ სასწორს და მხოლოდ ერთი მონეტის ფასად მთელმა ჯგუფმა მოვახერხეთ აწონა. ჩვენი „გენიალური“ მიგნება კი ის იყო, რომ სანამ პირველი აწონილი ქართველი ჩამოვიდოდა სასწორის დაფიდან, მეორე ადიოდა, შემდეგ პირველი ჩამოდიოდა და სასწორი მეორე კაცის წონას აფიქსირებდა და ა.შ. ერთი მონეტა საკმარისი აღმოჩნდა იმისათვის, რომ ნამდვილ გმირებად გვეგრძნო თავი და ევროპული წესრიგის ჩვენს წილ დარღვევაზე გულიანად გვექირქილა.

იმ წელს მექსიკაში ფეხბურთის მსოფლიო ჩემპიონატი ტარდებოდა. საბჭოთა კავშირში ჯგუფურ ტურნირებს ტელევიზიით არ გადასცემდნენ და შრომით დაღლილ საბჭოთა მოქალაქეებს მხოლოდ მერვედფინალებიდან შეგვეძლო ჩემპიონატისთვის თვალის მიდევნება (გარდა იმ თამაშებისა, რომლებშიც საბჭოთა კავშირი მონაწილეობდა). ამ დროს საზღვარგარეთ მოგზაურობა და მთელი ტურნირის განმავლობაში მატჩების ცქერა დიდი ბედნიერება იქნებოდა, რომ არა ერთი გაუთვალისწინებელი დეტალი: მალევე აღმოვაჩინეთ, რომ საბჭოეთზე უფრო ღატაკ რუმინეთში ელექტროენერგიის დაზოგვის მიზნით ტელევიზია მხოლოდ საღამოს რვა საათიდან ირთვებოდა, ისიც მხოლოდ ოთხი საათით და ამ დროის დიდი ნაწილი ახალ ამბებსა და პროპაგანდას ეთმობოდა. რაც შეეხება ფეხბურთის მატჩებს, არამც თუ ჯგუფური ტურნირი ... ფინალიც კი ვერ ვნახეთ ტელევიზიით. ღმერთი, რომელიც დიეგო მარადონას ინგლისთან ხელით გოლის გატანაში დაეხმარა, ჩვენ აშკარად არ გვწყალობდა. ან კი რა ესაქმებოდა ღმერთს იქ, სადაც Nicolae Ceaușescu მეფობდა?

თუმცა ღმერთის ტაძართან ერთი საინტერესო ამბავი კი შეგვემთხვა: ბუქარესტის საკათედრო ტაძრის ეზოში შეკრებილმა მრევლმა ჩვენი წარმომავლობა რომ გაიგო, დიდი ამბით მიგვიპატიჟა იქვე სახელდახელოდ გაშლილ სუფრასთან (აღაპი თუ ტარდებოდა ვისმე) და გულწრფელი სიყვარულით მოგვითხრო ამბავი ანთიმოზ ივერიელისა. გვესაუბრნენ მის მიერ რუმინეთის ეკლესიისა და სახელმწიფოს წინაშე გაწეულ ღვაწლზე, ხოლო ბოლო ამ ამბისა დიდი მონანიების გრძნობით შემოსეს და მორიდებით გაგვიმხილეს, რომ, როგორც დღეს ვიკიპედია გვამცნობს, „ეპისკოპოსთა კრებამ ანთიმოზი შეაჩვენა, განკვეთა ეკლესიიდან და გამოაცხადა ყოველივე სამღვდელო „ღირსებაახდილად“, მაგრამ მეფისთვის საკმარისი არ აღმოჩნდა ანთიმოზ ივერიელის უნგრო-ვლახეთის მიტროპოლიტობიდან გადაყენება, მან მიაღწია იმას, რომ წმინდა ანთიმოზი საბოლოოდ გააძევეს სინას მთაზე. რუმინელი ხალხის ერთგული და მოსიყვარულე მიტროპოლიტი შუაღამისას გაიყვანეს ქალაქიდან, რადგან მოსახლეობის მღელვარების შეეშინდათ, მაგრამ სინას მთამდე ანთიმოზ ივერიელს არ მიუღწევია. გალიპოლიის მახლობლად, ადრიანოპოლზე გამავალი მდინარის, დულჩიას, ნაპირზე თურქმა ჯარისკაცებმა ასო-ასო აკუწეს ანთიმოზ ივერიელი და მისი წმინდა ნაწილები მდინარეში გადაყარეს“.

რაღა ქართველები ვიქნებოდით, ერის მამის ასეთი აღსასრული რომ გაგვკვირვებოდა, მაგრამ სიამაყის გრძნობით კი ფრიად აღვივსეთ. მაშინ ვიგრძენით, რომ ჩვენ, ყველანი, „ივერიელები“ ვიყავით... ყველანი, ჩვენი ჯგუფის ერთი წევრის გარდა, რომელიც ალბათ შემდეგ სუკ-ის ინსტრუქტორებთან დეტალურად არკვევდა, ვინ იყო ანთიმოზ ივერიელი, ვინმე ემიგრირებული დისიდენტი თუ კონტრრევოლუციონერი.

უმადურობაში დავიჭირე ჩემი თავი, როცა ღმერთის წყალობაზე ვწუწუნებდი. მართალია, მარადონას „ღმერთის ხელი“ ვერ ვნახეთ, მაგრამ ეგ რა მოსატანია იმასთან, რასაც მაშინ გადავურჩით: იმ გაზაფხულზე ჩერნობილის ავარია მოხდა. საბჭოთა პროპაგანდა დიდხანს საგულდაგულოდ მალავდა კატასტროფის მასშტაბებს, რამაც ათასობით ადამიანის სიცოცხლე და ჯანმრთელობა შეიწირა. ჩვენი მატარებელიც უდრტვინველად მიაპობდა რადიაქტიური ღრუბლებით გაჯერებულ სივრცეებს შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროდან, კიევის გავლით - დასავლეთ სანაპირომდე. ელემენტარული ნაწილაკების ფიზიკას პარადოქსები ისედაც არ აკლია, მაგრამ ერთ-

ერთ პარადოქსად ისიც შეგვეძლო მიგვეჩნია, რომ, მიუხედავად ასეთი სახიფათო მარშრუტისა და კატასტროფის ეპიცენტრიდან არც თუ ისე შორს ზღვის ტალღებში ნავარდისა, რადიაციის მნიშვნელოვანი დოზა არცერთ ჩვენგანს არ მიუღია და ჩვენს ჯანმრთელობაზე ეს მოგზაურობა ცუდად არ ასახულა (თუ არ ჩავთვლით ქვიშაში ფეხბურთის თამაშისას ნაღრძობ რამდენიმე კიდურს).

დღეს, როდესაც უკვე ბევრი რამაა ცნობილი ჩერნობილზე და შესანიშნავი სერიალიც გადაიღეს Netflix-ისათვის, კატასტროფის მასშტაბის გააზრება რთული აღარაა, მაგრამ 1986 წელს, როდესაც პირველად გავარღვიე რკინის ფარდა და ღატაკ, მაგრამ მაინც უცხო ქვეყანაში ვიმოგზაურე, იმ უხილავ და მკვლელ სხივებზე მეტად სხვა რამ მაფიქრებდა: როგორ მომეწყო ჩემი ცხოვრება ისე, რომ, გამა სხივების მსგავსად, ნებისმიერი რკინის ფარდის გავლა შემძლებოდა დაუბრკოლებლად. გავა სულ რაღაც სამი წელი და ისტორიის კვანტური ნახტომი ჩემს ნატვრას რეალობად აქცევს. ასევე ზუსტად სამი წლის შემდეგ ტელევიზიით ვიხილავ კადრებს, რომლებშიც რევოლუციის ხელი კედელთან მიყენებულ Nicolae Ceaușescu-ს დახვრეტს. 1989 წლის რუმინეთში ალბათ შურისძიებით აღტკინებულმა ბევრმა ადამიანმა იზეიმა დიქტატორის ეგზეკუცია, მე კი, სიმართლე გითხრათ, სადღაც, გულის სიღრმეში, შემძრა ტირანისა და, განსაკუთრებით, მისი მეუღლის გულწრფელმა გაოცებამ და მათ ღია თვალებში ჩარჩენილმა კითხვამ „რისთვის? ჩვენ ხომ ამდენი რამ გავაკეთეთ თქვენთვის?“. დიქტატორებს ხომ გულწრფელად სჯერათ საკუთარი მისიის და გაოცება ეყინებათ სახეზე, როცა „უმადურობით“ გასროლილ ტყვიას უსწორებენ თვალს.

შენ ხარ ვენახი

ბევრგანაა აღწერილი ევროპელ მოგზაურთა შთაბეჭდილებები, როდესაც მათ შორეული მიწების აბორიგენ ტომებთან უწევდათ კომუნიკაცია. აი, ბარბაროსების სტუმრობით გაოცებულ ცივილიზებულ ქალაქთა მაცხოვრებლებზე კი არც თუ ისე ბევრი ისტორიაა შემონახული. კინგ კონგი თუ მახსენდება მხოლოდ. არადა საინტერესოა ცივილიზაციათა ეს ჯახი - ორივე მხრიდან დანახული. საბჭოელების ევროპაში სტუმრობა ასეთ ჯახაჯუხს იწვევდა სწორედ და დაახლოებით იმას ჰგავდა, პაპუა ახალი გვინეას კაციჭამია ტომის ტურისტულ ჯგუფს Café de Flore-ში რომ ესაუზმა. ჩვენ მაინც ეგზოტიკა ვიყავით მათ თვალში - რკინის ფარდაში გამოჭონილი უცხო არსებები. ეგზოტიკა კარგია, მაგრამ დასავლურ ცივილიზაციაში ყველაფერს რომ თავისი ჩარჩოები აქვს, ეგ ამბავი დიდად არც გვესმოდა და არც გვანაღვლებდა.

მემატიანეს არ შემოუნახავს ეს დეტალი, მაგრამ დარწმუნებული ვარ ვახტანგ VI-ის ამალა ასტრახანისკენ მიმავალ გზაზე, სადაც გაჩერდებოდა დუქანსა თუ ფუნდუკში - ქართულ სიმღერებს აგუგუნებდა. ეს ინსტინქტში გადასული ტრადიცია დღესაც ხშირად იჩენს თავს მსოფლიოს სხვადასხვა აეროპორტში. YouTube-ზე ატვირთული ვიდეოებიც უხვადაა, სადაც გაფრენის დარბაზში ეულად მდგომ როიალთან მოქუჩებული ამაყი ქართველები მრავალხმიანი ხალხური სიმღერებით აოცებენ ტრანზიტის მგზავრებს. მე ამ უკანასკნელთა დაბნეული სახეები უფრო მართობს: ვერ გაუგიათ ფლეშმობია რამე, კინოგადაღება თუ ქუჩის მუსიკოსების პერფორმანსი, სადაც ფულის გადახდა მართებთ?

მოკლედ, მიუხედავად იმისა, რომ არ ვმღერი, ერთი ასეთი პერფორმანსის მონაწილე მეც გავხდი ქართველების მიერ ევროპული ცივილიზაციის გაცნობის ადრეულ ეტაპზე.

80-იანი წლების პოლონეთი უკვე ითვლებოდა თავისუფლებისთვის მებრძოლი აღმოსავლეთ ევროპის ავანგარდად. მოძრაობა „სოლიდარობა“ უკვე დაუმარცხებელ ძალად ჩამოყალიბდა, ლეხ ვალენსა კი - ანტისაბჭოთა მოძრაობის ლიდერად. „ღმერთო, ღმერთო, ეს ხმა ტკბილი...“ ზანზალაკივით წკარუნებდა ჩემს ყურში და, რაღა თქმა უნდა, ასეთ დროს პოლონეთში მოგზაურობა ორმაგად სასიხარულო ამბავი იყო. თუმცა, თავისუფლება თავისუფლებად და მოგზაურს ვალუტაც სჭირდება სრული ბედნიერებისთვის. ადგილობრივი ვალუტის მოსაპოვებლად კი თითებზე

ჩამოსათვლელ საბჭოთა სიმდიდრეთაგან მხოლოდ ერთი რამ თუ გამოდგებოდა. ისევე როგორც ახლა, მაშინდელი რუსეთის (იმავე სსრკ-ის) ეკონომიკა ოთხი სიმდიდრის ექსპორტზე იდგა: ნავთობი, გაზი, წიაღისეული და... ხიზილალა (სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ საბჭოთა პერიოდში - ვერა და შემდეგ კი ამას მეხუთე ელემენტი - პროსტიტუციის ექსპორტი დაემატა). ამ ოთხიდან, ჩვენ, საბჭოთა ტურისტებს, მხოლოდ ხიზილალაზე მიგვიწვდებოდა ხელი და აკი გამოვტენეთ კიდეც ჩემოდნები წითელი ხიზილალის კონსერვებით, ცალში თავაზიანი პოლონელი მეტრდოტელები 10 აშშ დოლარსაც რომ არ იშურებდნენ. ასე არნახულად გამდიდრებულმა ქართველმა სტუდენტებმა, რაღა თქმა უნდა, კრაკოვის საუკეთესო რესტორანს მივაშურეთ. ხიზილალაში გაცვლილი ევროპული სუფრის შემდეგ კი კარგად შეზარხოშებულები ღამის წყნარ ქუჩებს გამოვუყევით სასტუმროსკენ მიმავალ გზაზე. გვარიანად გვიან იყო და გზად რამდენიმე მოქმედი ბარი რომ შემოგვხვდა, ფრიად გაგვიკვირდა და ერთ-ერთ ასეთ ნახევრად სარდაფ-ბარში გადავწყვიტეთ ალკოჰოლური თრობის განგრძობა.

ბარში თითქმის ყველა მაგიდა დაკავებული იყო, მუსიკა არ უკრავდა, სტუმრები ძალიან ჩუმად, თითქმის ჩურჩულით, საუბრობდნენ. აქა-იქ შამპანურის საცობის ხმა თუ გაისმოდა - „მპა!“ და შემდეგ ფუჟერების მელოდიური წკრიალი. მიმტანებიც ლანდებივით დასრიალებდნენ ნახევრად ჩაბნელებულ დარბაზში. ბედად, ქართველი მამაკაცებისთვის ერთი მაგიდა თავისუფალი აღმოჩნდა. საჭმელი აღარ გვინდოდა და მგონი, მენიუში არც ჰქონდათ, მაგრამ არაყი (რომელიც წმინდა რუსული მოვლენა მეგონა და დიდი ხნის შემდეგ აღმოვაჩინე, რომ პოლონური ყოფილა) უხვად მოვიმარაგეთ და შევუდექით სმას. ერთი ჭიქა, მეორე ... ირგვლივ კვლავ სიჩუმეა, მხოლოდ ჩვენი მაგიდა ხმაურობს უჩვეულოდ და აქ კი გაიღვიძა ქართულმა გენმა! აბა ბიჭებო, შემოვცხოთო ვიღაცამ თქვა და ჯერ კახური მრავალჟამიერი აგუგუნდა, შემდეგ - საეკლესიო, ბოლოს კი „შენ ხარ ვენახი“ ათრთოლდა და... ჰოი საოცრებავ! - არანაირი ოვაციები და ტაშისკვრა, ირგვლივ მხოლოდ გაოცებული მზერა დაგვტრიალებს და ჩუმი ქირქილი, ფხუკუნიც კი...

მე რადგან არ ვმღეროდი, თვალები ღია მქონდა და პირველმა მოვავლე დარბაზს. დარბაზის ცენტრში პატარა მრგვალი სცენა და ზედ აღმართული ლითონის ბრჭყვიალა ბოძი კი მენიშნა ცუდად, მაგრამ რას ვიფიქრებდი, რომ იქ ვიყავით, სადაც არასდროს ვყოფილვართ? და თანაც მაინცდამაინც პაუზის დროს შემოვედით, როდესაც მონაწილეები კულისებში ისვენებდნენ. აი, მაინც რა არის ევროპული დელიკატურობა: საგალობელი არ გაგვაწყვეტინეს, ბოლომდე გვამღერეს და მხოლოდ ამის შემდეგ ჩაირთო ხმამაღალი მუსიკა და ლითონის ბოძთან ამ სიტყვას რომ ერითმება, იმნაირი ქალბატონების ცეკვა დაიწყო.

ჩვენ ხომ პირველად ვიყავით და დარწმუნებული ვარ, დანარჩენ მაგიდებთან მსხდომი სტუმრებიც პირველად მოხვდნენ სტრიპტიზ-ბარში, სადაც ქართულ საგალობლებს ასრულებდნენ.

გია ჯაფარიძე

ათონი

დიპლომატია, ერთი შეხედვით, რუტინული საქმიანობაა, საკუთარი შესაძლებლობების რეალიზაცია მხოლოდ საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ მოცემული დავალებების ფარგლებში ხდება. ის ბიუროკრატიულ-ეტიკეტურ ჩარჩოებში ცხოვრებაა და ეს ცხოვრება თავისუფლებისთვის დიდ სივრცეს არ ტოვებს. საქართველოს თუ არ ჩავთვლით, დანარჩენ მსოფლიოში დიპლომატიურ სამსახურში მარტო პოლიტიკით და საერთაშორისო საკითხებით დაინტერესებული ადამიანები მიდიან.

მაგრამ რუტინულმა საქმიანობამაც კი შეიძლება განსაკუთრებული გრძნობები, ფიქრები, გამოცდილება და მოგონებები დატოვოს. ჩემი დაახლოებით ათწლიანი შეხება დიპლომატიურ სამსახურთან სწორედ ასეთი იყო - ეს იყო მოკლე მოგზაურობა ისტორიაში, დროში, საკუთარ თავში, წარსულში, სიტყვებში, იმ ამბებში, სადაც სიმართლისა და გამონაგონის ზღვრის დადგენა რთულია და არც გინდა.

ეს იყო მოგზაურობა ძველ პროფესიაში - ფილოლოგიაში, სიტყვის სიყვარულში, რომელსაც ხანდახან თან ახლდა მომენტის ისტორიულობის შეგრძნება და მასზე მიბმული განუსაზღვრელი ემოცია. როდისმე ამის დაწერას შევეცდები, მანამდე კი - ვყვები.

ამ მოგზაურობის ერთი, სხვებისგან გამორჩეული, ეპიზოდი, ათონზე, იმავე წმინდა მთაზე, ჩემს პირველ სტუმრობას ეხება. არ ვიცი ზუსტად, რამ მიმიყვანა იქ - ბედისწერამ, რომლის თავისთავადობა არ მჯერა, ფილოლოგიამ - ძველმა პროფესიამ, რომელმაც ბევრი რამ მასწავლა „განკაცებულ სიტყვაზე“, თუ იმჟამინდელმა პროფესიამ, დიპლომატიამ, რომლის ფარგლებშიც ძალიან დელიკატური დავალება იყო შესასრულებელი.

ამ მოგზაურობამ უხილავი ძაფებით დამაკავშირა არა მარტო იმ ადამიანებთან, რომლებთან ერთადაც წმინდა მთას ვსტუმრობდი და ვინც წმინდა მთის ორ მონასტერში - ივერიელთა და ქსიროპოტამოსის მონასტრებში - ვნახე, არამედ იმ ადამიანებთანაც, რომლებიც აქ საუკუნეების წინ ცხოვრობდნენ, იღვწოდნენ, წერდნენ, თარგმნიდნენ, საქართველოს მომავალს ჭედდნენ. ამ მოგზაურობამ აღადგინა კავშირი წინაპრებთან, კავშირი საქართველოს წარსულს, აწმყოსა და მომავალს შორის.

ბევრს სმენია და ბევრს წაუკითხავს კიდეც ქართული კულტურის უნიკალურ ცენტრზე, შუა საუკუნეების ქართული ლიტერატურული სკოლის უდიდეს წარმომადგენლებზე, მაგრამ ცოტას თუ გაუაზრებია, რომ წმინდა მთაზე სხვადასხვა მონასტერში გაბნეული ქართველი ბერები, თავად ათონის ივერიელთა მონასტერი, იქ მოღვაწე ბრწყინვალე ფილოლოგები, თეოლოგები და მთარგმნელები თავიანთი საქმიანობით ძერწავდნენ ჩვენს კულტურულ იდენტობას და მონაწილეობდნენ შუა საუკუნეების ქართული აბსოლუტური მონარქიის საფუძვლის ჩაყრაში.

ცოტას თუ გაუაზრებია საქართველოს პოლიტიკური ისტორია კრიტიკულად, მითოპოეტიკის გარეშე, მეცნიერულად და აკადემიურად, ნარცისისტული ჰეროიზ-მისგან დაცლილად, მშრალად, ფართო გეოპოლიტიკურ კონტექსტში, ისტორიული გარდატეხების გათვალისწინებით. არადა ასეთი გააზრება კიდევ უფრო ზრდის ათონის წმინდა მთის ქართველი ფილოლოგოსების როლს საქართველოს პოლი-ტიკურ ისტორიაში. თორნიკიოსის აბჯარი, რომელიც ივერიელთა მონასტერშია დაცული, თითქოს გადმოგვცემს აღმოსავლეთ რომის (ბიზანტიის) იმპერიასთან ჩვენი ურთიერთობების ტრაგიკულ ისტორიას. ათონის მთა არის ქართულ-ბიზანტიური ურთიერთობების ცოცხალი მატიანე. ექვთიმე ათონელის თარგმნილი ოთხთავი მიანიშნებს ჩვენს ევროპულ იდენტობას და ღირებულებით არჩევანს, მიგვაკუთვნებს დასავლური ცივილიზაციის სივრცეს.

X-XI საუკუნეების მიჯნაზე გეოპოლიტიკური მოცემულობა ისე იცვლება, რომ სამხ-რეთ კავკასიაში მძლავრი აბსოლუტური მონარქიის შექმნა, რომელიც ქართული ეთნიკური ნიშნის ქვეშ იქნებოდა გაერთიანებული, შესაძლებელი ხდება. დავით აღმაშენებელი ამ პროცესის გვირგვინი და მთავარი შემოქმედია, მაგრამ ამ ეტაპამდე მისვლა ბევრმა ფაქტორმა განაპირობა, მათ შორის, ქართული პარტიის მოღვაწეობამ ბიზანტიის საიმპერატორო კარზე და აღმოსავლეთ რომის ბერძნულ-მართლმადიდებლური იმპერიის სხვადასხვა კუთხეში გაბნეულმა ქართული კულ-ტურულ-რელიგიური ცენტრების არსებობამ.

ათონზე საბერძნეთის რესპუბლიკაში საქართველოს ელჩთან, სანდრო ჭუმბუ-რიძესთან, და მის შვილთან, მაშინ სკოლის მოსწავლე, თეგასთან, ერთად ვიყავი. მოგზაურობა ათენიდან დაიწყო, მანქანით ხალკიდიკის (ქალკედონის) ნახევარ-კუნძულის პატარა ქალაქ ურანოპოლისამდე მივედით. ურანოს (ουρανός) ბერძნულად ცას/ზეცას ნიშნავს, პოლის (πόλις/πόλη) კი - ქალაქს. ცისქალაქი - ათონის კარიბჭეა, მონასტრებისკენ მხოლოდ გემები მიდიან, აქვე, პილიგრიმთა მომსახურების ცენტრში (Γραφέιο Προσκυνητών), ავიღეთ შეზღუდული ვადით ათონზე ყოფნის უფლების საბუთი. ეს არის ერთგვარი ვიზა, რომელიც წმინდა მთის სამონასტრო თემში შესვლასა და გარკვეული დღეების განმავლობაში იქ დარჩენაზე ნებართვაა.

ჩვეულებრივი მომლოცველისთვის ეს წმინდა მთაზე შესვლის ნებართვაა, მაგრამ ქართული კულტურის პილიგრიმისთვის ეს არის ჩვენი ისტორიის „ვიზა“, წინაპრებთან მიახლოებისა და ხელის შეხების უფლება.

რამდენიმედღიანი ვიზიტიდან მოსაყოლი ამბები და ემოცია ბევრია: ივერიელთა მონასტერი საკმაოდ დიდი კომპლექსია, კარიბჭიდან მარცხნივ, პატარა ეკლესიაში, მართლმადიდებლურ ქრისტიანობაში ცნობილი ხატი - „პორტაიტისა“ (Παναγία Πορταϊτισσα), „კარიბჭის ღვთისმშობლის“ ხატი ასვენია. საქართველოში ეს ხატი ქართული ჰგონიათ, ამ დროს ის ბიზანტიურია და ათონზე მოღვაწე ქართველების სახელს ლამაზი ისტორიით უკავშირდება.

ეკლესიურ მორწმუნეს პორტაიტისა ადვილად მონუსხავს თავისი ისტორიით და

სილამაზით, ამას ხატზე ასხმული ის ძვირფასი ქვები, ოქრო, ვერცხლი და სხვადასხვა ძვირადღირებული ნივთი ადასტურებს, რომლებიც მომლოცველებს ხატთან დაუტოვებიათ, სავარაუდოდ, რელიგიურ ექსტაზში მყოფებს.

ამ პატარა ეკლესიის კარი ძირითადად დახურულია, მისი გასაღები ერთ ბერს აბარია, რომელიც კარს დღეში რამდენჯერმე მცირე ხნით აღებს.

ყოველთვის დახურულია მონასტრის წიგნთსაცავის კარიც და მისი გასაღებიც ერთ კონკრეტულ ბერს აბარია, თუმცა, კარს ის განსაკუთრებულ შემთხვევაში აღებს - ეს განსაკუთრებული შემთხვევა წინამძღვრის კურთხევაა. წიგნთსაცავი საქართველოს ისტორიის ნაწილს ინახავს, იქ დაცული ხელნაწერების უმეტესობა ქართულია, ზოგი მათგანი ექვთიმე და გიორგი მთაწმინდელების, ასევე ათონზე მოღვაწე სხვა ქართველი ბერების მიერ შესრულებული. მანუსკრიპტებს სპეციალური პირობები სჭირდება შესანახად, ივერიელთა მონასტრის ბიბლიოთეკაში დაცული ხელნაწერები, ქართველი მეფეების სიგელ-გურჯები, დროშები, ნივთები ასეთ სპეციალურ პირობებში ინახება. როგორც ივერიელთა მონასტრის, ისე მთლიანად ათონის სამონასტრო კომპლექსის მოვლა-პატრონობაზე ევროპის კავშირი ზრუნავს, ყველგან შემხვედრია ბანერი, რომელზეც მითითებულია, ევროპის კავშირის რომელი ფონდიდან რა თანხით ფინანსდება ამა თუ იმ მონასტრის რესტავრაცია-კონსერვაციის სამუშაოები, ვინ არის შემსრულებელი და რა ვადებში მთავრდება ის. ასე ზრუნავს ევროპის კავშირი ბიზანტიურ კულტურულ მემკვიდრეობაზე.

წარმოუდგენელია იმ მოლოდინის და განწყობილების აღწერა, რომელიც ძველ ფილოლოგს წიგნთსაცავის სტუმრობამდე აქვს. ის, რაც ბავშვობიდან მესმოდა, წამიკითხავს, შემდეგ კი უკვე სტუდენტობისას მისწავლია, რაზეც უამრავი საათი უსაუბრიათ ჩემს პროფესორებს, რისი ნახვაც განუხორციელებელ ოცნებასავით ჩანდა თბილისში, უნდა აღსრულებულიყო. აჩქარებული გულისცემა მაშინებდა, ყოველი შემდეგი დარტყმა, მეგონა, ბოლო იქნებოდა და მოლოდინი მომკლავდა. მიზანთან ახლოს მყოფ ადამიანს ცუდი ეჭვები უძლიერდება და იმასაც ვფიქრობდი, ვაითუ მონასტრის წინამძღვარმა კურთხევა არ მოგვცეს. სანდროც ღელავდა, ერთმანეთს გამოვუტყდით, რომ მსგავსი პესიმისტური ფიქრები ორივეს გვქონდა.

იღუმენთან შეხვედრის პირველივე წამებიდან ჩვენი ეჭვები გაიფანტა. ის იყო უაღრესად განსწავლული, ისტორიაში, ღვთისმეტყველებაში, ფილოსოფიასა და პოლიტიკაში ღრმად ჩახედული ახალგაზრდა ბერძენი კაცი, რომელიც საოცარ კეთილგანწყობას ამჟღავნებდა თავისი სტუმრების, საქართველოს, ქართული ეკლესიისა და ქართული კულტურის მიმართ. შეხვედრისას რამდენჯერმე გამიელვა აზრმა, ნეტავ საქართველოს მოსახლეობის სულ მცირე პროცენტს ესმოდეს ისე ქართული სახელმწიფოებრიობა და საქართველოს ისტორია, როგორც ამ კაცს ათონის მთაზე. იღუმენის სახე, დაწმენდილი ამქვეყნიური შფოთისა და ვნებებისგან, საოცარ სიმშვიდეს ასხივებდა.

კურთხევა მივიღეთ, ქსენონში გატარებული უძილო ღამის, დილის ღვთისმსახურების (რომელიც ოთხ საათზე იწყება) და ტრაპეზის შემდეგ, დათქმულ დროს, ბიბლიოთეკის კართან ვიდექით სამივე. ბიბლიოთეკარი ბერის მოსვლამდე დრო საუკუნედ მეჩვენა, ეს დროის მანძილი წარსულთან მაშორებდა და თან მაახლოებდა. კარი რომ გაიღო, პირველი ექვთიმე მთაწმინდელის ნათარგმნი ოთხთავი გამოჩნდა, დარბაზის ბოლოს ქართული დროშები და თორნიკეს საომარი აღჭურვილობა. იმ წამის გახსენებისას ყოველთვის ჟრუანტელი მივლის, გონებით სხვა განზომილებაში გადავდივარ, მთელ ტანზე მბურძგლავს, ენით აღუწერელი ემოცია მიტაცებს, ჩემ წინ გაცოცხლდა საქართველოს ისტორია, გაცოცხლდნენ ადამიანები, თითქოს ვხედავდი კიდეც, როგორ მოძრაობდნენ და რას საქმიანობდნენ, იმას ვხედავდი, რასაც წლების განმავლობაში მასწავლიდნენ, რასაც უფრო მანამდე ვკითხულობდი, რაც ჩემთვის მხოლოდ მითად არსებობდა, რისი ნახვაც აუხდენელ ოცნებად წარმომედგინა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კორპუსებში. ხელით შევეხე ისტორიას, წარსულმა ხორცი შეისხა.

ხშირად დაუსვამთ კითხვა - ივერიელთა მონასტერს დავიბრუნებთ? საეკლესიო კანონმდებლობით ივერიელთა მონასტერი არ შედის ქართული ეკლესიის იურის-

დიქციაში, გეოგრაფიულად ის მდებარეობს საბერძნეთის რესპუბლიკის ტერიტორიაზე და სარგებლობს ავტონომიური სამონასტრო თემის სტატუსით. საერთოდ რას ნიშნავს, დავიბრუნებთ? ვინ წაგვართვა? დროთა განმავლობაში მონასტერი ქართველებმა დათმეს, ჯერ კიდევ ბიზანტიის იმპერიის პერიოდში მონასტერს სხვა „ერთმორწმუნეები“ დაეპატრონნენ. შემდეგ იყო რუსეთის მიერ ქართული სამეფო-სამთავროების დაპყრობა და ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმება, ბოლშევიზმი და საბჭოთა ოკუპაცია, ჩვენ ვერ შევძელით ქართული მონასტრის მხარდაჭერა, „ერთმორწმუნე“ რუსეთის იმპერიამ - არ ისურვა, სხვა ერთმორწმუნეებმა - შეძლეს. ქართველი ბერები ათონზე მეოცე საუკუნეშიც იყვნენ. წმინდა მთაზე ქართული კვალი არასდროს გამქრალა, ივერიელთა მონასტერში, სხვა მონასტრებშიც, ეკლესიის თუ სატრაპეზო დარბაზის კედლებიდან ექვთიმეს, დიდი ათონელი სასულიერო მოღვაწის და ფილოლოგის ფრესკები იყურება.

მონასტერს „დავიბრუნებთ“, როცა იქ იღვაწებს იოანეს, ექვთიმეს, გიორგი მთაწმინდელის და თორნიკე ერისთავის განათლების, მორალის და აზროვნების ადამიანთა ჯგუფი; როცა საქართველოს სახელმწიფოს ექნება იმის პოლიტიკური ნება და ეკონომიკური შესაძლებლობა, რომ ქვეყნის საზღვრებს გარეთ არსებულ ისტორიულ და კულტურულ ცენტრებს თავად მოუაროს; როცა საქართველო დაუბრუნდება ევროპულ ქრისტიანულ ღირებულებებს, რომლებიც ეკლესიაში სიარულითა და ფარისევლური მორწმუნეობით არ განიზომება; როცა გავაცნობიერებთ, რომ სიტყვა „ერთმორწმუნე“ მოსკოვის იმპერიის მიერ ქართველების ვერაგულად გასაცურებლად შექმნილი ხელოვნური ტერმინია, რომელსაც ორი საუკუნე იმპერია წარმატებით იყენებდა ჩვენს გასაბრუებლად და რბილი ძალის იარაღად ჰიბრიდულ ომში და რომლის ანალოგსაც ვერ ვხვდებით სხვა ენებსა და სხვა აღმსარებლობის ხალხებში; როცა ჩვენ გავაცნობიერებთ თავისუფლების, სახელმწიფოებრიობის და დამოუკიდებელი საქართველოს სახელმწიფოს არსებობაში ათონის მნიშვნელობას და წვლილს; როცა ჩვენ დავბრუნდებით ევროპის წიაღში, მაშინ, როცა გავისიგრძეგანებთ ევროპის ღირებულებებს, ისტორიას, პოლიტიკას, როცა გავიაზრებთ, რომ ამ ღირებულებების და ისტორიის შემქმნელი და ნაწილი ჩვენც ვართ. ■

გია ჯოხაძე



იმპერიის ბრწყინვალება და სიღატაკე

ოსიპ მანდელშტამის ანტიქართული ოდისეა

საბჭოეთი უნიკალური იმპერია გახლდათ, პროლეტარიატის დიქტატურით, ტოტალური ტერორით, კომუნისტური სასუფევლის დაპირებით... იმპერია, რომელიც გამალებით ამკვიდრებდა სათავისო კლიშეებს და ამ კლიშეებით მართავდა დაპყრობილ ხალხებს. კულტურულ საქართველოს კულტურულივე მოდელით იმორჩილებდნენ. ამართლებდა მთავარმართებელ ვორონცოვის მიდგომა: არა ხისტი იმპერიალიზმი, არამედ - დაყვავება და გადმობირება, როცა იმპერიულ მიზნებსა და ამოცანებს არა მუქარით, დაშინებითა და ძალადობით, არამედ ცდუნებით, მოხიბვლითა და დარწმუნებით აღწევენ. ამ დროს იძულებისა და ზემოქმედებისთვის ბერკეტებს კი არ იყენებენ, თანამშრომლობას გთავაზობენ, მასობრივი ცნობიერების სადავეებს ზანტად ქაჩავენ და ადამიანურ ღირებულებათა სისტემაზე ნაზად პედალირებენ.

რაც უნდა ზოგადად მოგეჩვენოთ, ყოველივე ეს იმ საშურ პრაგმატიკას ემსახურებოდა, კავკასიელი მთიელების დამმორჩილებელ გმირებად ქართველები წარმოეჩინათ. აი, მაცდუნებელი წინადადების შესაძლო რეკონსტრუქცია: „ჩვენ, რუსები - კულტურული ერი - თქვენ, ქართველებს - კულტურულ ერად მიგიჩნევთ, ერთად ვიკისროთ კულტურტრეგერობა და უკულტურო ველურები ადამიანებად ვაქციოთ!“. ...და მოკვეთილ თავებსა და ნაცარტუტად ქცეულ ნასახლარებთან ერთად ხვავდებოდა გენერლის სამხრეები, ჩინ-მედლები და ყოფითი სიამეები. პოეტი გენერლები ორმაგ სტანდარტს შესჩვეოდნენ: მათი პოეზია ქართველთა სამეფოსა და ისტორიული წარსულის ქვითინნარევი მონატრება იყო, პროზა - რუსული იმპერიის ძაღლებრი ერთგულება! ვინღა გაიხსენებდა (ვინც წარსულს გაიხსენებს, თვალიც დავსებია!), რომ სულ გუშინ მათი ხალხიცა და ქვეყანაც ნერწყვმოსადენ ნადავლად იმავე რუსმა კულტურტრეგერებმა აქციეს.

ერთ-ერთი მაცდუნებელი კლიშე, რომელიც საბჭოთა იმპერიას მოემარჯვებინა, *რუს-ქართველ კულტურის მოღვაწეთა ურღვევი მეგობრობის* მითი გახლდათ. საერთო იდენტობის ემბლემად მაშინაც „ერთმორწმუნე“ კულტურა გამოაცხადეს. სხვათათვის (ვთქვათ, შუა აზიელთა მოსაქცევად) სხვა მოდელებს იყენებდნენ. თავის მოსატყუებლად, ანუ იმ ილუზიის შესაქმნელად, რომ ეს კონსტანტა იყო, რევოლუციამდელი წარსულიც თავიანთ სამსახურში ჩააყენეს: არქეტიპულ ეტალონად ყოველთვის მოკლული ავტორიტეტის გამოყენება ჯობს - ვთქვათ, რომელიმე პუშკინისა ან ლერმონტოვისა. მესამე მოკლული, გრიბოედოვი, მთლად ქართველებს ჩასსიძებოდა! არცერთს არასდროს არ დაუწერია (კაცმა რომ თქვას, არც ევალებოდათ), რომ საქართველო ან, ზოგადად, ქართული კულტურა უყვარდათ. ოდენ ბუნების სურათებს იმახსოვრებდნენ, თვითაგზნებულნი, თავიანთ რუს სატრფოებს იხსენებდნენ, ეჭვიანობდნენ და, ამის დასაცხრობად, ქართულ ლეგენდათა სათავისო ტრანსმუტაციას ცდილობდნენ... მითი კი (უფრო შინ, ვიდრე - გარეთ) ვრცელდებოდა და ფესვიანდებოდა, რადგან არაფერი ისე არ ამყარებს მას, როგორც - გაუგონარი სიცრუე.

ვინღა გაიხსენებდა, რომ „თბილი ციმბირის“ რუსი ტუსაღები კავკასიას ნაძალადევად მოაწყდებოდნენ ხოლმე. სხვა რომ არაფერი, ფსიქოლოგიის შეურაცხყოფა მაინცაა, იძულებით გადმოსახლებულს აქაურობის სიყვარული დასწამო, მით უფრო, მოსთხოვო!

...და აუხდენელ იმედებსა და ნაყალბევ ოცნებებთან ერთად, რომლებიც, წესისამებრ, განწირულთა თავშესაფრად გადაიქცევა ხოლმე, ხვავდებოდა რუს და ქართველ კულტუროსანთა ურღვევ მეგობრობაზე დაწერილი სტატიები, ავანსად გაცემული აკადემიური ხარისხები, ძღვნად ნაბოძები თანამდებობანი, ფოსტით გამოგზავნილი საკავშირო კონგრეს-კონფერენციათა მოსაწვევები და რუსულად გამოცემის წინადადებები...

არცერთს არასდროს არ დაუწერია (კაცმა რომ თქვას, არც ევალებოდათ), რომ საქართველო ან, ზოგადად, ქართული კულტურა უყვარდათ. ოდენ ბუნების სურათებს იმახსოვრებდნენ, თვითაგზნებულნი, თავიანთ რუს სატრფოებს იხსენებდნენ, ეჭვიანობდნენ და, ამის დასაცხრობად, ქართულ ლეგენდათა სათავისო ტრანსმუტაციას ცდილობდნენ...

ამ კლიშეს ფიგურანტთა შორის რუსი პოეტები - კონსტანტინ ბალმონტი და ბორის პასტერნაკი - შედარებით გულწრფელები აღმოჩნდნენ: საქმით გაამართლეს თავიანთი ემოცია (ერთმა „ვეფხისტყაოსანი“ თარგმნა, მეორემ - ლამის მთელი ქართული პოეზია). მათ გეზს განაგრძობდა ახმადულინა-ევტუშენკოს დუეტიც. ახმადულინამ „საკარტველო“, „ია“, „კვევრი“ რუსული პროსოდიის ელემენტებადაც კი აქცია. იყვნენ სხვებიც. ეგებ ახლაც არიან...

...და შეფარულ ორმხრივ თავგაბეზრებასა და მენტალურ შეუთავსებლობასთან ერთად ხვავდებოდა რუსული პოეტური საქართველოს ტომები, ურბილნიშნო რუსიზმები და ცხვირისა და ხორხისმიერი ქართველიზმები, გრძელი და ქრესტომათიული სადღეგრძელოები და მოკლე და სასხვათაშორისო სექსუალური ავანტიურები...

* * *

დიდი რუსი პოეტი, ოსიპ მანდელშტამი, საქართველოში მაშინ ჩამოვიდა, როცა თვითონ ჯერ არ იყო, მისი ქვეყანა კი *უკვე აღარ იყო დიდი.* ეს ეპითეტი - დიდი - მაშინ დიდ სისხლს გაეჟღინთა და შიმშილს, სიკვდილს და სამომავლო გაურკვევლობას შესწებებოდა. თავისი დიდი წინაპრებივით, არც მანდელშტამი მიუზიდავს დიდ ქართულ კულტურას - მისი იძულებითი პილგრიმაჟი პოლიტიკას, ეკონომიკას და კიდევ - რაღაც „იზმებს“ განეპირობებინა.

1920. დამოუკიდებელ საქართველოში მცხოვრები პოეტები მანდელშტამსა და მისნაირებს იმით გაუმასპინძლდნენ, რითაც კი შეეძლოთ. უკან გამგზავრებული მანდელშტამი ბოლშევიკურ პრესაში წერილს აქვეყნებს, რომელშიც „დამოუკიდებელი“ (ბრჭყალები მანდელშტამისაა) საქართველოს პოლიტიკურ სტრატეგიასაც განაქიქებს

და კულტურულსაც, მის ფიზიკურად გადამრჩენ „ცისფერყანწელებს“ კი ფრანგული სიმბოლიზმის უნიჭო ეპიგონებად აცხადებს. ამ წერილის დიდმპყრობლური და პრობოლშევიკური პათოსი პროლოგმა გაანელა: რუსულ პოეზიაში არსებობს ქართული ტრადიციაო; როცა საქართველოს ეხებიან, გასული საუკუნის რუსი პოეტების ხმა განსაკუთრებულ ქალურ სირბილეს იძენს და თვით ლექსიც თითქოს რბილ, ტენიან ატმოსფეროში იძირებაო; ეგებ მთელ ქართულ პოეზიაშიც კი არ იყოს ისე ქ ა რ თ უ ლ ა დ მთვრალი და ისეთი ქ ა რ თ უ ლ ი სურნელით გაჯერებული ორი სტროფი, როგორებიც ლერმონტოვმა წარმოთქვაო; რუსულ პოეზიაში არსებობს ქართული მითი, რომელიც ჯერ პუშკინმა გამოთქვა, მერე კი ლერმონტოვმა მთელ მითოლოგიად აქცია. ამ მითის შუაგულში თამარი დგასო; საქართველომ აცდუნა რუსი პოეტები ერთგვარი ეროტიკით, ეროვნული ხასიათისათვის ნიშანდობლივი ტრფობით, მსუბუქი სიმთვრალის უბიწო სულით, ერთგვარი მელანქოლიური და საზეიმო თრობით, რომელშიც დავანებულია ამ ხალხის სულიცა და ისტორიაც. ქართული ეროსი – აი, რა იზიდავდა რუს პოეტებსო; რუსულ კულტურას საქართველოსთვის არასოდეს მოუხვევია თავს საკუთარი ფასეულობანი. ამ ქვეყნის რუსიფიკაცია არასოდეს გასცდენია ადმინისტრაციული მართვის ფორმებს. საქართველოს კულტურულ რუსიფიკაციაზე ლაპარაკიც კი ზედმეტიაო; ამიტომ საქართველოს ეროვნული და პოლიტიკური თვითგამორკვევა, რომელიც მკვეთრად იმიჯნება ორ პერიოდად – გასაბჭოებამდე და მას მერე – უნდა იქცეს საკუთარი თავის წინაშე ქართველთა ერთგულების გამოცდად. კულტურული რუსეთი, მთელი საუკუნე სიყვარულით რომ ადევნებდა თვალს საქართველოს, დღეს შეშფოთებით უმზერს ქვეყანას, რომელიც მზადაა, თავის კულტურულ მოწოდებას უღალატოსო...

ამ წერილით გამოთქმული ლამის ყოველი მეორე დებულება გამაოგნებლად მცდარი, უსინდისოდ ყალბი და პოეტურად უპასუხისმგებლოა. მაგრამ, თუ გავითვალისწინებთ, რომ კოლონიზატორი, როგორც წესი, არა ცოცხალ ხალხსა და ქვეყანაზე, არამედ მის მიერვე შექმნილ სტერეოტიპებზე წერს და საბუთადაც თავისსავე წყაროებს იყენებს, გული ნაკლებად გაგვისკდება. სტერეოტიპს კი სტერეოტიპობა უუარია - აი, მთელი ამ წერილის ანატომია.

ავტორი იმპერიის ხელით, იმპერიის სახელითა და იმპერიისთვის წერს, და ეს პუბლიკაც ორად იყოფა: პოლიტიკურ ლიდერებად და ინტელექტუალებად. წერილით პირველს ეუბნებიან, შეშფოთება არ კმარა, საქმეზე გადადიო, ინტელექტუალებს კი - ყველა საყველპუროდ და არასწორად გახსენებული ციტატა სინამდვილეში ნაღმია და ლიტერატურასაც სწორედ ეს ევალებაო.

ცხადია, ყოველივე ეს ინსინუაციაა, მაგრამ პოსტკოლონიური თეორიის (ე. საიდი და სხვ.) ანაბანაც ესაა.

ახლა - ნაღმებზე, რომელთა აფეთქებაც რამდენადაც შემოქმედის ოსტატობაზე მიუთითებს, იმდენადვე - მკითხველის გამჭრიახობაზეც:

არავითარი ქართული შემოქმედებითი ტრადიცია რუსულ პოეზიაში – არც მეცხრამეტისა და არც მეოცე საუკუნისა – არ დამკვიდრებულა. პუშკინის ლექსი კი, რომელსაც უზუსტოდ ციტირებს მანდელშტამი, საქართველოს კი არა, რუსეთში დარჩენილ სატრფოს (სავარაუდოდ, ნატალია გონჩაროვას) ეხება, მანდელშტამისეულ-პუშკინური „საქართველო“ მხოლოდ ანტურაჟია: გორაკები, რომელთაც ღამის წყვდიადი დასწოლია და მქშინავი არაგვი. აი, თურმე რა ანიჭებს რუსი პოეტების ხმას განსაკუთრებულ ქალურ სირბილეს და რა ძირავს ლექსს რბილ, ტენიან ატმოსფეროში!

ქ ა რ თ უ ლ ა დ მთვრალ და ქ ა რ თ უ ლ ი სურნელით გაჯერებულ ლერმონტოვისეულ ორ სტრიქონსაც უსრულად ციტირებს მანდელშტამი. პოემაში „სჯა-ბაასი“ ერთმანეთს მთები – ყაზბეგი და იალბუზი ეკამათებიან. იალბუზი აფრთხილებს ყაზბეგს, რაკი ადამიანებს დამორჩილდი, მალე შენს შეუვალ სხეულს გამოშიგნავენ, შენი წიაღიდან ბრინჯაოს და ოქროს ამოსრუტავენ, მოკლედ, აღმოსავლეთს უფრთხილდიო. აღმოსავლეთი ვერას დამაკლებს: ბახუსშეპარულ ქართველს ღვინო შარვალზე ეღვრება, ფერად ტახტზე თრიაქით გაბრუებული თეირანი თვლემს, იერუსალიმის

ფერხთით ღვთის მიერ გადამწვარ ქვეყანას ენა ჩავარდნია, მკვდარია, ყვითელი ნილოსი სამეფო აკლდამებსღა რეცხავს, ცაში ვარსკვლავებსგამოკიდებული ბედუინი კი სიმღერით გარდასულ საქმეთა საგმიროთ იხსენებსო. მოკლედ, ჩაჩანაკ აღმოსავლეთს ჩემი დამორჩილება არ უწერიაო, გულზვიადობს ყაზბეგი. თავს წინასწარ ნუ იქებ, ჩრდილოეთით გაიხედეო, უთითებს „ყოვლისმცოდნე“ იალბუზი. ჩრდილოეთიდან რუსის ჯარი მოდის. შავნაღვლიანი ყაზბეგი მომხდურთა დათვლას თავს რომ ვეღარ გაართმევს, ღრუბლებს ქუდად ჩამოიფხატავს და საუკუნოდ დადუმდება. მაშ, საქართველოს იმპერიული სტერეოტიპი შექეიფიანებული ქართველია, რომელსაც ნუნუა - თავისი ღირსება - აღმოსავლურ შარვალზე ეღვრება. დაე, ეძინოს მას, ვიდრე რუსული ჯარი გამოაფხიზლებდეს!

მანდელშტამისეულ ქართულ ეროსზე მახსენდება სქემა, რომლითაც აგებს თავის ლექსს მეცხრამეტე საუკუნის რუსი პოეტი-დეკაბრისტი, 1837 წელს „თბილ ციმბირში“ (კავკასიაში) რიგითად გამწესებული, ლერმონტოვთან დაახლოებული ალექსანდრ ოდოევსკი (1802-1839): „საქართველოს დაქორწინება რუსულ სამეფოზე“. საქართველო შავთვალწარბა ქალწულია, ცისკრისა და ცეცხლის ვნებიან-ნებიერი ასული. ბევრს სჭერია მასზე თვალი, მაგრამ ყველასთვის ქერათმიანი, რკინისხელა, სამყაროს ღერძის განმგებელი გოლიათი უმჯობინებია. ყაზბეგთან ახლოს, დარიალის ხეობაში, თერგის ქაფდათრთვილული ქალწული ჩაჰკვრია სატრფოს ფართო მკერდს: „გარდასული დროის დარდს დაეხსენი, რუსეთის მარადი სიყვარულით აენთე, მას შეენივთე, საბრძოლო ფოლადს – მეწამული განთიადივითო,“ – ამბობს პოეტი, მეტაფორებს ემშვიდობება და, როგორც იტყვიან, ყველაფერს თავის სახელს არქმევს.

როგორც ვხედავთ, ჯერ კიდევ მე-19 საუკუნიდან თუ რამ ქართულ ტრადიციას უარსებია რუსულ პოეზიაში, ეს პოეტურ-პოლიტიკური სექსუალობით დაყურსული რუსულ-ქართული ფლირტისა თუ ქორწინების ტრადიციაა, როცა ქალი – სატრფო, ცოლი თუ საყვარელი – საქართველოა.

მანდელშტამის მიერ ლერმონტოვის ქართული მითოლოგიის შუაგულში თამარის დასახვა სინამდვილეში იმ თამარის თავლაფდასხმაა, რომელიც ქართველს ეროვნულ სიწმინდედ მიაჩნია. ლერმონტოვს აქ რამდენიმე ლეგენდა უამბეს რომელიღაც ვნებითა და სისასტიკით გამორჩეულ მზეთუნახავ დედაკაცზე: თითქოს დარიალს გაბატონებულიყო. ყველა გამვლელს უზარმაზარ გადასახადს ახდევინებდა; მამრს, რომელიც მოეწონებოდა, აყოვნებდა, რათა მასთან სარეცელი გაეზიარებინა; იმ საყვარლებს კი, რომლებითაც უკმაყოფილო დარჩებოდა, ახოცინებდა და თერგში აყრევინებდა. ქართულ ფოლკლორს მართლაც შემოენახა ასეთი თქმულების ვარიაციები. ქალს ხან უსახელოდ მოიხსენიებდნენ, ხან - „დარიად“, ხანაც - „თამარად“. ლერმონტოვმა „თამარი“ ირჩია (ასე ჰქვია როგორც მისი პოემა „დემონის“, ისე - ბალადის („თამარი“) გმირს). მანდელშტამმაც ლერმონტოვისეული ქართული მითოლოგიის ცენტრში ასეთი თამარი დაასახლა!

1921. ზემოთ მითითებული წერილის ავტორი მანდელშტამი საქართველოში მაინც ჩამოვიდა, ამჯერად - ახლად შერთულ ცოლთან ერთად. ტიციან ტაბიძე პაოლო იაშვილს „აბრალებს“, გული მოულბო მისმა ცრემლებმა, ცოლის გვერდით ყოფნამაც იმოქმედა, ამიტომ ვაპატიეთო. ისევ უმასპინძლეს. ისევ დააბინავეს. და თან, ასე ვთქვათ, მერკანტილური, „ლეგალური“ და ღირსეული საარსებო საშუალება გამოუძებნეს: ჰონორარის სანაცვლოდ, ვაჟას რომელიმე ნაწარმოებისა და „ცისფერყანწელთა“ ლექსების თარგმნა შეუკვეთეს. მაგრამ... მანდელშტამი მალევე გადაიქცა ძველ მანდელშტამად: იმ უმადურ და ქედმაღალ არსებად, რომელსაც ყველა მადლი იმიტომაც ეკუთვნის, რომ ის არის და არა - სხვა. მანდელშტამი ჩადენილის მონანიებას არ აპირებდა (მას საერთოდ ეუცხოებოდა ეს განცდა), „ცისფერყანწელები“ - პოეტურ მეტრად მის აღიარებას. ვაპატიეთო... თქვენი საპატიებელი რა მჭირდაო... დაიწყო უმასპინძლო და, შესაბამისად, მძიმე და მშიერი ცხოვრება: ეს განსაკუთრებით საქართველოში იგრძნობა. მანაც იგრძნო. რუსეთში დასაბრუნებლად წყვილს ფული უნდა შეეგროვებინა და, როგორც კი მოახერხეს, გაემგზავრნენ კიდეც.

რუსულ პრესაში მანდელშტამის ახალი წერილი გამოჩნდა: ამჯერადაც მენშევიკებურ საქართველოს იგონებდა: ირონიით, ქედმაღლურად, კონიუნქტურის საამებლად. „...პატარა „დამოუკიდებელ“ სახელმწიფოს, სხვათა სისხლის ხარჯზე რომ ამოზრდილა, უსისხლოდ ყოფნა სურდა. მრისხანე ძალთა მიერ შევიწროებულს, ეიმედებოდა, გაუთხვრელად და მშვიდობიანად შევიდოდა ისტორიაში, თითქოს ახალი შვეიცარია ყოფილიყოს – ნეიტრალური და დაბადებიდანვე „უმანკო“ მიწის ნაგლეჯი“.

ისეთი შთაბეჭდილება გექმნება, მანდელშტამი ცდილობდეს, რომელიღაც კოლექტიურ ბუხარინს დაუმტკიცოს, რომ საქართველო ანტისაბჭოთა წარმონაქმნია, თითქოს არც რევოლუცია მომხდარიყოს, არც პირველი მსოფლიო ომი, ანუ მათ შედეგებს აქ არავინ ითვალისწინებსო.

ყოფითი მანდელშტამიზმი: ხელისთვის ტიციან ტაბიძის ქურქი თუ საზამთრო პალტო გაუყოლებია (ესეც პაოლო იაშვილის გულჩვილობას „ჰბრალდება!“), თბილისში თბილი პალტო, აბა, რა საჭიროაო!

1923. ტიციან ტაბიძე მანდელშტამის მეორე წერილს გამოეხმაურა - შინ, სალიტერატურო ანალებში, ოღონდ - მრისხანედ და პოლიტიკური დაუნდობლობით, ექსპლიციტურად - მისი სამშობლოს გაბიაბრუებისთვის, იმპლიციტურად - ყველა ავი სიტყვისთვის. გამოთქმა - „ურიის ჭონტოლი“, რაც, ალბათ, „გველისწიწილად“ ესმოდათ, „ანტისემიტიზმისაგან“ განძარცვა და იმას დაუწყვილა, ვინც თავის გასატანად ხშირად იცვლის საცხოვრებელ თუ სამუშაო ადგილს. „გასტრალიორი ჭონტოლი“ - ამგვარად სახელდებული - მამხილებელი და უშვერი - წერილი დაიბეჭდა გაზეთ „რუბიკონში“, ოღონდ... ქართველებმა მალევე დაივიწყეს, ხოლო მანდელშტამს 30-იან წლებამდე მასზე არც არაფერი სმენოდა. განაპირებული, ბოლოს კი, გადასახლებული და სულამომხდარი მანდელშტამის დაწიხვლა ალბათ ქართველმა კალმოსნებმა აღარ ინდომეს: არც მენშევიკური საქართველოს დაცვა იქნებოდა უსაფრთხო საქმე! მოკლედ, დაივიწყეს. მაგრამ დაივიწყეს თვით წერილიც - ის იყო, მაგრამ არავის ენახა, თუ - პირიქით. ოდესღაც სამმა (ერთმა - ქართველმა, ორმა - რუსმა) მკვლევარმა ევფემისტური სიმორცხვით გაიხსენა ეს ინციდენტი, ოღონდ ერჩიათ, კლიშე არ დამსხვრეულიყო - ქართველ და რუს კულტუროსნებს კვლავაც ემეგობრათ - აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე... ვთქვათ, 1930 წლამდე მაინც, როცა მანდელშტამები მესამედ ეწვივნენ საქართველოს, თუმცა პოეტის გამოჩენა იქ მის კოლეგათაგან არავის გახარებია. მანდელშტამსაც უკვე გადაეწყვიტა ახალი მითის შექმნა - ამ მითად „მოგზაურობა სომხეთში“ იქცა.

1933 წლის ნოემბერში მანდელშტამი წერს საბედისწერო უსათაუროს, რომელსაც ჯერ - „ეპიგრამა“, მერე კი „ანტისტალინური ეპიგრამა“ შეარქვეს. ამაზე საბედისწერო ის იყო, რომ პოეტი ლექსს თვითონ უკითხავდა ნაცნობ-მეგობრებს და თან აფრთხილებდა, არსად წამოგცდეთო. პასტერნაკი ეპიგრამის დაწერას თვითმკვლელობას ადარებდა: თქვენ არაფერი წაგიკითხავთ, მე არაფერი მომისმენია და, გთხოვთ, სხვას ნურავის წაუკითხავთო, - გაუწბილებია შეფასების მომლოდინე მანდელშტამი. ნადეჟდა მანდელშტამი მოისურვებდა, ეპიგრამის მისეული შეფასება დამკვიდრებულიყო: ეს ლექსი იყო აქტი, გმირული საქციელი, რომელიც ლოგიკურად გამომდინარეობდა მანდელშტამის ცხოვრებიდან და საქმიანობიდანო.

ვიღაცამ, ეს ლექსი რომ მოესმინა, მანდელშტამი დაასმინა. 1934 წლის მაისში პოეტი დააპატიმრეს, ანტისაბჭოთა აგიტაციისათვის სამი წლით ჯერ ურალში გადასახლება მიუსაჯეს, შემდეგ კი ვორონეჟში „გამოკეტვა“ აკმარეს. 1938 წლის მაისში მანდელშტამი ისევ დააკავეს, ისევ ანტისაბჭოთა აგიტაცია დასწამეს და ამჯერად 5 წლით შორეულ აღმოსავლეთში, შრომაგასწორებით ბანაკში უკრეს თავი. 27 დეკემბერს დევნილი პოეტი ტიფით გარდაიცვალა.

ჯერ კიდევ 1930 წელს თავისი ლიტერატურული მტრების მორიგად დაგმობისას, როცა მათ შვილების გაჩენაც კი აუკრძალა, მიანიშნა, ჯერ კიდევ სამი თაობით ადრე მიჰყიდეს თავი ჩოფურ ეშმაკსო (კომენტატორთა უმრავლესობამ ეს ნაყვავილარსახიანი

სტალინის ალუზიად მიიჩნია). ამ ტექსტის („მეოთხე პროზა“) დაბეჭდვაზე მანდელ-შტამს, ცხადია, არც უფიქრია. პირიქით: საგულდაგულოდ ჩქმალავდა მას.

გამოხდა ოთხი წელი. მანდელშტამი შეესწრო კოლექტივიზაციის შედეგად მოსრული უკრაინის აგონიას. ძნელი სათქმელია, რა შემოქმედებითი დელირიუმი დაეუფლა, მაგრამ რაც იშვა, იშვა.

ჩვენ ვცხოვრობთ, ოღონდ ფეხქვეშ მიწას ვერა ვგრძნობთ, ვერა,
ათ ნაბიჯზეც კი ჩვენეული არ ისმის ბგერა.
თითო-ოროლა სიტყვა თუ თქვეს - სანაცვლოდ ცრემლის -
სუყველამ უნდა გაიხსენოს მთიელი კრემლის.
მისი თითები - მატლებივით განათქვირები,
მისი სიტყვები - ზუსტი, როგორც მძიმე გირები.
ტარაკანისებრ ულვაშებში ჩაქირქილება
ჩექმებსაც ისე გაუბრწყინებს, როგორც ინება.

გარშემორტყმული წვრილკისერა სპით და მხედრობით,
ნახევარკაცთა ტკბება ყმური მაამებლობით:
ვინ - სტვენს და კნავის, ზლუქუნსაც კი გაბედავს ზოგი.
მხოლოდ ის გვრგვინავს და და მის მოლტებს ზურგს უშვერს ჯოგი.
რკინის ნალივით იჭედება მისი ბრძანება:
ზოგს შუბლს შეუნგრევს, ზოგს თვალ-წარბი დაეგმანება.
ნაყაჩაღრისთვის სწორედ კვლაა ტკბილი ცხოვრება,
ოსის ფართო მკერდს მუდმივად რომ ემახსოვრება.

ამ თვითმკვლელისამებრ გაბედულ ინვექტივას თავისი აქილევსის ქუსლი აქვს - ბოლოკიდური სტრიქონი, რომელმაც ჯერ კიდევ ლექსის პირველ მსმენელთა საყვედური დაიმსახურა. „როგორ შეეძლო ამ ლექსის დაწერა - ის ხომ ებრაელია!“, - აღშფოთებულიყო პასტერნაკი. თანამედროვე რუსი მწერლის, ლეონიდ ზორინის რომან „იუპიტერის“ გმირი, მსახიობი, ისე შთაეგონებინა სტალინის როლის შესრულებას, მისი სახელით დღიურიც კი შეეთხზა, რომელიც ცნობიერების ასეთ ნაკადს შეიცავს: „საიდან გაჩნდა ეს ბოლო სტრიქონი? „ოსის ფართო მკერდი“. რა აბდაუბდაა. რითმა ვერ იპოვა? თავდაპირველად სიკვდილით დასჯაზე ლაპარაკობს - ასე ვთქვათ, მაღალ ნოტს სწვდება. და უცებ - მკერავივით, ზომას რომ იღებს, ფართო მკერდს ახსენებს. სიკვდილით დასჯა - და უცებ, ტკბილი ცხოვრება და მკერდი. მით უფრო - ოსის მკერდი. რაღაც გაუგებრობაა. მონაჩმახი. ჩემს ოსურ წარმოშობაზე პირველად როდი მესმის. უფრო მოწადინებულები იმასაც ამბობდნენ, ბუშიაო. სიყმაწვილეში ეს მაცოფებდა, ეშმაკმა იცის, რის ჩადენა შემეძლო. დროთა განმავლობაში კანი გამიქვავდა. ეს ჭორები აღარ მოქმედებს. მაგრამ მათი ლექსებში გამეორება, გარითმვა პოეტს არ ეკადრება“.

თანამედროვე რუსმა და ამერიკელმა ფილოლოგებმაც (ლადა პანოვა და ალექსანდრ ჟოლკოვსკი) მიაპყრეს ყურადღება უკანასკნელი სტრიქონის იდეოლოგიურ „მცდარობას“ თუ „არაპოლიტიკორექტულობას“:

„ეს რასისტულ გამოხდომას ჰგავს. არსი, დაახლოებით, ასეთია: ჩვენი კრემლი და ჩვენი რუსული ენა დაუპყრიათ და შეურყვნიათ ბარბაროსებს, თათრებს, რომელიღაც „ჩუჩმეკებს“... სხვათა შორის, არარუსთა აღმნიშვნელ ამ ზედწოდებას იყენებს ბროდსკი თავის პიესაში „დემოკრატია“: დიდი იმპერია ინგრევა და სახეს იცვლის. მის საგარეო საქმეთა მინისტრად სტერეოტიპული ქართველი დაუნიშნავთ: ჩუჩმეკაშვილი!

ზოგი ინტერპრეტატორი „ოსის ფართო მკერდს“ სტრიქონს ზედმეტად, ყალბად, არაეფექტურად მიიჩნევდა, ერთი სიტყვით (სიტყვასიტყვით - ერთით) რომ აგონჯებს ძლევამოსილ „სიმღერას“. ზოგის თქმით, ეს სიტყვა „თითქოს ჰაერში ჰკიდია“ და „აღიქმება ანკეტურ-ბიოგრაფიულ ცნობად, „კრემლის მთიელის“ არააუცილებელ კონკრეტიზებად: „ან სიტყვა „ოსი“ რატომაა ასეთი საშინელება?“

ამბობდნენ, მანდელშტამი ამ სტრიქონზე უარის თქმას აპირებდაო... ვერ მოასწრო თუ არ მოინდომა?

სხვები „ოსურ მკერდს“ ამჯობინებენ ნაკლებლიტერატურულ, მაგრამ - უფრო ექსპრესიულ „ქართულ“ ვარიანტს. იგულისხმება ლიტერატურის საბჭოთა და ამერიკელი ისტორიკოსის, სოფია ბერნშტეინ-ბოგატირიოვას, მონათხრობი. ერთადერთი ტექსტი, რომელსაც ნადეჟდა მანდელშტამი ქმრის ე.წ. არქივის, ანუ სხვადასხვა მიმოფანტული ლექსის, გადაწერისას ან გადაბეჭდვისას ქაღალდს არ ანდობდა, „ეპიგრამა“ იყოო, წერს ავტორი. თუმცა მისი დამახსოვრების უფლება სოფიასთვის მიუცია, და არა მხოლოდ იმ ვერსიისა, რომელიც დღესაა ცნობილი, არამედ - ვარიანტებისაც... მეც გულში ყოველთვის ვიმეორებდი ამ ლექსს, ოღონდ იმ ვარიანტს, რომელიც სკაბრეზულ სიტყვას არ შეიცავდაო.

რა იგულისხმება? ის, რომ სოფიას მამა - მწერალი და ლიტერატორი, იგნატი ბერნშტეინი ჩაილაპარაკებდა ხოლმე:

«Что ни казнь у него – то малина
И широкая жопа грузина».

„ქუჩურ სიტყვას“, აჟღერებულს სოფიას მკაცრი წესებით გამორჩეულ სახლში, მამამისის მიერ ამოთქმულს, თანაც - ბავშვის თანდასწრებით, ისეთი უჩვეულო სიტუაცია შეუქმნია, რომ გოგონას უმალ დამახსოვრებია. მამამისს მხრებიც კი აუჩეჩია: „ქართველები სწორედაც რომ ვიწროთეძოიანები არიან“.

როგორც ვხედავთ, ამ ვერსიაში „ოსის ფართო მკერდის“ ნაცვლად ,,ქართველის ფართო უკანალი“ იხსენიება!

არაერთ მანდელშტამმცოდნეს უცდია ლექსის „ოსური“ მოტივის ახსნა: თანამედროვე რუსი მკვლევარი, იური ბორევი (ხალხთა ბელადზე ჭორებისა და ანეკდოტების შემგროვებელი), წერს: „მანდელშტამის ლექსის სტრიქონი „ოსის ფართო მკერდი“ იმაზე მიუთითებს, რომ 30-იან წლებში სტალინის ეროვნებაზე არაოფიციალური და არაერთგვაროვანი ცნობები არსებობდა. ერთნი ამბობდნენ, რომ ჯუღაშვილი ოსური გვარი იყო; მეორენი ეგნატაშვილს ახსენებდნენ. მესამეთა აზრით, ნახევრად ოსი იყო სტალინის დედა“.

ამერიკელი ლინგვისტი, ბორის უნბეგაუნი მიუთითებდა, რომ გვარი „ჯუღაშვილი“ წარმოდგება ოსური სიტყვიდან - „ჯუხა“, რაც „ნაგვად“, „ნარჩენად“ ითარგმნება. დავუმატებ, რომ სიტყვა „ჯუღი“ (და არა - „ჯუღა!“) განუმარტავია სულხან-საბას ლექსიკონში: ლექსიკოგრაფი მხოლოდ ისუ ზირაქის ბიბლიური წიგნის ძველი ქართული თარგმანის პასაჟს უთითებს; გრიგოლ რობაქიძის რომან „ჩაკლული სულის“ პერსონაჟიც ამბობს, „ჯუღა“ ძველი ქართული სიტყვა უნდა იყოს, რკინის წიდას ნიშნავს, რასაც სხვა ხალხები შლაკებს უწოდებენო. თანამედროვე რუსი მკვლევარი, ალექსანდრ მეცი ამ ლექსის შენიშვნებში მიუთითებს, გვარი „ჯუღაშვილი“ სიტყვასიტყვით „ოსის შვილად“ ითარგმნებაო(!). რუსი პოეტები ვლადიმირ მიკუშევიჩი და ანდრეი ვოზნესენსკი სიტყვაში „ოსი“ (осетин) ჭვრეტენ მანდელშტამის ფარულ ხელმოწერას („ოსიპ“), და სხვ.

მაგრამ რად დასჭირდა მანდელშტამს ამ მგზნებარე ინვექტივისათვის ოსური მოტივი? ამის ახსნას ლამობს პრინსტონის უნივერსიტეტის პროფესორი, სლავისტი ილია ვინიცკი. მისი აზრით, მე-19-20 საუკუნეთა რუსულ ეთნოგრაფიულ იკონოგრაფიაში ოსს მართლაც ფართომკერდიანად გამოსახავდნენ. ვინიცკის მოჰყავს ფრაგმენტი ჯერ კიდევ 1890 წელს დაცული დისერტაციიდან: „ოსები უკვე მთელი საუკუნეა მიეკუთვნებიან მთიელებს ანუ იმ პირობებში ცხოვრობენ, რომლებიც განსაკუთრებით განაწყობს გულმკერდს მძლავრი სასუნთქი ექსკურსიებისადმი; ამის შედეგად, მკერდის პერიმეტრი თანდათანობით იზრდება“.

თუმცა, ცნობილია, რომ სტალინი არც ზორბა ყოფილა და არც ათლეტური გარეგნობით გამოირჩეოდა. მკვლევრის აზრით, მანდელშტამის „ოსურ თემაზე“ გაჩენილ ასოციაციებს საერთო თავწყარო ასაზრდოებს: მიხეილ ჯავახიშვილის 1924-25 წლებში გამოქვეყნებული რომანი „ჯაყოს ხიზნები“. მკვლევარი მიუთითებს, რომ 1924 წელს ხელისუფლებამ ჩაახშო ანტისაბჭოთა აჯანყება. დავუმატებ, რომ 1929 წელს რომანი რუსულად დაიბეჭდა ჯერ თბილისში, შემდეგ - მოსკოვში. ტექსტი

მართლაც შეიცავს იმ მარკერებს, რომელთა ექოც შეიძლება მოგვესმას მანდელშტამის ეპიგრამაში: მოძალადე და მედროვე ჯაყო ჯივაშვილი და მისი ნათესავები მთიდან ჩამოსულან - მთიელები არიან; ჯაყოს „პირსახე და ხელებიც მუდმივ ზეთით გაჰპოხვია“, „თავით ფეხამდე ქონშია ამოვლებული“, „ტაბიკის თითები“, „ქონიანი თათი“, „ოფლიანი თითი“, „ადლიანი მკერდი“, „ბალიშივით ამოგდებული“ თუ „ბალიშისოდენა მკერდი“ აქვს, და ა.შ.

ვინიცკი იხსენებს „ჩაკლული სულის“ ერთ პასაჟს, როგორც გრიგოლ რობაქიძის „ოსურ თეორიას“ სტალინის „ბიოლოგიური საიდუმლოს“ ასახსნელად. აი, რას გულისხმობს ის:

„ლენინმა განსაკუთრებული სახელი უწოდა სტალინს - „ლეგენდარული ქართველი“. ლეგენდარული ჭარბად იყო სტალინში, ოღონდ ქართული - მეჩხრად. საქართველოში სტალინის ხასიათის თავისებურებას მისი წარმომავლობით ხსნიდნენ: მამამისი ოსი იყო. აქ, შესაძლოა, სხვა ფენომენთან გვქონდეს საქმე. ყოველი ხალხი თავის წიაღში უცხოსაც შობს, თვით მისსავე წინააღმდეგ მიმართულსაც კი. ეს ბიოლოგიური საიდუმლოება უნდა იყოს. იქნებ აუცილებელია, უცხოს შობის უნარი გქონდეს, რათა სხვა ჯიშისას სძლიო. სტალინი მხოლოდ იმდენად იყო ქართველი, რამდენადაც საპირისპირო პოლუსი იყო ქართველობისა.“

სამართალდამცავმა და მწერალმა ფაინა ბააზოვამ 1978 წელს ისრაელში გამოაქვეყნა მემუარი „ტანკები ბავშვების პირისპირ“, რომელშიც 1920-30-იანი წლების ქართული საზოგადოებრივი აზრიც მიმოიხილა: 1924 წლის „აჯანყების ჩახშობის შემდეგ კარგა ხანს ხალხიც და ინტელიგენციაც სახელ „სოსო ჯუღაშვილს“ ზიზღით წარმოთქვამდა. ალბათ ამან განაპირობა მწერალ მიხეილ ჯავახიშვილის რომანის ერთ-ერთი გმირის, ოსი ჯაყოს - უხეში, ცბიერი და გაუნათლებელი ავანტიურისტისა და მოძალადის - პოპულარობა, რომელსაც ბევრი სტალინს ამსგავსებდა“.

სტალინი მხოლოდ იმდენად იყო ქართველი, რამდენადაც საპირისპირო პოლუსი იყო ქართველობისა.

გავიხსენოთ, რას ამბობდა მიხეილ ჯავახიშვილი ჯაყოს სახის ერთ-ერთ ინსპირაციაზე:

„30 წლის წინათ ჯავის ხეობაში უცნაური ვინმე შემხვდა - ბრგე, ბანჯგვლიანი, ცბიერი, ხარბი, ამავე დროს - მარდი და მოხერხებული. მისი სახელი აღარ მახსოვს. 10 წლის შემდეგ ინჟ. ფიდო ყაზბეგმა ქართულ კლუბში ასეთი ანეკდოტი გვიამბო:

„ნაყმევმა თავის კნეინას ძღვენი მიართვა.

- გამარჯობა, ჯაყო!

- კნეინას გახლავარ.

- რასა იქმ, როგორა ხარ?

- ძალიან კარგად ბრძანდები, შენი წირი მე.

- ცოლ-შვილი როგორა გყავს?

- სულ კარგათა ხართ, გენაცვალე.

- რამდენი შვილი გყავს, ჯაყო?

- თორმეტი გყავს, გენაცვალე მაგ თვალებშია.

- როგორ მოახერხე მაგდენი, ჯაყო?

- მაშ, მაშა! აგრე ვიცის ჯაყომა! - მიუგო ნაყმევმა“.

უკანასკნელ სამ სიტყვაში ამაზე უფრო მწვავე პილპილი ეყარა. ანეკდოტი ჩემს ხსოვნაში ხუთიოდე წუთის მეტს ვერა სძლებს, მაგრამ ამ უწმაწურ ანეკდოტს ჯაველი ოსი ჩაეხლართა და ამ სახემ ჩემი ხსოვნის ერთ-ერთ კუნჭულში დაიბუდა. კიდევ გავიდა ათიოდე წელიწადი და იგი მოულოდნელად გაცოცხლდა, გაშიშვლდა და თვალწინ წამომეჭრა. აი, ზოგჯერ რა უცნაურად იბადება ტიპი“.

იმასაც ამბობდნენ, თითქოს ე.წ. ,,ოსური მითი“ ტროცკის გაევრცელებინოს. უნდა აღინიშნოს, რომ მისი წიგნი სტალინზე 1938-40 წლებში იქმნებოდა, ანუ ეპიგრამის დაწერიდან საკმაოდ გვიან. 1935 წელს გამოიცა ბორის სუვარინის, ებრაული წარმოშობის ფრანგი მწერლისა და პოლიტიკური მოღვაწის, ანტისტალინელი

კომუნისტის, კაპიტალური ნაშრომი - „სტალინი. ბოლშევიზმის ისტორიის ნარკვევი“, თუმცა ავტორს წიგნზე მუშაობა 1930 წელს დაუწყია. ეპიგრამის დაწერამდე ერთი წლით ადრე, 1932 წელს, ბერლინს გადახვეწილ ქართველ მენშევიკს, იოსებ ირემაშვილს, გორის სასულიერო სასწავლებელშიც და თბილისის სასულიერო სემინარიაშიც სტალინის თანამოსაგრეს, გერმანულ ენაზე გამოუქვეყნებია წიგნი „სტალინი და საქართველოს ტრაგედია“. თუმცა ყოველივე ამას ისევ ტროცკის წიგნით ვიგებთ: პარიზში მცხოვრები ქართველი ემიგრანტები სტალინის ფრანგული ბიოგრაფიის ავტორს, სუვარინს, არწმუნებდნენ, იოსებ ჯუღაშვილის დედა ქართველი კი არა, ოსი იყო და მის ძარღვებში მჩქეფარე სისხლს მონგოლურიც შესზავებოდაო. ამის საპირისპიროდ, - დასძენდა ტროცკი, - ვინმე ირემაშვილი ამტკიცებს, დედამისი წმინდა სისხლის ქართველი იყო, მამა კი - ოსი, უხეში, გაუთლელი ნატურა, როგორც - ყველა ოსი, კავკასიის მაღალ მთებში რომ ცხოვრობდნენო.

ეს ირემაშვილისეული პასაჟის ქართული თარგმანია: „ბესო - ბესარიონი... ეროვნებით ოსი იყო. თავზე რუსული ქუდი ეხურა და, კავკასიაში მცხოვრები ყველა ოსივით, მძიმე, მოუქნელი ბუნებისა გახლდათ“.

ტროცკი სტალინის ოსური წარმომავლობით ხსნიდა თავისი მთავარი მტრის ხასიათს: „ოსებს შურისძიებისა და სამაგიეროს გადახდის გრძნობა გამოარჩევს. ისინი ჯერ კიდევ მისდევენ (სტალინის ყმაწვილობაშიც!) სისხლიანი შურისძიების ჩვეულებას, რომელიც თაობიდან თაობას გადაეცემა. სტალინმა ეს ჩვეულება მაღალი პოლიტიკის სფეროებში გადმოიტანა“.

მანამდე კი, თითქოს გრიგორი ზინოვიევს ეთქვას: ის სისხლიანი ოსია, რომელმაც არ იცის, რა არის სინდისიო.

1930-იანი წლების პირველ ნახევარში „ოსური მოტივი“ აღწევს საიდუმლო ანტისაბჭოთა პოეზიაში, რომელშიც უკვე მოეკიდებინა ფეხი სტალინის თემას. აი, ერთი მაგალითი:

«А кто ж ведет страну к провалу,
Кто налагает карантин,
Детей толкает в пасть к Ваалу?
Почтенный Сталин — осетин...»

კვლავაც უცნობია, რამ გადააწყვეტინა პოეტს ანტისტალინური ეპიგრამისა და, კერძოდ, ფინალური სტრიქონის დაწერა. ზოგადად, არარუსების მიმართ არც თუ დიდად კეთილგანწყობილ მანდელშტამს ეგებ სურდა, სტალინის ველურობასა და არაცივილიზებულობაზე მიეთითებინა. ამას უნდა ემსახურებოდეს ტექსტის საერთო პათოსიცა და მისი „შეკმაზვაც“ „მთიელითა“ და „ფართომკერდიანი ოსით“. ამის მეტ საშუალებას იძლეოდა ფორმად ეპიგრამის შერჩევაც ანუ ისეთი სატირული ნაკვესისა, რომელიც ვისამე ან რისამე განსაქიქებლად ითხზვება. მანდელშტამის ინტენცია ძნელი დასადგენია, მაგრამ ის კი აშკარა უნდა იყოს, რომ სტალინის სისასტიკე და ვერაგობა მეტწილად მის არარუსობას - კავკასიურ წარმოშობას, აღზრდასა თუ ჩვეულებებს ბრალდება (და აქ ნაკლები მნიშვნელობა ენიჭება იმას, ოსად ცხადდება სტალინი თუ ქართველად). ცხადია, როგორც პოეტს, მანდელშტამს ამის უფლება ჰქონდა, მაგრამ, როგორც ადამიანი, ის ჩვეულ მიკერძოებას ავლენს. უფრო ზოგადად, ეს შემთხვევა იმას ადასტურებს, რა რადიკალურად დასშორებია ერთმანეთს კულტურისა და პოლიტიკის გზებიც, ინსტრუმენტებიცა და მიზნებიც: როცა კულტურა ცდილობს, პოლიტიკა კათარზისს დაუქვემდებაროს, სახელმწიფო ტერორს იმარჯვებს. და ეს უნივერსალური კონსტანტაა: მანდელშტამი ისე მოიქცა, როგორც პოეტი უნდა მოქცეულიყო, და სახელმწიფოც ისე მოექცა მას, როგორც ექცევა ხოლმე პოეტებს - განდევნა ის.

თუმცა ვორონეჟში გამოკეტილმა და სიკვდილის სუნთქვის ყურთან გამგონე მანდელშტამმა 1937 წელს სტალინს ოდა აღუვლინა - იდუმალი, უჩვეულო, მისტიკური, მაგრამ - მაინც ოდა!

აბორცვილ თავებს გადაფარავს ქროლვა ტალღების
და მეც ვიმცრობი, ვერ ვჭვრეტ ცაზე იალკიალებს,
თუმც ტკბილ წიგნებსა და თამაშში ცელქი ბალღების
ისევ აღვდგები, რომ შევძახო, მზე ვით ბრდღვიალებს.
მართლის მთქმელისთვის უფრო მართლად თვალის ამხელი
ფოლადისებრი სიყვარულის ელავს ნესტარი.
მკითხველის ბაგეს ააბორგებს მისი სახელი –
გვესმოდა მისი, მას ვუცქერდით, მას შევესწარით.

არავინ იცის, სტალინმა წაიკითხა თუ არა ეს ტექსტი. ერთი წლის თავზე მანდელშტამი ვლადივოსტოკში გადაასახლეს... სამუდამოდ.

* * *

ჯონ მაქსუელ კუტზეემ სტატია მიუძღვნა მანდელშტამის „ოდას სტალინისადმი“, რომელშიც აღნიშნავდა: „ძალაუფლების საჭადრაკო პარტიას სტალინი მხოლოდ მანდელშტამს როდი ეთამაშებოდა. ის მარჯვედ ცდილობდა, დაესწრო ყველა იმ მჭევრმეტყველის ვერდიქტისათვის, რომელთაც ბოლო სიტყვა უნდა წარმოეთქვათ მასზეც და მის დროზეც, და მათთვის საუკეთესო სიტყვები ამოეცდენინებინა. შეიძლება ვიფიქროთ, რომ მანდელშტამს, თავისი „ოდით“, თამაშის ფრედ დასრულება განეზრახა. ეს უნდა ყოფილიყო არა თანაბარი ფრე (ეს ძალზე დიდ პროვოკაციას დაემსგავსებოდა!), არც მთლად თავგანწირვით ნათამაშები პარტია. ზოგჯერ სუსტი მოთამაშე ნახევარ ქულას იგებს – მარცხდება, მაგრამ სირცხვილს თავიდან იცილებს!“

მანდელშტამის სიცოცხლის ბოლო წლები სირცხვილის თავიდან აცილების უთქმელ სტრატეგიად იქცა და კიდევ - იმის ცხად ილუსტრაციადაც, იმპერიის სულიდან როგორ იბადება მარტვილის არქეტიპი - ირაციონალური სიჯიუტით, რელიგიური სიმტკიცითა და პოეტური სიშლეგით. ■



ანა ხურციძე

მედიაცია

სასამართლოს გაჯანსაღების ალტერნატიული გზა

ამას წინათ ერთი საბჭოთა ანეკდოტი მოვისმინე, რამაც ამ სტატიის დაწერისკენ მიბიძგა. სამი მოსამართლე ზის და ერთმანეთს ეტრაბახება, ვის უფრო გავლენიანი საქმე განუხილავს. ერთი ამბობს: „მე აღმასკომის მდივნის სამეზობლო დავა მქონია“. მეორე ამბობს: „მე სახალხო არტისტის განქორწინების საქმე განმიხილავს“. მესამემ დიდი ხანი უსმინა და ბოლოს ამ ორს უთხრა: „ეგ რა არის, მე საქმეში ორივე მხარისგან ფული ამიღია და ორივე კმაყოფილი დარჩენილა“.

ეს კი ანეკდოტია, მაგრამ სინამდვილეში რეალურად შესაძლებელია ორივე მოდავე მხარე კმაყოფილი დარჩეს შედეგით, შესაბამისად, მზად იყოს დავის პროცესის წარმართვისა და შედეგის კონტროლისთვის ფულიც კი გადაიხადოს. ამ გზას კი დავის ალტერნატიული გადაწყვეტის საშუალება - მედიაცია - სთავაზობს მოდავეებს.

ამ სტატიის მიზანია, მკითხველმა გაისიგრძეგანოს ის შესაძლებლობები, რომლებსაც მედიაცია სთავაზობს დავის მხარეებს, სხვანაირად დაინახოს მისი სარგებელი, დარწმუნდეს, რომ დავის გადაწყვეტის ეს საშუალება ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი ინსტრუმენტია საინვესტიციო გარემოს ხელშეწყობისთვის და ქმნის ნოყიერ ნიადაგს მართლმსაჯულების წარმატებული რეფორმირებისთვის, რაც, თავის მხრივ, ევროპის კავშირში ინტეგრაციის ერთ-ერთი მთავარი წინაპირობაა.

მედიაციის აკადემიური და პრაქტიკული განმარტებები რომ შევაჯეროთ, ის არის დავის მოგვარების მეთოდი, რომელშიც ნეიტრალური მესამე პირი (მედიატორი) ხელს უწყობს ორ ან მეტ მხარეს შორის მოლაპარაკებას, რომ აღმოიფხვრას დავა და მოდავეებმა მიაღწიონ ორმხრივად მისაღებ შეთანხმებას. ტრადიციული სასამართლო პროცესისგან განსხვავებით, მედიაცია საშუალებას აძლევს მოდავე მხარეებს, მეტი კონტროლი ჰქონდეთ დავის შედეგზე, რომელიც, თავის მხრივ, ნულოვანჯამოვან (გამარჯვებული-დამარცხებული) თამაშს გამორიცხავს. აქ ნაცვლად ერთი გამარჯვებულისა და ერთი დამარცხებულისა, ვიღებთ შეთანხმებით კმაყოფილ ორ მხარეს. ამასთან, მედიაცია უზრუნველყოფს უსაფრთხო და კონფიდენციალურ გარემოს, რომელშიც დავის მონაწილეებს შეუძლიათ, გამოხატონ წუხილები კონფლიქტის დეტალების გახმაურების შიშის გარეშე.

მედიაცია არის სასამართლო დავის უფრო სწრაფი და იაფი ალტერნატივა, რადგან ის თავიდან აცილებს მხარეებს დროში გახანგრძლივებულ პროცესს და მასთან დაკავშირებულ მაღალ ხარჯებს. ამ თვალსაზრისით კიდევ უფრო საინტერესო და ფართო მოქმედების არეალს ხსნის კომერციული მედიაცია, რომელიც საინვესტიციო კუთხით მიმზიდველ გარემოს აყალიბებს. კომერციული მედიაცია არის ნებაყოფლობითი და კონფიდენციალური პროცესი ბიზნესსა თუ ორგანიზაციებს

შორის სასამართლო სისტემის გარეთ დავების გადაწყვეტისთვის. ის მოლაპარაკებების განსაკუთრებული ფორმაა, რომელიც მორგებულია ბიზნესის სპეციფიკურ საჭიროებებსა და გამოწვევებზე. მედიაცია აჯანსაღებს ეკონომიკურ გარემოს და ხელს უწყობს ბიზნესს, რადგან მედიაციის დროს ბიზნესი არ კარგავს გაუმართლებლად დიდ დროსა და ფინანსებს სასამართლო პროცესების წარმართვაზე. ინვესტორსაც მეტი სტიმული აქვს, როდესაც ოპერირებისთვის შედის ისეთ ქვეყანაში, სადაც დავების გადაჭრის ბევრი ალტერნატიული მექანიზმია განვითარებული და პოტენციური დავის პირობებში მხოლოდ გადატვირთული სასამართლოს და დროში გაწელილი პროცესის იმედად არ რჩება.

დღეისათვის კერძო კომერციული მედიაცია პოპულარულია მსოფლიოს წამყვან ეკონომიკებში. აშშ-ში, დიდ ბრიტანეთში, ევროპის კავშირის წევრ-სახელმწიფოებში, ჩინეთსა და იაპონიაში სულ უფრო მზარდია დავების გადაწყვეტა მედიაციით. კიდევ უფრო თვალსაჩინოა, რომ იზრდება მედიაციის პროვაიდერი კომპანიების რაოდენობა, მაგალითად, დიდ ბრიტანეთში მედიაციის ბაზარი, საშუალოდ, ყოველწლიურად დაახლოებით 9%-ით იზრდება. პროპორციულად იზრდება კერძო მედიატორთა რიცხვიც. ევროპის კავშირის წევრ ქვეყნებში, შესაბამისი ევროპული დირექტივით, მედიაციას დაქვემდებარებულია ტრანსსასაზღვრო (Cross-Border) დავები. ღია ბაზარმა და გახსნილმა საზღვრებმა ევროპის კავშირის შიგნით წარმოშვა ბევრი დავა სხვადასხვა ქვეყანაში დაფუძნებულ კომპანიებს შორის, რომლებიც საერთო სამომხმარებლო ბაზარზე ოპერირებენ, შესაბამისად, მათ შორის არსებული დავების განხილვა უფრო ლოგიკურია მოხდეს კერძო მედიატორთან, ვიდრე რომელიმე ამ ქვეყანაში არსებულ სასამართლოში, რომელსაც შესაძლოა ჰქონდეს იურისდიქციული გაუგებრობა და ნაკლები ნდობა მოდავე კომპანიების მენეჯმენტის მხრიდან. ეროვნული სასამართლოები არ არიან აღჭურვილნი ტრანსნაციონალური დავების განსახილველად. შიდა სამართლებრივი სისტემები არ არის შექმნილი კომპლექსური, განსხვავებულ იურისდიქციაში წარმოშობილი დავების მოსაგვარებლად და არ გააჩნია შესაბამისი სტრუქტურა და გამოცდილება.

აღწერილი გამოწვევების წინაშეა საქართველოს მართლმსაჯულებაც. სასამართლო სისტემა გადატვირთულია და, შესაბამისად, საქმეთა განხილვის პერიოდი საკმაოდ ხანგრძლივია. თითოეულ მოსამართლეზე იმდენი საქმეა მიწერილი, რომ ფიზიკურად შეუძლებელია დავები სწრაფად და ეფექტურად გადაწყდეს. სასამართლო ხელისუფლებამ და საზოგადოებამ ერთნაირად უნდა გააცნობიეროს, რომ იმ დაშვებითაც კი, თუ სასამართლო სისტემაში სულ მცირე მიკერძოებასაც არ ექნება ადგილი, მაინც ძალიან შეზღუდულია რესურსები იმისთვის, რომ სასამართლო პროცესები წლობით არ გაიწელოს, რაც სხვა დამაზიანებელ შედეგებთან ერთად, ინვესტორებს ქვეყანაში თავისუფალი კაპიტალის დაბანდების სტიმულს უქრობს. აღნიშნულის მოგვარების ძლიერ ინსტრუმენტად კი თავად სასამართლოს მიერვე წახალისებული და ხელშეწყობილი მედიაცია შეიძლება განვიხილოთ. მოსამართლეებს არ უნდა ეშინოდეთ მედიაციის ფართოდ დანერგვის, რადგან მედიაცია სრულად ვერასდროს ჩაანაცვლებს სასამართლოს. მათ უნდა შეძლონ და დათმონ ძალაუფლების ნაწილი მედიატორთა სასარგებლოდ, რაც, პირველ ყოვლისა, თავად მოსამართლის საქმიანობის ეფექტიანობას გაზრდის და გრძელვადიან პერსპექტივაში სასამართლოს მნიშვნელოვნად განტვირთავს. ამასთან, ევროპული ინტეგრაციის კონტექსტში, ქართული სამართლებრივი პრაქტიკა მეტად დაუახლოვდება ევროპულ სტანდარტს და ტრანსსასაზღვრო დავებისთვის სასამართლოს ეფექტური ალტერნატივა გაჩნდება.

საზოგადოების დემოკრატიული განვითარების ერთ-ერთი საზომი არის საზოგადოების მცდელობა, მოაგვაროს კონფლიქტები შეთანხმების გზით. მოლაპარაკებების წარმატებულ ფორმად კი განვითარებულმა სამყარომ დიდი ხანია მედიაცია აღიარა და სამართლებრივ სისტემაში ფართოდ დანერგა. არაერთი კვლევა აჩვენებს, რომ მედიაციის პრაქტიკის განვითარებამ გააჯანსაღა სასამართლოები და ეკონომიკური აქტივობის სტიმული გააჩინა. მართლმსაჯულების რეფორმების ტალღებმა ვერ გააჩინა საქართველოში იმ ტიპის სასამართლო, რომელიც მოქალაქეებს სამართლიანობის აღქმას გაუჩენდა და დემოკრატიის კონსოლიდირებას მყარ ნიადაგს

შეუქმნიდა. აღნიშნული, პირველ ყოვლისა, პოლიტიკური ნების არარსებობის ბრალია. თუმცა, პოლიტიკური ნების პირობებშიც კი, გასათვალისწინებელია რესურსების სიმწირე. გადატვირთული სასამართლოს განტვირთვას ეფექტური ინსტრუმენტი სჭირდება - ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ინსტრუმენტი კი დავის ალტერნატიული გადაწყვეტის საშუალებების წახალისებაა. უკანასკნელ 10 წელიწადში თბილისის საქალაქო სასამართლოს მედიაციის ცენტრს 635 საქმე გადაეცა განსახილველად, მათგან მორიგების მაჩვენებელი 70% იყო. მიუხედავად მორიგების ესოდენ მაღალი მაჩვენებლისა, ძალიან დაბალია თავად მედიაციას დაქვემდებარებულ საქმეთა მაჩვენებელი. ცნობიერების ამაღლების აქტიური კამპანიის პირობებში კი ამ საქმეთა რაოდენობა მნიშვნელოვნად გაიზრდება.

სიახლეთა შიში ყველა საზოგადოების მახასიათებელი მდგომარეობაა. ამ თვალსაზრისით, ქართველი საზოგადოებაც არ არის გამონაკლისი. საქართველოს მოქალაქის ცნობიერებაში უკეთესი მომავლისადმი სწრაფვის ნებას ხშირად გარდასულ დღეთა მონატრება ჩაანაცვლებს და ის გულგრილია, თუ ეს „დიდებული წარსული“ მხოლოდ ისტორიის შელამაზებულ, გაყვითლებულ ფურცლებზე არსებობს. წარმოუდგენელი შესაძლებლობების ფანჯრები გახსნა 21-ე საუკუნემ ნებისმიერ სფეროში, მაგრამ ტოტალიტარული და ავტორიტარული რეჟიმების კომპლექსს დამორჩილებულნი, ძალაუფლების არარსებულ, შეუმჩნეველ ძაფებს ვეჭიდებით და „წარმოუდგენელ საქმეებს ვატრიალებთ“, რომ წინ აღვუდგეთ პროგრესს. ის სიახლეებიც კი გვაშინებს, რომლებიც დავიწყებული და დროში კარგად გამოცდილი ძველის თანამედროვე ვარიაცია და ახალი სიცოცხლეა. სწორედ ამ ტიპის სიახლეს წარმოადგენს დავის ალტერნატიული გადაწყვეტის ყველაზე უფრო ეფექტური ინსტრუმენტი - მედიაცია, რომელიც საზოგადოებრივი ცხოვრების უძველესი ნორმებისა და სამართლის სფეროში უახლესი მიღწევების კოლაბორაციას წარმოადგენს.

რაც შეეხება საკითხს, თუ ვინ უნდა იტვირთოს ლიდერობა ამ მიმართულებით ცნობიერების ამაღლების კამპანიაში, ეს უნდა გააკეთოს თავად სასამართლომ, ისევ საკუთარი ეფექტიანობის გასაზრდელად. სასამართლო უნდა გამოვიდეს კომფორტის ზონიდან და კარი გაუხსნას ადამიანების ინტერესებზე მორგებულ ახალ შესაძლებლობებს.

ზურაბ მეძველია

21 მარტამდე დარჩენილია...

არის ერთი ჰოლანდიური დოკუმენტური ფილმი 1978 წლის მსოფლიოს საფეხბურთო ჩემპიონატზე. ფეხბურთზე არაა. იმაზეა, რომ ჰოლანდიელების ჩასვლა არგენტინაში ლამის ბოლო მომენტამდე საეჭვო იყო, რადგან ნიდერლანდების სამეფოში თვლიდნენ, რომ არგენტინაში უკანონო ხელისუფლება და დიქტატორული, სისხლიანი რეჟიმი იყო. ბოლო-ბოლო მაინც წავიდნენ ნეესკენსი, კროლი, ჰაანი, რეპი, რენსენბრინკი და ძმანი მისნი ჩემპიონატზე, ფინალში გააღწიეს და იქ წააგეს არგენტინასთან. პროტესტიც მხოლოდ იმით გამოიხატა, რომ ფინალისშემდგომ ოფიციალურ ბანკეტზე არ მივიდნენ, რადგან იქ არგენტინის პრეზიდენტი, ორი წლის წინ სამხედრო გადატრიალების გზით მოსული გენერალი ხორხე რაფაელ ვიდელა იქნებოდა. ვინ იყო, რა იყო, რა კარგი გააკეთა, რა მიჰქარა და დააშავა ამ ვიდელამ, ამაზე აქ არ გვინდა. მხოლოდ ერთს ვიტყვი - მისივე მთავრობის ოფიციალური მონაცემებით, ვიდელას დროს უგზო-უკვლოდ დაიკარგა 8960 ადამიანი (ოპოზიცია 30 ათასს ამბობდა)...

ამა წლის 19 ნოემბერს საქართველოს ნაკრები ვალიადოლიდში ესპანეთთან ევროპის 2024 წლის ჩემპიონატის ბოლო შესარჩევ მატჩში 1:3 დამარცხდა. როგორც მოგვიანებით გაირკვა, სატურნირო ინტრიგის არმქონე ამ შეხვედრის მთავარი ამბავი 75-ე წუთზე მოხდა, როცა მსაჯმა ხვიჩა კვარაცხელიას ყვითელი ბარათი უჩვენა. ეს ქართველი ვარსკვლავის მე-3 გაფრთხილება იყო ამ შესარჩევ ტურნირზე. MISSES NEXT MATCH - ეგრევე დაიწერა ეკრანის მარცხენა ზედა კუთხეში... და აღმოხდა ქართველ გულშემატკივარს - რომელია ეს ოხერი ნექსტ მატჩი?! ნუთუ 21 მარტის?! ის ხომ სხვა ტურნირისაა?! (არასპორტულ ჟურნალში წვრილად გავარჩიოთ ევროპის ჩემპიონატისა და ერთა ლიგის რეგლამენტები და სადისციპლინო კოდექსები, მართებული არ იქნება, ამიტომ მოკლედ გეტყვით - საქართველოს ნაკრებს ევროპის ყველაზე დიდ სპორტულ ღონისძიებაზე, გერმანიაში გასამართ ევრო 2024-ზე, მოხვედრა სხვა გზით შეუძლია - ამისთვის 2 მატჩის მოგებაა საჭირო, აქედან პირველი სწორედაც რომ იმ 21 მარტის ჯახია თბილისში ლუქსემბურგთან).

რეპორტაჟის ქართველმა კომენტატორმა, გიგა გვენცაძემ, რამდენიმე წუთში დაამშვიდა ქომაგი - შეცდომით იყო ეს ტიტრი, კვარა ჩვენთვის უმნიშვნელოვანეს მატჩს არ გამოტოვებსო.

არგენტინის ხუნტა

ფედერაციის რომელიღაც მაღალჩინოსანს დაჰკავშირებია და იმას დაუიმედებია, ყველაფერი რიგზეაო. აღმოჩნდა, რომ არაა რიგზე არაფერი - ხვიჩა 21 მარტს არ ითამაშებს! აღმოჩნდა, რომ ფედერაციაში არ იცოდნენ... აღმოჩნდა, რომ ნაკრების მენეჯერმა არ გადაამოწმა... აღმოჩნდა, რომ ფეხბურთელებმა იკითხეს, ხომ არაფერი გვემუქრებაო და უპასუხეს, ეს ყვითელი ბარათები ანულირდებაო... მაგრამ ეს ყველაფერი აღმოჩნდა მატჩის დასრულებიდან 16 საათის შემდეგ. ამ 16 საათში მედია მხოლოდ ვარაუდებს გამოთქვამდა, ფედერაცია კი დუმდა. მერე იყო ფედერაციის მაღალჩინოსანთა ჯერ სადღეგრძელოს დარი განცხადებები (წუხილს გამოვთქვამთ, მაგრამ მაინც მოვიგებთ), ბოლოს ბოდიში და ნაკრების მენეჯერის აღიარებაც. ცხადია, ამათ შუაში იყო დიპლომით ისტორიკოსის, ყველაზე ტიტულოვანი ქართველი ფეხბურთელისა და თბილისის მერის, კახა კალაძის, მორიგი უტიფრობა - ფეხბურთი იმითაა საინტერესო, ასეთი რამეები რომ ხდებაო.

და ამ ბოდიშებამდე და უტიფრობამდე და მერეც იყო ფედერაციის კრიტიკა და ლანძღვა არა მარტო ამ „კვარაგეიტის“ გამო. გაიხსენეს 2020 წლის ამბავიც, როცა ევროპის ჩემპიონატზე მოსახვედრად სულ ერთი მატჩის მოგება გვჭირდებოდა ჩრდილოეთ მაკედონიასთან. მაშინ, კორონას დროს, უეფამ დასაშვებად მიიჩნია ეროვნულ სტადიონზე 15 ათასი მაყურებლის ყოფნა, მაგრამ ფედერაციამ პოლიტიკური გადაწყვეტილება მიიღო (აქციები იკრძალებოდა ვირუსის გამო, თან საპარლამენტო არჩევნების ჟამი იდგა) და მატჩიც უმაყურებლოდ ჩატარდა (ნუ, ზემოთ ნახსენები კალაძე იყო შვილთან ერთად - ინერციით წავედიო, მაშინ ასე „ახსნა“ ეს საქციელი). საკუთარი ქომაგის მხარდაჭერას მოკლებულმა ნაკრებმა წააგო და დიდ საფეხბურთო ტურნირზე მოხვედრის ოცნება მორიგ ჯერზე გადაიდო... ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტს გლდანში მეორე ტური დასჭირდა, თუმცა მერე მაინც გახდა დეპუტატი და ახლა ორივე ამ საქმიანობას ეწევა კიდევ ბევრ სხვა, შედარებით წვრილ, საქმიანობებთან ერთად... არ ერიდება, ცხადია.

თანამედროვე სამყაროში კვარაცხელიას ყვითელი ბარათის კი არა, სრულიად თავზარდამცემი ამბებიც კი პეპლის ასაკშივე ასრულებენ ცხოვრებას - ხვალაც რაღაც მოხდება, ზეგაც, მაზეგაც. და გადაიფარება ეს შენი შოკისმომგვრელი, თითქოს დაუვიწყარი ამბავი და დავიწყებას მიეცემა. მაგრამ ამჯერად ეს ასე არაა. ამჯერად ეს შენელებული მოქმედების ნაღმია: რამდენჯერაც ხვიჩა იმ თავის და აწ უკვე ჩვენს „ნაპოლიში“ ითამაშებს, იმდენი გაგვახსენდება, რომ ის 21 მარტს საქართველოს ეროვნულ გუნდში ვერ ითამაშებს.

ასე იქნება 21 მარტამდე. და მერე იქნება...

წავაგებთ? - თითქოს პირი შეკრესო, ამ დღეებში ერთი ხუთმა კაცმა ერთი და იგივე რამ მითხრა - მაგ შემთხვევაში სტადიონიდან პირდაპირ ბაგებისკენ წავალ ფედერაციის შენობის სულ აგურ-აგურ დასაშლელადო. არა მგონია, საქმე მანდამდე მივიდეს, მაგრამ გინდ კობიაშვილს და გინდ მთელ მის საოცნებო პარტიას რომ სულ მცირე რეიტინგები დაუვარდებათ, ნაღდია.

მოვიგებთ? - აღარავინ გაიხსენებს ყვითელ ბარათებს. მოვიგებთ იმ მეორე მატჩსაც? იქნება საყოველთაო სიხარული, ყიჟინა და მსვლელობები. იქნება გერმანიის მიმართულებით ავიაბილეთებზე თავპირისმტვრევა და თავად მატჩების ბილეთებზე ისტერიული ჩალიჩი.

აღარავინ გაიხსენებს, რომ ევროზე გასვლა არა კობიაშვილის გამორჩეულობის, არამედ უეფას იმ გადაწყვეტილების დამსახურებაა, ერთა ლიგა რომ შექმნა და მას მერე მხოლოდ ჯუჯა საფეხბურთო ქვეყნების დამარცხებითაც შეიძლება ევროპის ჩემპიონატზე მოხვედრა. ცოტა ვინმეღა თუ იტყვის, რომ მსგავსი ტურნირის არსებობის შემთხვევაში საქართველოს ნაკრები დიდი ალბათობით ჯერ კიდევ გასულ საუკუნეში და მერეც უკვე რამდენჯერმე იქნებოდა ევროს მონაწილე. ქოცნების რეიტინგი გაიზრდება...

უსამართლობაა? - კიბატონო. მაგრამ ასეთია მსოფლიოში ყველაზე გავრცელებული სპორტის სახეობის, ფეხბურთის, ფენომენი. აქ ახალი არაფერია. ამის დასტურად და სამაგალითოდ დასაწყისში ნახსენებ დოკუმენტურ ფილმს მივუბრუნდები. ის ასე მთავრდება:

ჟურნალისტი ბუენოს-აირესში, ერთი ხანშიშესული წყვილის სახლშია ფინალის დღეს. ამ ცოლ-ქმარს ერთი შვილი ჰყავდა და ის იმ 8960 დაკარგულთა შორისაა - ანუ, დიდი ალბათობით, ჯერ ნაწამები და მერე პირდაპირ ზღვაში გადაგდებული ან სადმე საიდუმლო სამარხში ზედ ცემენტდასხმული... და იწყება ფინალი. და ოჯახში ჩართეს ტელევიზორი. ვიდელა ლოჟაშია. და ამ ცოლ-ქმარმა იცის, რომ თუ არგენტინა მოიგებს, მათი შვილის მკვლელი გენერალი თასიან დანიელ პასარელას ჩაეხუტება - იმ თასიანს, მთელი არგენტინა რომ ნატრობს და რომლის მოგებაც ჭკუაზე გადაიყვანს მთელ ქვეყანას. და ამის ხარჯზე, როგორც ხდება ხოლმე და განსაკუთრებით ასეთ გიჟმაჟ საფეხბურთო ქვეყნებში, გენერლის პოპულარობა გაიზრდება, თან არა ერთი, ორი ან სამი პროცენტით... ვისკენ ხართო, ეკითხება ფილმის ავტორი მასპინძლებს და ორივე ცრემლიანი პასუხობს, მაინც არგენტინისკენო.

„ვარდების რევოლუცია“ 2003 წელი

„ვარდების რევოლუცია“ 2003 წელი

„ვარდების რევოლუცია“ 2003 წელი

გარეკანი - ლაშა გაბელია

„ვარდების რევოლუციის” ფოტოები
გოგიტა ბუხაიძე.

უკანა ყდა - თბილისი, „ვარდების
რევოლუცია” 2003 წლის 23 ნოემბერი
გოგიტა ბუხაიძე.

ჟურნალში გამოქვეყნებულ წერილებში
გამოთქმული მოსაზრებები ეკუთვნით
ავტორებს და შეიძლება არ გამოხატავდეს
„ახალი ივერიის“ რედაქციის პოზიციას.

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲘᲕᲔᲠᲘᲐ
საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი
www.akhaliiveria.ge

2024 იანვარი, №1(5)
ISSN 2720-8729

ააიპ “ჭავჭავაძის ცენტრი”
გიორგი ახვლედიანის № 20
0108, თბილისი, საქართველო

© ᲭᲐᲕᲭᲐᲕᲐᲫᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲘ, 2024

თბილისი, „ვარდების რევოლუცია"
2003 წლის ნოემბერი

ISSN 2720-8729